ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 მაისი პარასკევი 2013
№126 (14 042) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## პინარის ფინალი!

### მანუმ 3:0 მოიგო, სანიკიძე 2:1 დაწინაურდა

გუშინ ორმა მეგობარმა სხვადასხვა ქვეყნის პლეი ოფში ითამაშა. **მანუჩარ მარკოიშვილმა** თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში მესამე მატჩი მოიგო და ფინალის საგზური მოიპოვა, ხოლო **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი" იტალიის პირველობის ნახევარფინალში 2:1 დაწინაურდა.

მანუს „გალათასარაიმ" სტუმრად „პინარ კარშიაკა" მისსავე მოედანზე 79:77 დაამარცხა და სერია უმოკლესი გზით, 3:0 დაასრულა. ქართველმა უკანახაზელმა 20 წუთში 3-3 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

სანიკიძის „მონტეპასკიმ" „ვარეზეს" უმასპინძლა და 13-ქულიანი სხვაობით სძლია - 72:59. ვიქტორმა 9 წუთში 2 მოხსნა ჩაიწერა. მომდევნო სიენელები მატჩს 1-ელ ივნისს ჩაატარებენ.



## დღეს 20:30 დინამო არენა

# გაზაფხულთან ერთად კალაძე გავაცილოთ

## გაზაფხული კიდევ მოვა, კიდევ როდის მოვა კალაძისნაირი ფეხბურთელი?




## 99% ჰაინკესი რეალში



# ნაკრები თბილისშია

### 19-წლამდელთა ნაკრებს ქართული სპორტის ქომაგებმა გულთბილი დახვედრა მოუწყვეს




2-3

ინტერვიუ

# გიორგი ჩიხრაძე: გაცვეთილი ფრაზაა, რომ ნაკრებში ფეხბურთელმა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით უნდა ითამაშოს

## რა ხდება იქ, სადაც არშავინს ელოდებიან

გიორგი ჩიხრაძის განვრთნილმა ზაქათალის „სიმურგმა" 2012/13 წლების აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც წარმატებაში უნდა ჩაეთვალოს, თუნდაც იმიტომ, რომ ამის წინა სეზონში „სიმურგის" ამოცანა აზერბაიჯანის საკეთესო ლიგიდან არგავარდნა იყო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჯერ თბილისის „ამერის" მწვრთნელი გახლდათ, რომელსაც ორჯერ მოაგებინა საქართველოს თასი, მერე კი ბაქოს „ინტერში" მუშაობდა კახა ცხადაძის თანაშემწედ.

ჩიხრაძე შვებულებას თბილისში ატარებს, ჩვენც ვისარგებლეთ ამით და ინტერვიუ ჩამოვართვით.


გიორგი ჩიხრაძე

**- „სიმურგთან" კონტრაქტი ახლახან დაგიმთავრდათ - ისევ ამ კლუბში რჩებით თუ სხვა შემოთავაზებებს ელოდებით?**

- შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად „სიმურგში" ვრჩები, კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე ვისაუბრე მომავალ სეზონზე, გუნდის ჩამოყალიბებაზე - ახალი გუნდის შექმნა მოგვიწევს. წინა სეზონში ბიუჯეტის მიხედვით მერვე-მეათე ადგილზე იყო „სიმურგი". ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ან ლიდერი ვიყავით, ან სამეულში ვიმყოფებოდით. რა თქმა უნდა, ვხვდებოდი, რომ მეორე ეტაპზე, ექვსეულში უკვე ძალიან გაგვიჭირდებოდა ასეთი პოზიციის შენარჩუნება და ასეც მოხდა -სამეულში ვერ მოვხვდით და ევროსარბიელზე თამაშის უფლება ვერ მოვიპოვეთ. მიუხედავად ამისა, ეს სეზონი ჩვენთვის წარმატებული გამოდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „სიმურგის" ექვსი ფეხბურთელი სხვადასხვა ნაკრებში მიიწვიეს - ორი აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდში, სამი ახალგაზრდულში და ერთიც 19-წლამდელებში. სეზონის წინ აყვანილმა ლეგიონერებმაც კარგად ითამაშეს, სელექცია ნაყოფიერად ვაწარმოეთ და გაჩნდა დაინტერესება ჩვენი ლეგიონერების მიმართაც - ოთხი ლეგიონერი უკვე გადავიდა ჩვენზე მდიდარ აზერბაიჯანულ გუნდებში, კიდევ ოთხს აქვს შემოთავაზება. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გვიწევს ახალი გუნდის შექმნა.

**- რა ტენდენციები იკვეთება აზერბაიჯანულ საკლუბო ფეხბურთში? დაფინანსება მატულობს თუ რა ხდება?**

- აზერბაიჯანული კლუბების დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. „ნეფთჩი" შარშან ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და დაფინანსების მეტი სტიმულიც გაუჩნდა, ახალი ფეხბურთელები დაიმატა, ფინანსურად უფრო მძლავრი გახდება „ყარაბახი", იგივე მოხდება ბაქოს „ინტერშიც" და „ბაკიშიც", „გაბალაში" მწვრთნელად სულაც იური სიომინი მიდის და ამბობენ, რომ ანდრეი არშავინის ტრანსფერიც მზადდება ამ კლუბში. ლენქორანის „ხაზარს" უკვე წვრთნის ჯონ ტოშაკი - ჩემპიონობისთვის ეს გუნდები იბრძოლებენ, ჩვენი მიზანი კი ევროსაგზურის მოპოვება იქნება. აზერბაიჯანის ჩემპიონატი სხვა ფორმატით გაიმართება - ათი გუნდი ოთხ წრედ.

**- და „სიმურგის" ბიუჯეტი არ გაიზრდება?**

- ჩვენი კლუბის ბიუჯეტიც შეიძლება გაიზარდოს, თუმცა მხოლოდ უმნიშვნელოდ. „სიმურგიც" წინ მიიწევს, გამოიცვალა მოედნის საფარი, ბაზა უფრო კომფორტული გახდა, შეიქმნა აკადემია...

**- გარიგებული მატჩები, კორუმპირებული მსაჯები - ამ მხრივ რა ვითარებაა აზრებაიჯანში?**

- ეჭვები შეიძლება გაჩნდეს, თუმცა გარიგებული მატჩის ან კორუმპირებული მსაჯის ფაქტი ჯერ არ გამოაშკარავებულა აზერბაიჯანში. მსაჯობა აზერბაიჯანში საშუალო დონისაა, უწინდელზე უკეთესი გახდა.

**- სტადიონებზე დასწრება როგორია აზერბაიჯანში, არის იმის პროპორციული, რა ფულსაც ხარჯავენ იქაური კლუბები?**

- დედაქალაქში დასწრება არ არის მაღალი, რეგიონებში კი თამაშებზე ბევრი ხალხი დადის, მაგალითად, ლენქორანში 10-15 ათასი მაყურებელი სულ ესწრება შეხვედრას. „ყარაბახის" საშინაო მატჩებზეც ბევრი გულშემატკივარი დადიოდა, სანამ გუნდი დედაქალაქში არ გადავიდოდა. ბაქოში „ნეფთჩის" მატჩებზე დადის ბევრი ქომაგი, რადგან „ნეფთჩი" საკლუბო ფლაგმანია, როცა სხვა დედაქალაქური გუნდია მასპინძელი, უფრო ნაკლები გულშემატკივარი გროვდება სტადიონზე.

**- აზერბაიჯანული მასმედია რამდენად ძლიერი პარტნიორია ფეხბურთისთვის?**

- აზერბაიჯანში 5-6 ისეთი გაზეთია, კარგად რომ აშუქებს ფეხბურთს, არის კიდევ საიტები. რაც შეეხება ტელევიზიებს, ჩემპიონატის ტურის სამი-ოთხი მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია ყოველთვის მიდის. ერთი სიტყვით, იქაური მედია აზერბაიჯანულ ფეხბურთს კარგად აშუქებს.

**- სატრანსფერო ბაზარზე რა წესები მოქმედებს, ყველაფერს აგენტები აგვარებენ?**

- ყველა კლუბს ჰყავს სპორტული დირექტორი და კიდევ სელექციონერი. აზერბაიჯანში არის რამდენიმე ფიფას აგენტი, თუმცა კლუბებს უფრო უცხოელ მენეჯერებთან ურჩევნიათ საქმის დაჭერა.

**- აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგტსი რამდენად პოპულარულია ამ ქვეყანაში?**

- ფოგტსს დიდი მხარდაჭერა აქვს აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან. ამ გერმანელ სპეციალისტს დიდი მიღწევები არ აქვს აზერბაიჯანის ნაკრებში, თუმცა ყველა აღნიშნავს იმას, რომ დისციპლინის და ორგანიზაციის მხრივ ჩინებულად მუშაობს, ამ მხრივ აზერბაიჯანის ნაკრებს მართლაც აქვს წინსვლა.

**- ისე ჩანს, თითქოს აზერბაიჯანულ ფეხბურთში ყველაფერი დიდებულად მიდის, თუმცა რეალურად ალბათ ცოტა სხვა სიტუაციაა...**

- ადგილობრივი ფეხბურთელების აღზრდის მხრივ აქვთ პრობლემები და ბოლო წლებში ამაზეც დაიწყეს ფიქრი და მოქმედება. „ნეფთჩი", „ბაკი", „გაბალა"... ფინანსურად ძლიერმა კლუბებმა ორი-სამი წლის წინ სერიოზულად მოჰკიდეს ხელი აკადემიის შექმნას და განვითარებას. ადგილობრივი ფეხბურთელების მაღალი ხარისხი ჯერ არ ჩანს, თუმცა ეს დროის ამბავია. აზერბაიჯანული აკადემიები ევროპის წამყვანი კლუბების იუნიორებს იწვევენ ტურნირებზე, ან თვითონ მიდიან ასეთ შეჯიბრებებზე.

**- ჩვენს ავანჩავანზე გადავიდეთ. წლები გადის, იცვლებიან მწვრთნელები და ფეხბურთელები, ეროვნული ნაკრების წინსვლა კი არ ჩანს - რისი ბრალი უნდა იყოს ეს და რამდენად მნიშვნელოვანია აქ მწვრთნელის ფაქტორი?**

- თემურ ქეცბაია შედეგზე ორიენტირებული მწვრთნელია, თამაშის სტილიც ამაზეა მორგებული. როცა ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ გაქვს, მცირდება იმის შანსი, რომ შემტევი სტილი აირჩიო. ბოლო პერიოდში ნაკრების მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები ეთხოვებოდნენ გუნდს, მიდის თაობათა ცვლა, ევროპული დონის კლუბებში მოთამაშე ნაკრებელთა რაოდენობა შემცირდა, ხოლო ის ახალგაზრდები, ახლა რომ თამაშობენ ეროვნულ ნაკრებში, ჯერ არ არიან მზად სერიოზული ამოცანების შესასრულებლად.

**- ნაკრებში ქეცბაიას მხარდამხარ თამაშობდით. ამბობენ, რომ ის მხოლოდ მოედანზე იყო გუნდის ლიდერი და არა მოედნის მიღმაც...**

- მოედნის მიღმაც მეგობრული კოლექტივი ვიყავით, ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ გვყოლია, ერთმანეთს ვამხნევებდით ხოლმე, ქეცბაია მართლაც თავდადებული ფეხბურთელი იყო. რაც კი ნაკრებში ვიყავი, ჩხუბი თუ რაიმე კონფლიქტი არ მომხდარა.

**- როგორ ფიქრობ, უახლოეს ხანში რომელი ფეხბურთელები იქნებიან საკვანძო ფიგურები საქართველოს ნაკრებში?**

- ასეთი პროგნოზის გაკეთება რთულია. ფეხბურთში მოვლენები ხანდახან ძალიან სწრაფად ვითარდება. ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებში არიან პერსპექტიული ფეხბურთელები, თუმცა რასაც მაღალი დონისთვის ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ჰქვია, იქამდე ჯერ მისვლაა საჭირო. ვფიქრობ, 3-4 წელი კიდევ საჭიროა იმისთვის, რომ ბირთვი დავინახოთ.

**- უნდა იყოს თუ არა პრემიები ან სხვა ფინანსური ანაზღაურება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში - ამაზე რას ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, გაცვეთილი ფრაზაა, რომ ნაკრებში ფეხბურთელმა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით უნდა ითამაშოს. გარდა იმისა, რომ ნაკრების ფეხბურთელი საკუთარი ქვეყნისთვის გადის მოედანზე და იბრძვის, ის პროფესიონალია და საკუთარ საქმეს აკეთებს, ამიტომ მას დამატებითი მოტივაციაც სჭირდება. ნაკრების ფეხბურთელი საქართველოში რომ ჩამოდის, ბევრ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება და თუ პრემიას აიღებს, ამით იმის მეტი საშუალებაც გაუჩნდება, რომ ადამიანებს დაეხმაროს, თუნდაც ამის გამოც ღირს პრემიების დაწესება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფინანსური მხარე დამატებითი სტიმულია ნაკრების ფეხბურთელისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ ნაკრებში გამოძახებისთვის უხდიან ფულს ფეხბურთელებს და ზედმეტი ნამდვილად არ იქნება, თუ საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს გარკვეული ანაზღაურება ექნებათ.

**- აზერბაიჯანში როგორაა ამ მხრივ სიტუაცია?**

- აზერბაიჯანის ნაკრებში ძალიან მაღალი პრემიებია, იქ მხოლოდ ნაკრებში გამოძახებისთვისაც იღებენ ფულს ფეხბურთელები.

**დავით თავართქილაძე**

სიტუაცია

# ტორპედო ონიანსაც შეელია?

## დათუნაიშვილი გულდაწყვეტილია

გულშემატკივრებისთვის ცნობილია ქუთაისის "ტორპედოში" მიმდინარე მოვლენები. გუნდის თავკაცებმა შემადგენლობის გაახალგაზრდავება, მწვრთნელთა შტაბის შეცვლა და გამოცდილ მოთამაშეთა უმრავლესობის გაშვება გადაწყვიტეს.

დავინტერესდით, რა ბედი ელის **გიორგი ონიანს**, რომელსაც "სიონთან" თასის მატჩის დროს ხერხემლის მალა დაუზიანდა და ზურგის ტვინის დახურული ტრავმა მიიღო.

29 წლის ცენტრალურმა მცველმა ჯერ არ იცის, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას: გიორგი ხომ, ფაქტობრივად, ქუთაისის "ტორპედოდან" წამოსულია.

"ოპერაციის შემდეგ ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და უკვე სამი კვირაა, რაც უპრობლემოდ დავდივარ. ჩემი მონაცემები გერმანიაშიც გავგზავნე და გარკვევით მითხრეს, რომ ფეხბურთს დავუბრუნდები. მაგრამ ჯერ ვარჯიში მეკრძალება. რეაბილიტაციის პერიოდი ზაფხულის ბოლომდე გაგრძელდება და სავარაუდოდ, ვარჯიშს შემოდგომაზე განვაახლებ, თამაშს კი ახალი წლიდან შევძლებ. რაც შეეხება "ტორპედოში" ჩემი დარჩენა-არდარჩენის ამბავს, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. მაგრამ ყველა გამოცდილი ფეხბურთელი გაუშვეს, ახალგაზრდები უნდათ და რომელი ბავშვი მე ვარ? თანაც, კონტრაქტი დამიმთავრდა, ახალიც არავის შემოუთავაზებია და არავინ დამტოვებს. ასე რომ, სხვა კლუბის მოძებნა მომიწევს" – ამბობს ონიანი.

მეორე საკითხია: გიორგის რეაბილიტაციისათვის გერმანიაში წასვლა და საკმაოდ სოლიდური თანხებიც დასჭირდება. საქართველოში კი მოთამაშეები


გიორგი ონიანი

ევროპელებივით დაზღვეულები არ არიან. მაგრამ "ტორპედოს" სოლიდური ხალხი პატრონობს და გვეეჭვება, ონიანის რეაბილიტაციის ხარჯებს გაექცნენ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდთან კონტრაქტი დაუსრულდა და "ტორპედოს" არანაირი ვალდებულება აღარ გააჩნია.

გიორგი ხომ სწორედ ამ გუნდში თამაშის დროს დაშავდა – ასე რომ, აქ ქუთაისელებს გარკვეული მორალური ვალდებულებები ეკისრებათ.

**გრიგოლ დოლიძისა და გიორგი ბერიაშვილის** წასვლის ამბავი კი უკვე ცნობილია. გუნდიდან კიდევ რამდენიმე მოთამაშე გაუშვეს: **დათა რიგვავა, გიორგი გურული, ვალერი ბოლქვაძე და ზაზა ჭელიძე.** მათ "ტორპედომ" ერთი თვის ხელფასი გადაუხადა და დაემშვიდობა.

მომხდარით გულდაწყვეტილია გიორგი დათუნაიშვილი: "ჩემთვის მოულოდნელი იყო არა მხოლოდ გაშვება, არამედ, გუნდში დატრიალებული მოვლენები. გეგუჩაძის გაშვება იყო პირველი შოკი, ასეთ მწვრთნელს ნებისმიერი ქართული გუნდი ინატრებდა. მერე დაიწყო გაახალგაზრდავება, რასაც კლუბი თავისებურად ხსნის. გაამართლებს თუ არა ეს საკადრო პოლიტიკა, მომავალი გვაჩვენებს. მე კი "ტორპედოს" წარმატებებს ვუსურვებ და ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიქნები. ისე, საქართველოში ფეხბურთელის ცხოვრება ძალიან რთულია. ჩემ მომავალს რაც შეეხება, ჯერ მიწვევა არ მაქვს და ვარიანტებს ველოდები".

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# 13:1 ყაზახეთთან

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბაქოში "კასპიის თასზე" ასპარეზობა ასტრონომიული ანგარიშით გამარჯვებით დაიწყო. **ნოდარ აკობიას** გუნდმა ყაზახეთი 13:1 გაანადგურა და ამით ტურნირის მეოთხედფინალში გასვლა დაიზევა.

ჯგუფის მეორე მატჩს საქართველოს ნაკრები ხვალ ბულგარეთთან გამართავს. შეგახსენებთ, "კასპიის თასზე" 12 მონაწილე გუნდი ოთხ სამგუნდიან ჯგუფადაა დაყოფილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

u 19

# გაბრწყინებული საქართველო: ჰქმენ, რაც შენი ფერია


19-წლამდელები თბილისის აეროპორტში
ქართული სპორტის ქომაგების ფოტო

...სასიხარულოა, რომ გია ცეცაძესა და კამპანიას აღმოაჩნდა იმის შნო და უნარი, ევროპელ მეტოქეებსაც გამკლავებოდნენ და მსაჯების უსამართლობასაც. ინგლისის, შოტლანდიისა და ბელგიის ჯგუფში პირველ ადგილზე საქართველო გავიდა და 29 მაისს სამშობლოს უზომო სიხარული მიანიჭეს.

ეს ყველაფერი უსაფუძვლოდ არ მომხდარა. გუნდს ჰყავს თავმოყვარე მწვრთნელი, რომელსაც უყვარს ფეხბურთი და სადაც უმუშავია, ამ გზიდან არ გადაუხვევია. ცეცაძის სიტყვებია: *"მინდა უეფას გასაგონად ვთქვა, რომ ქართველები მათხოვრები არ ვართ და ბელგიაში ჩასვლა, კარგ სასტუმროში ცხოვრება და კვება არ გვაკმაყოფილებს. პირადად მე მსურს, გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გავიყვანო, სამეულში მოვხვდეთ და ქართველობა გავახაროთ! სწორედ ესაა ჩემი მიზანი და არა ევროპაში გუნდთან ერთად უთავმოყვარეოდ მოგზაურობა. ბიჭებს ამის პოტენციალი გააჩნიათ".*

ეჭვიც არაა, ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ ბევრს გაეცინებოდა, ჩვენ ხომ მხოლოდ საკუთარი ცუდის დაჯერებას ვახერხებთ, ქართველზე კარგის თქმა და ნდობა ხომ მოდაში აღარ არის. მწვრთნელის ნიჭი კი სწორედ ნიჰილისტურ გარემოში ვლინდება - მან მოთამაშეებს უნდა შესძახოს, გაამხნევოს, საკუთარი ძალების რწმენა შემატოს და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შთააგონოს.

დიახ, მოთამაშეებმა ყველაზე უკეთ იციან, რა მოხდა ბელგიაში და ეს წარმატება ვისი დამსახურებაა. გია ცეცაძემ კი დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ის მწვრთნელად არის დაბადებული. გია ცეცაძე ქართულ ფეხბურთში იმდენად შთამბეჭდავად გამოჩნდა, რომ მის წარმატებაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო. პირველი ღონიერი ნაბიჯები გორის "დილაში" გადადგა, სადაც ნარჩენი მოთამაშეებისგან ისეთი გუნდი შეკრიბა, თბილისის "დინამო" ვერ ამარცხებდა, გასვლაზე კი "ზესტაფონს" 4:0 მოუგო და საერთოდაც, გუნდი ლაღ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. ის მაინც გაათავისუფლეს და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნეს – თუმცა, შეკვეცილი უფლებებით და მერე **თემურ შალამბერიძესთან** ერთად გაუშვეს.

სამწვრთნელო საქმეში პირველი ნაბიჯები **გიორგი დევდარიანთან, თემურ ფოცხვერიასთან, გურამ ჩომახიძესთან, გელა სანაიასთან** და თემურ შალამბერიძესთან ერთად გადადგა. თანამოაზრეები იყვნენ და ხუმრობდა, ჩვენ ფეხბურთის მოყვარულთა სექტა ვართ და მხოლოდ შემტევ თამაშს ვცნობთ, სხვა ფეხბურთი ქართველებს არ გვეხერხებაო.

ცხადია, "პროფები" ამ სიტყვებზე მაშინაც იცინოდნენ. ჯერ იმიტომ, რომ ამ მწვრთნელს დიდი ფეხბურთი არ უთამაშია და მეორე იმიტომ, რომ რატომღაც დაგვიდგინეს, რომ თანამედროვე ქართული ფეხბურთი "კატენაჩოზე" უნდა გადაეწყოს, მეტი არ შეგვიძლიაო. შეგვძლებია და მეტიც, ალაგ-ალაგ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები ჭკვიანი ხალხის ხელში ფეხბურთსაც აჩვენებს, იმ დავიწყებულ ფეხბურთს, წარსულში დარჩენილი რომ გვეგონა.

და ეს ყველაფერი ბოლო 15 წლიწადში საქართველოში სულ რამდენიმე ნორმალური საფეხბურთო სკოლის ამოქმედების შედეგია - "ოლიმპი", "ლოკომოტივი", "საბურთალო", ზუგდიდის "ბაია", ქუთაისის "ტორპედო", "ზესტაფონი" სწორედ ამიტომ გაიხსნა და ამ მწირი გარღვევითაც ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები ორჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდნენ, ელიტრაუნდებში კი ლამის დაბარებულებივით ცხადდებიან.

ასე ჩნდება საქართველოში იმედის კონტურები, რომ მცდარია ცნობილი ანეკდოტი - ფეხბურთი ინგლისში დაიბადა, ბრაზილიაში გაიზარდა და საქართველოში მოკვდაო. ჩვენში ნიჭიერი ბიჭები და მწვრთნელები კიდევ იბადებიან და ბოლო ორი წელია, ევროფინალებში ასაკობრივი ნაკრებები მაინც გადიან. 1990 წლის 15 თებერვალს თავისუფლებას მონატრებულმა ქართველობამ ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობა იმიტომაც გადაწყვიტა, რომ ასეთი წარმატებების იმედით საზრდოობდა. გულიანი, წესიერი შრომით და საკუთარი ძალების რწმენით ეს შესაძლებელი ყოფილა, რაც გია ცეცაძემ და მისმა შტაბმა დაამტკიცეს.

საამისოდ კი ის ფეხბურთი გვჭირდება, რუსთველის თქმის არ იყოს, რაც ჩვენი ფერია – ღამურას გზა ჩვენ არ გვარგებს.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი დარასელიას სკა ენერგიას პრემიერლიგაში გადასასვლელად დიდი ბრძოლა მოუწევს

ლეგიონი

# ქართველები პრემიერლიგას შორდებიან

გაიმართა რუსეთის პრემიერლიგაში გადასასვლელი პლეი ოფის პირველი მატჩები. ხაბაროვსკის "სკა-ენერგია", რომელსაც **გიორგი დარასელია** წვრთნის, "როსტოვს" ეწვია და 0:2 დამარცხდა. **გიორგი ნავალოვსკიმ და გოჩა ხოჯავამ** "სკა-ენერგიას" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს, **შოთა გრიგალაშვილი** კი 90-ე წუთზე შეცვალეს. მათი თანაგუნდელი **ოთარ მარცვალაძე** თამაშში 58-ე წუთზე ჩაერთო.

"კრილია სოვეტოვმა", რომლის ღირსებასაც **ალექსანდრე ამისულაშვილი** იცავს, ნალჩიკის "სპარტაკს" უმასპინძლა და 2:0 სძლია. სამარელთა ქართველმა მცველმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო, სპარტაკელი **დავით სირაძე** კი მოედანზე 75-ე წუთზე შევიდა.

როგორც ხედავთ, საპასუხო შეხვედრების წინ "როსტოვმა" და "კრილიამ" საკმაო ფორა შეიქმნეს.

პოლონეთის ექსტრაკლასაში ვარშავის "ლეგიამ", რომელიც უკვე ჩემპიონია, "რუხს" ესტუმრა და ფრედ, 0:0 ეთამაშა. **ვლადიმერ დვალიშვილი** შეცვლაზე შემოვიდა, არადა, ვარშაველმა კლუბმა იგი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არ გამოუშვა.

ფინეთის ვეიკაუსლიგაში **ირაკლი სირბილაძემ** "ინტერ ტურკუს" ქულა მოუპოვა. "ინტერმა" სტუმრად "კუოპიოს" ანგარიში ქართველი თავდამსხმელის გოლით გაუთანაბრა. მატჩი 1:1 დასრულდა.

იტალიაში სერია A-ში გადასასვლელი პლეი ოფის ფინალის პირველი შეხვედრა გაიმართა. **ლევან მჭედლიძის** "ემპოლიმ" "ლივორნოს" უმასპინძლა და დაუზავდა – 1:1. ქართველი ფორვარდი თამაშში 86-ე წუთზე ჩაერთო. ამ დროისთვის მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

# დენი შეწყდა, ბალახი ხმება

როგორც მოსალოდნელი იყო, ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონსა და საწვრთნელ ბაზას დავალიანების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ამის გამო, მოედნები ველარ ირწყვება და გაზონის გახმობის პროცესი დაიწყო.

"ზესტაფონმა" ამის თაობაზე ოფიციალური წერილებით უკვე მიმართა როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ მდგომარეობა უკვე კრიტიკულია და ამდენი ხნის ნაწვალებ-ნაჯაფარი მოედნები მალე განადგურდება.

აქვე ვსვამ რიტორიკულ შეკითხვას, ქართული ფეხბურთისთვის უფრო მეტი სარგებელი კერძო კლუბებს მოაქვთ თუ საბიუჯეტოებს? ცნობისთვის, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების 18-კაციან შემადგენლობაში, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, 15 ქართული კერძო კლუბის წევრია, ერთი საბიუჯეტოსი და ორიც – ლეგიონერი", - გვითხრა "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

საჭირბოროტო საკითხი

# გვინდა ისევ გერები?


ქართულ საკლუბო ფეხბურთს ორი ფუნდამენტალისტი შემორჩა გურამ რუხაძე (მარცხნივ) და ილია კოკაია

NO JUSTICE, NO PEACE - ამბობენ, რომ ეს ფრაზა პირველად **მარტინ ლუთერ კინგმა** თქვა 1967 წელს, ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე. იმასაც ამბობენ, რომ ლუთერ კინგს ზუსტად ასე არ უთქვამს, უბრალოდ ასე შემორჩა ისტორიას მისი ნათქვამიო.

„არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა" - ლუთერის სიტყვები ქართულ პოლიტიკურ ბრძოლებშიც გამოიყენებოდა. სამართლიანობა და მშვიდობა თითქოს მარადიული თემაა კაცობრიობისთვის.

ჩვენი საფეხბურთო სამყარო კი ისეთია, რომ ახალი ამბავი ჯერ კულუარებში ჩნდება და მერე მას ფორმალურად უბოძებენ ხოლმე ოფიციალურ სახეს.

სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთს დაეხმარება - ამის გარანტია ოფიციალურად მივიღეთ, ხოლო ის, რომ მუნიციპალურ კლუბებს თანხა გადაეცემათ და კერძო კლუბებს მხოლოდ საგადასახადო შეღავათი შეხვდებათ, ჯერჯერობით ოდენ გაგონილ-გამოჟონილი ამბავია.

ამ გაგონილმა, გამოჟონილმა თუ გამოგონილმა ამბავმა კი კერძო კლუბების მფლობელები კარგ ხასიათზე ვერ დააყენა. ასეთ დროს სასტარტო პირობები სხვანაირია და შესაბამისად, სამართლიანობა აღარ გამოდის.

და რას ნიშნავს სახელმწიფო ფულის სამართლიანად გადანაწილება? რატომ უნდა შეხვდეს ყველას ერთი და იგივე თანხა?

სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს გერი კლუბი, სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს „ჯილა" კლუბი - ასეთები ადრე ხდებოდა და იმედია, აღარ მოხდება. ფულის გადანაწილების სხვა პრინციპია საჭირო, ეს პრინციპი კი ჯერ არ ვიცით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სახელმწიფო ფულს გამოვა საკლუბო ფეხბურთისთვის.

კულუარული ინფორმაციები თითქმის ყოველთვის მართლდება - ასეთი ზნე გვჭირს და თუ ამჯერადაც ყველაფერი ერთი-ერთზე დაჯდება, No Justice, No Peace ურიგო სლოგანი როდი იქნება.

დღეს კერძო კლუბები უმცირესობაში არიან და ეს არ არის კარგი ტენდენცია, ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების დონე ჩვენთან დაბალია და საფეხბურთო ბიზნესი თითქმის არ არსებობს.

უმაღლეს ლიგაში არის არაერთი ისეთი კერძო თუ მუნიციპალურ კლუბი, წინა ხელისუფლების პროექტს რომ წარმოადგენს. ეს იყო შერჩევითი დახმარება საფეხბურთო კლუბებისთვის. ზოგს ბევრი მილიონი პირდაპირ მისცეს, ზოგსაც ქარხანა გადასცეს იმ პირობით, რომ კლუბი მაღალ დონეზე შეენახა, ზოგსაც პირდაპირ დაავალეს გუნდის ყოლა - ასე შეიქმნა რამდენიმე წელგამართული საფეხბურთო კლუბი ყოფილი ხელისუფლების პირობებში.

უფრო ადრე ცოტა სხვანაირად იყო, სარბიელზე გამოჩნდნენ ისეთი შეძლებული კლუბებიც, რომლებიც დაფინანსებას რუსეთიდან იღებდნენ იქ მოსაქმე ქართველი ბიზნესმენების შემწეობით - ეს არხი ახლა გადაკეტილია.

აღარ არსებობენ უწყებრივი კლუბებიც.

მუნიციპალურების გარდა, უმაღლეს ლიგას ხუთი კერძო კლუბი შემორჩა და მათ კონსოლიდაცია რომც მოახერხონ, უმცირესობაში დარჩებიან, ამით სარგებლობა კი ვერ იქნება კარგი საქციელი.

რეჩხი მაშინ გაჩნდა, მუნიციპალური და კერძო კლუბები ცალ-ცალკე რომ შეიკრიბნენ და ასეთი განშტოებებით ისმენდა ფეხბურთის ფედერაცია კლუბების პრობლემებს.

კერძო კლუბები საგადასახადო შეღავათებს თუ მიიღებენ, ესეც დიდი საქმე იქნება და ესეც აქტივში ჩაეთვლება ხელისუფლებას, მაგრამ იქნება კი სამართლიანობა და მშვიდობა?

საგადასახადო შეღავათი რაღაც ვერ ჯდება სასტარტო მოცემულობაში. როცა სხვა კლუბებს ფულს აძლევ, ხოლო დანარჩენებსეუბნები, ფული შენით მიიტანე გუნდში და შეღავათი მერე ჩემზე იყოსო, თანაბარი პირობა ვერ გამოდის. ყველაზე ძვირფასი პროდუქტი ფულია და ეს კარგად ესმით კერძო კლუბების მესვეურებს.

No Justice, No Peace - აქედან ერთი წლის შემდეგ ლუთერ კინგი მოკლეს. ცხადია, აქ რაიმე პარალელი უადგილოა, თუმცა სამართლიანობის დარღვევას კარგი რეციდივები არ მოაქვს.

ქართულ საკლუბო ფეხბურთს ორი ფუნდამენტალისტი შემორჩა - **გურამ რუხაძე და ილია კოკაია.** ეს ისეთი უმცირესობაა, მარტივი არითმეტიკით რომ არ უნდა დაითვალოს...

ხელის წაკვრა ყველა ქანქარა მექანიზმს სჭირდება და ვფიქრობ, ეს მაინც არ უნდა იყოს სადავო - ფეხბურთის განვითარებისთვის კერძო სექტორის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია.

**დავით თავართქილაძე**

● საქართველოს XXIV ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება. ზესტაფონი

# ყველაზე წარუმატებელი სეზონი

"ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 2004 წლიდან თამაშობს და მართალია, უმალ ვერ შეძლო ევროსარბიელზე გასვლა, მაგრამ დაარსების დღიდან ამბიციური კლუბია და ასე სუსტად ჯერ არც ერთი სეზონი ჩაუტარებია.

ფეროელთა ღრმა კრიზისს სათავე გასულ ზაფხულს დაედო, როცა "ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაქოს "ნეფთჩისთან" დამარცხდა. ამას საქართველოს ჩემპიონატის სუსტი სტარტი და მთავარი მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა. ვითარება ამის შემდეგ კიდევ უფრო არასასიამოვნო გახდა. "ზესტაფონში" დიდხანს არც ახალი სამწვრთნელო შტაბის (**მუჯირი-ზამთარაძე**) მოღვაწეობა გაგრძელებულა და ისინი კლუბს სკანდალურად დაშორდნენ.

გასული წლის მიწურულს საქართველოს აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი **კახა კაჭარავას** ჩააბარეს, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა უმაღლესი ლიგის საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრება შეძლო, შემდეგ კი საქართველოს სუპერთასიც მოიპოვა, თუმცა პოზიტივი ამით დასრულდა – "ზესტაფონმა", რომელიც ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძოდა, ჩემპიონატის მეორე ეტაპი პირწმინდად ჩააგდო და გათამაშება მეხუთე ადგილზე დაასრულა.

მეორე ეტაპის ათი მატჩიდან ფეროელებმა ერთადერთი მოიგეს, მანამდე კი თასის გათამაშებას მერვედფინალიდან გამოეთიშნენ.

სეზონის მიწურულს კი "ზესტაფონში" არასპორტულმა პრობლემებმაც იჩინა თავი და კლუბის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი დღის წესრიგში დადგა. იმედი დავიტოვოთ, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება და ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბის არსებობას საფრთხე არ დაემუქრება.

მოკლედ, ამჟამად "ზესტაფონს" არსებობის ისტორიაში ყველა თვალსაზრისით ურთულესი პერიოდი უდგას და ვნახოთ, რა გამოსავალი მოიძებნება შექმნილი სიტუაციიდან.

## საუკეთესო მატჩი

ასეთი უსახური სეზონის შემდეგ საუკეთესო მატჩი ძნელი გასახსენებელია, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ პირველ ეტაპზე ჩატარებული შეხვედრა, სადაც "ზესტაფონმა" საკუთარ კედლებში თბილისის "დინამო" დაამარცხა.

## ყველაზე ცუდი მატჩი

ასეთი მრავლად იყო, ზესტაფონელი გულშემატკივრებისთვის ყველაზე უსიამოვნო კი, ალბათ, მაინც "დინამოსთან" წაგება იყო. ჩემპიონატის ბოლო ტურში "ზესტაფონი" "დინამო არენაზე" 1:6 განადგურდა.



მზერა ბუნდოვანი მომავლისკენ

## მეკარე

წლებია, "ზესტაფონის" ძირითადი კიპერის ადგილს არავის უთმობს **როინ კვასხვაძე**. იმერული კლუბის ოფიციალური მატჩების უმრავლესობაში მონაწილეობა სწორედ საქართველოს ნაკრების 23 წლის მეკარემ მიიღო და შეხვედრათა უმრავლესობა სტაბილურად ჩაატარა. ჩემპიონატის მიწურულს თავის გამოჩენის საშუალება მის პერსპექტიულ დუბლიორს, 21 წლის **კახაბერ მეშველიანსაც** მიეცა.

## დაცვა

**თედორე** და **თორნიკე გრიგალაშვილები** (ორივე 20 წლის) და 28 წლის **თემურ ლონლაძე** ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ჯანმრთელად ყოფნის დროს სისტემატურად ხვდებოდნენ "ზესტაფონის" სასტარტო შემადგენლობაში. მათ გარდა, იმერელთა უკანა ხაზში ხშირად ვხედავდით 25 წლის **გიორგი კაჭკაჭიშვილს**. ზამთარში "ზესტაფონმა" გამოცდილი და საკმაოდ ცნობილი ესპანელი მცველი, 32 წლის **ორიოლ ლოსანო** გადაიბირა, რომელმაც გუნდის ღირსება 7 მატჩში დაიცვა.

## ნახევარდაცვა

გუნდის უფერული ასპარეზობიდან გამომდინარე, ძირითად შემადგენლობაში როტაცია ხშირი იყო, რაც ყველაზე ხშირად შუა ხაზს ეხებოდა. "ზესტაფონის" ნახევარმცველებიდან გასულ სეზონში ყველაზე მეტი მატჩი 32 წლის **შოთა ბაბუნაშვილმა** ჩაატარა. მის გარდა, მოედანზე ხშირად ჩნდებოდნენ **თორნიკე გორგიაშვილი** (25 წლის), **ლევან შარიქაძე** (23 წლის), **თორნიკე აფციაური** (33 წლის) და სერბი **იგორ იელიჩი** (23 წლის).

## თავდასხმა

**ჯაბა დვალის** "დინამოში" წასვლის შემდეგ "ზესტაფონს" წინა ხაზში მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა. თავად განსაჯეთ, გასული ჩემპიონატის 35 მატჩში ფეროელებმა მხოლოდ 35 გოლი გაიტანეს, საიდანაც თავდამსხმელებზე მეტად მოკრძალებული წვლილი მოდის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ზესტაფონის ყველა მატჩი

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ზესტაფონი-მერანი | 3:1 |
| II ტური | ზესტაფონი-მეტალურგი | 0:1 |
| III ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| IV ტური | ზესტაფონი-დინამო (ბთ) | 0:0 |
| V ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| VI ტური | ზესტაფონი-დილა | 0:1 |
| VII ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 2:3 |
| VIII ტური | ზესტაფონი-ჩიხურა | 0:0 |
| IX ტური | სიონი-ზესტაფონი | 0:2 |
| X ტური | ზესტაფონი-ზუგდიდი | 1:0 |
| XI ტური | დინამო (თბ)-ზესტაფონი | 2:1 |
| XII ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:2 |
| XIII ტური | მეტალურგი-ზესტაფონი | 1:1 |
| XIV ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 1:0 |
| XV ტური | დინამო(ბთ)-ზესტაფონი | 3:3 |
| XVI ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 1:0 |
| XVII ტური | დილა-ზესტაფონი | 1:0 |
| XVIII ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XIX ტური | ჩიხურა-ზესტაფონი | 3:1 |
| XX ტური | ზესტაფონი-სიონი | 1:0 |
| XXI ტური | ზუგდიდი-ზესტაფონი | 0:3 |
| XXII ტური | ზესტაფონი-დინამო | 2:1 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 11 მოგება, 4 ფრე, 7 წაგება, ბურთები: 30-20*

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | დილა-ზესტაფონი | 2:1 |
| XXIV ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 0:0 |
| XXV ტური | ჩიხურა-ზესტაფონი | 1:0 |
| XXVI ტური | ზუგდიდი-ზესტაფონი | 0:0 |
| XXVII ტური | ზესტაფონი-დინამო (თბ) | 0:1 |
| XXVIII ტური | ზესტაფონი-დილა | 0:3 |
| XXIX ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| XXX ტური | ზესტაფონი-ჩიხურა | 1:4 |
| XXXI ტური | ზესტაფონი-ზუგდიდი | 2:0 |
| XXXII ტური | დინამო (თბ)-ზესტაფონი | 6:1 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 7 წაგება, ბურთები: 5-18*

*სულ: 32 მატჩი, 12 მოგება, 6 ფრე, 14 წაგება, ბურთები: 35-38*

მწვრთნელები: გიორგი ჭიაბრიშვილი (I-III ტური), გიორგი ყიფიანი (IV ტური), დავით მუჯირი/ზაზა ზამთარაძე (V-XVIII ტური), გიორგი მიქაძე (XIX, XXXII ტური), კახა კაჭარავა (XX-XXXI ტური)

მეკარეები: როინ კვასხვაძე - 28 მატჩი, კახაბერ მეშველიანი – 3 მატჩი, ზურაბ მამალაძე - 1 მატჩი;

მცველები: თედორე გრიგალაშვილი - 26 მატჩი, 1 გოლი; თორნიკე გრიგალაშვილი - 26 მატჩი, 1 გოლი; თეიმურაზ ლონლაძე - 23 მატჩი, 1 გოლი; გიორგი კაჭკაჭიშვილი - 19 მატჩი, 1 გოლი; პატრიკ მილხრაუმი - 17 მატჩი, 1 გოლი; ზაალ ელიავა - 8 მატჩი; მალხაზ გაგოშიძე - 8 მატჩი; ორიოლ ლოსანო – 7 მატჩი; მირიან რობაქიძე -2 მატჩი; ნოდარ გაჩეჩილაძე – 1 მატჩი;

ნახევარმცველები: შოთა ბაბუნაშვილი - 25 მატჩი, 3 გოლი; თორნიკე გორგიაშვილი - 22 მატჩი, 7 გოლი; ლევან შარიქაძე – 22 მატჩი, 3 გოლი, თორნიკე აფციაური - 22 მატჩი, 1 გოლი; იგორ იელიჩი - 20 მატჩი, 1 გოლი; ზურაბ მენთეშაშვილი - 15 მატჩი, 2 გოლი; დავით რაყამაშვილი - 14 მატჩი; ალექსი ბენაშვილი - 12 მატჩი, 2 გოლი; მიხეილ სარდალიშვილი - 8 მატჩი, 2 გოლი; დავით მუჯირი - 6 მატჩი; გურამ სამუშია - 8 მატჩი; ავთანდილ ენდელაძე – 7 მატჩი, დიმიტარ პეტკოვი – 4 მატჩი, ბერდია შარვაძე - 3 მატჩი, 1 გოლი; გიორგი ჭანკოტაძე – 2 მატჩი, გუგა კიკნაძე - 1 მატჩი;

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი - 17 მატჩი, 4 გოლი; ბოტი გოა დემელი - 17 მატჩი, 3 გოლი; ოთარ კვერნაძე - 13 მატჩი, 1 გოლი; ლევან კუტალია – 9 მატჩი; ვახტანგ ჭანტურიშვილი - 5 მატჩი; მოჰამედ რეკრუკი – 5 მატჩი, აბაიომი ოვონიკოკო - 3 მატჩი; ილია კერძევაძე – 1 მატჩი.



კახა კაჭარავა

● პირველი ლიგა. ბოლო ტური

### A ჯგუფი

**მეშახტე – რაჭა 3:0**

27.05. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 ბ. კოლუაშვილი (25), 2:0 ი. კილაძე (39), 3:0 ვ. გიორგაშვილი (63)

მეშახტე: ი. კუჭუხიძე (82. ნ. ჯოხაძე), გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, ბ. კოლუაშვილი. ვ. გიორგაშვილი (80. ა. ქაშაკაშვილი), მ. ყლენტი (77. გ. ხეცურიანი), ო. გიორგობიანი, ბ. ჯიშიაშვილი

მწვრთნელი: დ. რუხაძე

რაჭა: ა. აბულაძე, ზ. ვარდუაშვილი, ზ. ქაჯაია, ლ. ნეფარიძე (65. თ. მუკბანიანი), ი. ხუნდაძე (55. ბ. ხომერიკი), გ. ჭაავა, ვ. ჭაბუკიანი, ლ. შაიშმელაშვილი (59. ბ. ზაზაშვილი), გ. მაისაშვილი, თ. კოხრეიძე, ლ. შილაკაძე

სათადარიგოები: გ. მრელაშვილი თ. კირკიტაძე

მწვრთნელი: ზ. ჯიბუტი

გაფრთხილება: გ. გვენეტაძე, ო. გიორგობიანი, ბ. ჯიშიაშვილი; ვ. ჭაბუკიანი, გ. მაისაშვილი

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

**იმერეთი – დინამო 2 1:4**

27.05. ხონი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ლ. შინდაგორიძე (37), 0:2 ვ. ფოცხვერია (45), 0:3 ლ. ჩაფიძე (68), 1:3 იაკობ დეისაძე (74), 1:4 ვ. ფოცხვერია (79)

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურძანია, გ. გოდერიძე (55. გ. ხვიჩია), ბ. ჩხეტიანი (55. დ. გობერიძე), იაკობ დეისაძე, დ. კუხალაშვილი (46. გ. ცაგარეიშვილი), იაგო დეისაძე, გ. მანაგაძე

სათადარიგოები: დ. სულაბერიძე, მ. აშვეთია, თ. ლომთაძე, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: გ. ხაზარაძე

დინამო-2: ლ. ტყეშელაშვილი, ა. ტვილდიანი, თ. კაკულია, ბ. მახარობლიძე, ო. კაკაბაძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. პარუნაშვილი, ლ. ჩაფიძე (81. გ. მურცხვალაძე), მ. ჯიშკარიანი (73. ა. სარიშვილი), ვ. ფოცხვერია, ლ. შინდაგორიძე (73. ს. ლობჟანიძე)

სათადარიგო: ლ. შოვნაძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: ს. მეძველია; ნ. კვეკვესკირი

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**სულორი – გურია 0:1**

27.05. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 500 მაყურებელი

0:1 ლ. ჯანგიძე (41)

სულორი: დ. ხურციძე, გ. ბერიშვილი, ა. ქებულაძე (52. თ. მაღლაკელიძე), გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, თ. სანიკიძე, შ. ბაბუნაშვილი, გ. პირანაშვილი (77. დ. ბახტაძე), ბ. ბელქანია, ბ. სულაბერიძე (52. თ. ძაგნიძე)

სათადარიგოები: გ. ბალდავაძე, ნოდარ გიორგაძე, შ. ლვინიანიძე, ლ. გაბუნია

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გურია: მ. გოგუაძე, ა. ჩუენსუ, გ. მაჩაიძე, დ. მაისაშვილი, ლ. ჯანგიძე, ა. გოგობერიშვილი, ვ. დარჩიძე, ა. შენგელია (77. ს. ფირცხალაიშვილი), კ. შალამბერიძე, ლ. ჩალაძე (60. ე. კილაძე), ტ. კუკულაძე

სათადარიგოები: ლ. ვართაგავა, რ. იმერლიშვილი, ზ. კვარაცხელია

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: ა. როხვაძე; გ. მაჩაიძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**ჭიათურა – სასკო 3:0**

27.05. საჩხერე. „ძველი სტადიონი". 200 მაყურებელი

1:0 დ. ციცხვაია (36), 2:0 დ. ციცხვაია (80), 3:0 დ. სევასტოპულო (85)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. ტყებუჩავა (40. ნ. გაფრინდაშვილი), გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე (85. თ. ხარებავა), ი. შალიკაშვილი, ი. სარალიძე, გ. ბარბაქაძე (68. ა. ბაბლიძე), მ. ჭკადუა, დ. ციცხვაია, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, დ. შეყილაძე, ლ. კუჭაშვილი, ს. გაბაძე

მწვრთნელი: გ. სანაია

სასკო: ა. ნონოსი, გ. გაგნიძე, დ. აბესაძე (86. გ. პაპუნაშვილი), გ. შეწირული, თ. მოგელაძე, ე. ეგიაზრიანი (64. კ. ახალაია), ა. ბაგაშვილი, ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე, გ. კვარაცხელია (64. თ. უხურგუნაშვილი)

სათადარიგოები: დ. კუჭუხიძე, გ. ცირამუა

გაფრთხილება: ლ. ჩაგელიშვილი, ი. შალიკაშვილი, დ. ციცხვაია; ა. ნონოსი, თ. მოგელაძე, ა. ბაგაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**სქური – სტუ 0:2**

27.05. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 100 მაყურებელი

0:1 კ. კახაბრიშვილი (12) 0:2 კ. კახაბიშვილი (24)

სქური: ი. მოლაშხია, ი. ფაცაცია (75. ი. ქარდავა), ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. სორდია (34. ლ. მორგოშია), გ. ჭკუასელი, გ. კვირკვია (51. ნ. არახამია)

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

სტუ: მ. ძიძიგური, ნ. ბიწკინაშვილი, დ. ქიმერიძე, გ. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, მ. გოგატიშვილი, გ. არახამია, კ. კახაბრიშვილი, დ. კოხრეიძე, ა. ლაცაბიძე, ჯ. კოლუა

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

გაფრთხილება: ლ. გაბუნია; ნ. ბიწკინაშვილი, ჯ. კოლუა

გაძევება: ლ. გაბუნია

არბიტრი: ზ. ტულუში

**ბეთლემი – გაგრა 3:3**

27.05. ძედა. ცენტრალური. 100 მაყურებელი

0:1 ნ. ხოჯაშვილი (15), 1:1 ლ. კალანდაძე (39), 1:2 გ. მაგრაქველიძე (80), 1:3 ჯ. ჯერემია (85), 2:3 ი. ნაჭყებია (90), 3:3 შ. გაგუა (90)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე (67. ი. ჩხაიძე), ნ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, გ. ბერიძე, თ. თედორაძე, ი. ნაჭყებია, დ. ჯალალანია, ზ. კეკელიძე, ი. ბოლქვაძე, შ. გაგუა

სათადარიგოები: გ. კახიანი, ჯ. გიორგაძე, კ. ქაცარავა, ვ. კუნჭულია, ვ. რუხაძე, ზ. სეიდიდი

გაგრა: გ. დობორჯგინიძე, გ. ფალავანდიშვილი, ნ. ხოჯაშვილი, გ. გადრანი, თ. ყიშკარიანი, ბ. მუმლაძე, ვ. გაბისკირია, რ. წანკრიალაშვილი (55. ა. მუსელიანი), ბ. ტეიდი, ჯ. ჯერემია, ნ. მაგრაქველიძე

სათადარიგოები: დ. მალალდაძე, გ. ამირანაშვილი, ლ. ყუბანეიშვილი

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ნ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე; თ. ყიშკარიანი, ჯ. ჯერემია

გაძევება: თ. თედორაძე; თ. ყიშკარიანი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 33 | 27 | 4 | 2 | 86-20 | 85 |
| 2. დინამო-2 | 33 | 21 | 6 | 6 | 100-42 | 69 |
| 3. სასკო | 33 | 20 | 4 | 9 | 84-38 | 64 |
| 4. გაგრა | 33 | 16 | 5 | 12 | 63-46 | 53 |
| 5. მეშახტე | 33 | 13 | 6 | 14 | 42-66 | 45 |
| 6. ჭიათურა | 33 | 12 | 7 | 14 | 39-47 | 43 |
| 7. იმერეთი | 33 | 12 | 7 | 14 | 37-46 | 43 |
| 8. სტუ | 33 | 12 | 3 | 18 | 63-75 | 39 |
| 9. სქური | 33 | 10 | 8 | 15 | 33-51 | 38 |
| 10. ბეთლემი | 33 | 10 | 5 | 18 | 40-76 | 35 |
| 11. სულორი | 33 | 7 | 4 | 22 | 30-72 | 25 |
| 12. რაჭა | 33 | 7 | 3 | 23 | 39-77 | 24 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გიგა კვერენჩხილაძე (გურია) | 23 |
| გიორგი ქვილითაია (სასკო) | 22 |
| ჯონ ჯერემია (გაგრა) | 20 |

### B ჯგუფი

**მერცხალი – ლოკომოტივი 1:2**

25.05. ოზურგეთი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 ს. გ. ჩიგოგიძე (5), 1:1 დ. დარციმელია (43, პენალტით), 1:2 ჯ. ყანჩაშვილი (88)

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი, ს. გ. ჩიგოგიძე, გ. კაშია, გ. მექვაბიშვილი, ნ. მაჭავარიანი, გ. მალაზონია, გიორგი გოგუა (64. ლ. ესაძე), ლ. კოტრიკაძე, გ. ყლენტი (75. გ. ხამაშურიძე), ვ. ჯაყელი (82. ი. კალაჯიშვილი)

სათადარიგოები: გ. პაპკოვი, ი. ხეცურიანი, ლ. ათუაშვილი, ლ. კალაჯიშვილი მწვრთნელი: ს. გაგუა

ლოკომოტივი: დ. საჯაია, გ. გაბაძე, გ. მაკასარაშვილი, ენდიკა ბორდასი (33. ო. პატარკაციშვილი), რ. ჩიტეიშვილი, გ. გოროზია (72. გ. ლუკავა), გ. ბაქრაძე (46. ა. გუგუშვილი), ჯ. ყანჩაშვილი, მ. ცინცაძე, ე სულთანიშვილი, დ. დარციმელია

სათადარიგოები: ბ. ტყემალაძე, დ. გუჯაბიძე, გ. დუმბაძე, ლ. კიკაბიძე

მწვრთნელი: ჟერარდ სარაგოსა

გაფრთხილება: გ. კაშია, გ. მალაზონია; ე. სულთანიშვილი, დ. დარციმელია

არბიტრი: თ. გვანცელაძე

**ადელი – შუქურა 1:2**

25.05. ბათუმი. ადელი. 200 მაყურებელი

0:1 მ. კოპალიანი (13), 0:2 გ. ჩელებაძე (54), 1:2 გ. სირაბიძე (62),

ადელი: გ. რომანაძე, დ. რუხაია (72. თ. გიორგაძე), ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე, ზ. კონცელიძე, თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი (56. ი. ლოლობერიძე), გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე (58. ლ. მიქაძე), ბ. კახიძე

სათადარიგოები: გ. მურმანიძე, კ. ბაგალიშვილი, ნ. ყიფიანი, თ. მჟავანაძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

შუქურა: გ. შერვაშიძე, მ. ფუტკარაძე (70. გ. ზოიძე), ა. ბრაჭული, ლ. ელიზბარაშვილი, ი. ხუჭუა, ა. გოგიტიძე (46. ლ. ანანიძე), ს. ართმელაძე, გ. ჩელებაძე, გ. ჩხიკვიშვილი, ო. ტაკიძე, მ. კოპალიანი (81. ვ. ცენტერაძე)

სათადარიგოები: დ. გაბელია, ლ. მახარაძე, მ. ქათამაძე, ზ. ტულუში

მწვრთნელი: ა. ბალაძე

გაფრთხილება: ბ. ჯუგაშვილი; ა. ბრაჭული

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**ჩხერიმელა – სპარტაკი 1:5**

25.05. თბილისი. „ტორპედო-ავაზა". 200 მაყურებელი

0:1 ლ. ქურდაძე (6), 0:2 გ. ნარიმანიძე (12), 0:3 კ. კაკაშვილი (21), 0:4 ზ. მეტრეველი (30), 1:4 გიორგი კიკნაძე (34), 1:5 ზ. მეტრეველი (87)

ჩხერიმელა: გ. ნიქაბაძე, დ. ხარჩილავა, ჯ. არევაძე, გ. მეტრეველი, თ. კიკნაძე, ვ. აფციაური, ი. ჩუბინიძე, ჯ. მამუდოვი (73. გ. ლობჟანიძე), ს. სვანიძე (51. გ. ცუცქირიძე), გიორგი კიკნაძე, დ. ვაშაკიძე

სათადარიგოები: გივი კიკნაძე, ჯ. ავალიშვილი

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

სპარტაკი: ა. ხალიევი, ლ. ჭაფოძე (59. ლ. თვალავაძე), ნ. მგელაძე, ლ. ქურდაძე, კ. ხიზანეიშვილი, უ. ბურძენაძე, გ. ნარიმანიძე, ლ. კემუხტაშვილი (56. თ. მაქაცარია), კ. კაკაშვილი, გ. ცერცვაძე (73. ა. ხუბეჟოვი), ზ. მეტრეველი

სათადარიგო: გ. ნადირაძე

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

არბიტრი: ჯ. ხორავა

**ალგეთი – სამტრედია 0:4**

25.05. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელ

0:1 ბ. გედენიძე (30), 0:2 გ. ბოხუა (60), 0:3 შ. კერძევაძე (75), 0:4 გ. ხვედელიძე (81)

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, შ. გალეგაშვილი (63. ა. ნოზაძე), ი. ალასანია (46. ი. ჯოჯიშვილი), გ. ჭოველიძე, უ. მამულაშვილი (46. გ. ქარჩილაძე), ს. პილიევი, ი. სვანიძე, გ ტუხაშვილი, ს. ჭიკაიძე, თ. ბახტურიძე

სათადარიგოები: გ. პატარქალიშვილი, მ. მაღლაკელიძე, მ. მახათაძე, ვ. გოგოხია

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

სამტრედია: ნ. ბანძავა, ბ. გედენიძე (69. ბ. ახობაძე), ს. გოგია, ბ. ჩხიკვაძე, დ. სამსეიშვილი, ლ. ხაჭაპურიძე, თ. კიკაბიძე (46. ა. დვალიშვილი), გ. მელქაძე, შ. კერძევაძე, გ. რუხაძე (78. გ. ხვედელიძე), გ. ბოხუა

სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, დ. კეკელიძე, ნ. ჩიხლაძე, ზ. ნიკურაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ი. სვანიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**ლიახვი – კოლხეთი (ხ) 1:2**

25.05. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

1:0 გ. მინდორაშვილი (3), 1:1 პ. გაბრავა (54), 1:2 გ. გოგენია (81)

ლიახვი: თ. გოგიძე, გ. მინდორაშვილი, მ. ჯიქია თ. შუბითიძე, ა. ქელიხაშვილი, დ. ბარნაბიშვილი, ლ. კომლაძე, ნ. კვარაცხელია (70. გ. ოქრუაძე), ბ. საგანელიძე (59. ნ. ლიპარიშვილი), ზ. ჭადაშვილი (46. გ. ნონიაშვილი), შ. ალხიძე

მწვრთნელი: უ. ქანთარია

კოლხეთი: ლ. ჭურღულია, ე. გოგენია, დ. ჭითანავა, კ. გოგენია, პ. გაბრავა, გ. ლომაია (46. რ. ცობეხია), ბ. ბუკია, გ. პაჭკორია, ლ. ჯიქიძე (46. თ. ღლონტი), ლ. ქაშიბაძე (53. ვ. ფირცხელავა), ი. გერგაია

სათადარიგოები: ლ. გოგენია, ლ. მეფიშვილი, რ. ჩიტაია, ზ. გელაშვილი

არბიტრი: ბ. ნინუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 30 | 25 | 2 | 3 | 82-15 | 77 |
| 2. ლოკომოტივი | 30 | 19 | 6 | 5 | 70-29 | 63 |
| 3. შუქურა | 30 | 19 | 4 | 7 | 56-25 | 61 |
| 4. კოლხეთი | 30 | 18 | 3 | 9 | 43-28 | 57 |
| 5. სამტრედია | 30 | 17 | 4 | 9 | 52-37 | 55 |
| 6. სამგურალი | 30 | 13 | 7 | 10 | 59-48 | 46 |
| 7. ალგეთი | 30 | 10 | 3 | 17 | 39-54 | 33 |
| 8. მერცხალი | 30 | 5 | 10 | 15 | 37-52 | 25 |
| 9. ჩხერიმელა | 30 | 6 | 2 | 22 | 34-91 | 20 |
| 10. ლიახვი | 30 | 4 | 6 | 20 | 29-74 | 18 |
| 11. ადელი | 30 | 4 | 3 | 23 | 27-75 | 15 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| თორნიკე კაპანაძე (სამგურალი) | 27 |
| ზვიად მეტრეველი (სპარტაკი) | 21 |
| დავით ჯიქია (ლოკომოტივი) | 18 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# უშიშარი კელტები უემბლიზე

## როი ჰოჯსონის ლომები ისევ ვერ ლომობენ

**ინგლისი–ირლანდია 1:1**

**გოლები:** 0:1 ლონგი (13), 1:1 ლამპარდი (23)

**ინგლისი:** ჰარტი (46. ფოსტერი), გ. ჯონსონი (46. ფ. ჯონსი), იაგიელკა, კეჰილი, ე. კოული (53. ბეინსი), ლამპარდი, კერიკი, უოლკოტი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი (87. მილნერი), რუნი, სტარიჯი (33. დეფო).

**ირლანდია:** ფორდი, კოულმენი, ოში, კელი, სენტ-ლეჯერი, მაკარტი, უილანი (73. ჰენდრიკი), უოლტერსი (81. სემონი), მაკგიდი (68. მაკლინი), ლონგი, რ. კინი (65. კოქსი).



გოლი ინგლისელთა კარში

სულ რაღაც 4 დღე გავიდა ჩემპიონთა ლიგის თვალწარმტაცი ფინალის შემდეგ და „უემბლიზე“ შეკრებილმა მაყურებელმა სულ სხვა სტილის თამაში იხილა. მასპინძელმა ინგლისმა ირლანდია მიიღო და ულიმღამო შეხვედრაში ფრედ 1:1 ითამაშა. **ჯოვანი ტრაპატონის** შეგირდებმა ლონდონში საპატიო შედეგს მიაღწიეს. მართალია, **როი ჰოჯსონს** წამყვანი ფეხბურთელები დააკლდა, მაგრამ ამით ყველაფრის გამართლება უბრალოდ არ შეიძლება. 65 წლის სპეციალისტი თამაშამდე გულშემატკივარს არწმუნებდა, ჩემი გუნდი კარგ განწყობაზეა და პრინციპულ მეტოქესთან ნამდვილ ბრძოლას იხილავთო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ბრიტანულმა დერბიმ მისთვის ჩვეული ჟინის გარეშე ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ **ეშლი კოულისთვის** ეს მატჩი მე-100 აღმოჩნდა სანაკრებო კარიერაში. **სტივენ ჯერარდის** არყოფნაში გუნდი მოედანზე **ფრენკ ლამპარდს** უნდა გაეყვანა, მაგრამ მან ეს პატივი იუბილარ მეგობარს დაუთმო.

სტუმრებმა შეხვედრა ფრთხილად დაიწყეს. „კელტები“ ძირითადად ფეხმარდი გარემარბებისა და მათი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. ანგარიში კლასიკურ ინგლისურ სტილში გაიხსნა. **შეიმუს კოულმენის** ფლანგურ გადაცემას **შეინ ლონგი** თავით გამოეხმაურა, პოზიციის უკეთ შერჩევის ხარჯზე **გლენ ჯონსონს** თავზე იოლად აჯობა და ბურთი მეკარისგან შორეულ მაღალ კუთხეში გაახვია. საკითხავია, სად იყვნენ ამ დროს ცენტრალური მცველები **გარი კეჰილი** და **ფილ იაგიელკა** და რატომ დასჭირდა „ლივერპულის“ მარჯვენა მცველს მათი დაზღვევა. თავის მხრივ ირლანდიელებიც შეცდნენ, როცა უპირატესობის განვრცობაზე არ უფიქრიათ. ინგლისელებმა ისინი მალევე გამოიჭირეს შეცდომაზე და ანგარიში გაათანაბრეს. **დენიელ სტარიჯმა** ფრენკ ლამპარდს ორ მცველს შორის გაუჭრა ბურთი, ვეტერანს კი ისლა დარჩენოდა, ახლო მანძილიდან კარში გადაეგზავნა. **დევიდ ფორდი** ამ მომენტში ნამდვილად უძლური იყო. მთელი დარჩენილი შეხვედრა „სამმა ლომმა“ უფანტაზიო შეტევებში გაატარა და თუ რამე შეეძლო, მხოლოდ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე. ამ მხრივ ყველაზე მეტად **თეო უოლკოტი** გამოირჩეოდა.

სულ ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ შეხვედრის 33-ე წუთზე „სტოკ სიტის“ ნახევარმცველ **გლენ უელანთან** შეჯახებისას მიღებული ტრავმის გამო ნაკრებს დროზე ადრე გამოაკლდა დენიელ სტარიჯი. გუნდის სამწვრთნელო შტაბმა უკვე დაადასტურა, რომ 25 წლის თავდამსხმელი 2 ივნისს ბრაზილიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ვერ ითამაშებს.

**მატჩის შემდგომ**

**როი ჰოჯსონი:** „ძალიან არ გაგვიმართლა. ოფიციალური სანაკრებო თამაშების თარიღი 6 ივნისს არის. ჩვენ კი არ გვინდოდა ფეხბურთელების ამდენი ხნით გაჩერება, რადგან ხანგრძლივი სეზონის შემდეგ ისინი დაღლილები არიან და მხოლოდ დასვენებაზე ფიქრობენ. შეკრება კიდევ ერთი კვირა გაგრძელდება, რის შემდეგაც ისინი თავისუფლები იქნებიან. კარგი იქნებოდა, ბიჭებს პრემიერლიგის ბოლო ტურის შემდეგ დასვენების საშუალება მისცემოდათ, მაგრამ კლუბებმა შეკრებებზე გამგზავრება შორეულ ქვეყნებში გადაწყვიტეს და ამით სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმეს. ზოგი ბაჰამის კუნძულებზე გაფრინდა, ზოგი აშშ-ში. თუმცა ჩვენ არ გვაქვს უფლება, კლუბებს რამე ავუკრძალოთ“.

**ეშლი კოული:** „ჩემთვის ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშია კარიერაში. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ჩემი ქვეყნის ნაკრებში ამდენჯერ ვითამაშებდი. დიდი მადლობა გულშემატკივრებს. მათგან სწორედ ასეთ შეხვედრას ველოდი. ამწუთას ძალიან ამაყი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ გუნდს ვუკაპიტნე. ძალიან არ მიყვარს ამაზე აპელირება, მაგრამ ბავშვობის ოცნება ამიხდა“.

**ჯოვანი ტრაპატონი:** „ინგლისის ნაკრები თავისი პოტენციალით მსოფლიოში სამეულში თუ არა ხუთეულში ნამდვილად შედის, ჩემს გუნდში კი, მინიმუმ ხუთ კაცს, გამოცდილება აკლია, ასეთი დონის გუნდთან შეხვედრაში მათ სერიოზულად შეუძლიათ მომატება. თამაშის დაწყებამდე ბიჭებს ერთადერთი რამ ვთხოვე - ყოველგვარი შიშის გარეშე ეთამაშათ. შედეგი ადასტურებს, რომ ისინი სწორედ ასე მოიქცნენ. მათთვის ამ მატჩს მართლა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.

ჩელსი

# განსაკუთრებული შემთხვევა

გუშინ დილას „სანმა“ ექსკლუზიურად მოპოვებული ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ **ჟოზე მოურინიომ** „ჩელსისთან“ 4-წლიან კონტრაქტს სამშაბათს მოაწერა ხელი. 50 წლის პორტუგალიელი ამ ხნის განმავლობაში ხელფასის სახით 40 მილიონ ფუნტს მიიღებს. *„ჟოზე ისევ ლონდონშია და ეს ფაქტი ყველას განსაკუთრებულად ახარებს, როგორც კლუბის თანამშრომლებს, ისე ფეხბურთელებსა და გულშემატკივარს. მოუთმენლად ველოდებით მომდევნო სეზონს,“* - განუცხადა ტაბლოიდს „ჩელსის“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ინკოგნიტო წყარომ. სავარაუდოა, რომ კონტრაქტის დეტალებზე მხარეები 27 მაისს შეთანხმდნენ. ორშაბათს მოურინიო ლონდონში იმყოფებოდა, სადაც „უემბლიზე“ „კრისტალ პალასისა“ და „უოტფორდის“ შეხვედრას დაესწრო. „განსაკუთრებულ კაცს“ „რეალში“ ერთი თამაშიღა დარჩა ჩასატარებელი: ხვალ სამეფო კლუბი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ოსასუნას“ უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ჟოზე „ჩელსის“ 2004/07 წლებშიც წვრთნიდა და კლუბს 6 ტიტული მოაპოვებინა, მათ შორის 2004/05, 2005/06 წლების პრემიერლიგაც.

„ტაიმსი“ „ჩელსიზე“ კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს: ლონდონელთა სპორტული დირექტორი **მაიკლ ემანელო** მოურინიოსთან ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შემდეგ კლუბიდან წასვლას აპირებდა, რადგან ცნობილია, რომ პორტუგალიელს მასთან თანამშრომლობის პერსპექტივა არ ხიბლავს. ემანელოს განცხადება **რომან აბრამოვიჩმა** არ დააკმაყოფილა. შესაძლოა, მომდევნო სეზონისთვის ნიგერიელ ფუნქციონერს განსხვავებული მისია დაეკისროს. რუსი ოლიგარქი მას საფეხბურთო საკითხებში მთავარ მრჩევლად განიხილავს.

### პირველი ტრანსფერი

გუშინდელი დღე „ჩელსისთვის“ ნამდვილად გამორჩეული იყო, რადგან მოურინიოს გარდა ლონდონელებმა კიდევ ერთი ახალწვეული დაიბევეს. ლაპარაკია „ლევერკუზენისა“ და გერმანიის ნაკრების 22 წლის გარემარბ **ანდრეა შიურლეზე**. კლუბებს შორის გარიგება გერმანელთა სპორტულმა დირექტორმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა** დაადასტურა. კონკრეტული თანხის გარდა (ოდენობა უცნობია), რამაც „ფარმაცევტები“ როგორც იქნა დაითანხმა, „ჩელსიმ“ „ბაი არენაზე“ **კევინ დე ბრუინე** ერთწლიანი იჯარით მიაგია.



ჟოზე მოურინიო ლონდონში ოთხ წელიწადს გაატარებს

ამბები



მარკ ჰიუზი

### ჰიუზი დაინიშნა

49 წლის **მარკ ჰიუზმა** დამოუკიდებელი სამწვრთნელო კარიერა 14 წლის წინ დაიწყო და თანაც პირდაპირ საკუთარი ქვეყნის ნაკრებში. უელსელს მას მერე უმუშავია „ბლექბერნში“, „მანჩესტერ სიტიში“, „ფულჰემსა“ და „ქუინზ პარკში“. ამ ხნის განმავლობაში მან გუნდებს 400-მდე შეხვედრაში უხელმძღვანელა, მაგრამ წამლად ერთი ტიტულიც კი არ მოეპოვება. მიუხედავად ამისა, მასზე, როგორც მწვრთნელზე, მოთხოვნა ჯერ კიდევ არის. უცნაურია, მაგრამ ფაქტი და მას ვერსად გავექცევით. ორიოდე თვის წინ „ლიდსიდან“ დათხოვნილმა **ნილ უორნოკმა** ხელმძღვანელობაზე განაწყენებულმა განაცხადა, თუკი ჰიუზს დანიშნავენ, ოცნებას ამისრულებენ, ის ჩემს ყოფილ კლუბს მიწასთან გაასწორებსო. აი, ასეთი ავტორიტეტით სარგებლობს ეს სპეციალისტი. გუშინ უელსელი „ბრიტანია სტედიუმზე“ „სტოკ სიტის“ დამრიგებლად წარადგინეს. იმედია, პრემიერლიგის თვითმყოფად გუნდს მისგან ისეთივე განსაცდელი არ ელის, რაც მან „ქუინზ პარკს“ დაატეხა თავს.

### პელეგრინიმ სიტი დაადასტურა

BBC-ის ცნობით, „მანჩესტერ სიტისა“ და **მანუელ პელეგრინის** შორის კონტრაქტის დეტალები უკვე შეთანხმებულია. ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი რამდენიმე დღეში გაიმართება. 59 წლის ჩილელს „მალაგაში“ პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის მატჩი დარჩა ჩასატარებელი. შაბათს ის „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ დაუპირისპირდება და მანჩესტერს მხოლოდ ამის მერე ეწვევა. *„სიტისთან“ ზეპირი შეთანხმება უკვე არსებობს. იმედია, ყველაფერს მალე დაესმება წერტილი,“* - განაცხადა სამხრეთამერიკელმა ერთ-ერთ ესპანურ რადიოსთან ინტერვიუში. სინიორ მანუელი „ეტიჰადზე“ **რობერტო მანჩინის** შეცვლის. კლუბმა იტალიელს ჩემპიონთა ლიგასა და ასოციაციის თასზე წარუმატებლობები არ აპატია. მან ვერც პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება მოახერხა.

### ფელაინი: ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ

„ევერტონის“ ბელგიელი ნახევარმცველის, 25 წლის **მარუან ფელაინის** თქმით, მას სულაც არ აქვს გადაწყვეტილი „ევერტონიდან“ წასვლა და შესაბამისად, ნაკლებად აინტერესებს, რა იწერება მასზე გაზეთებში. აი, რა თქვა ფეხბურთელმა: *„მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც ტრანსფერებს ეხება, მხოლოდ იმ ადამიანებმა უნდა განიხილონ, ვისაც ამ საკითხებთან პირდაპირი შეხება აქვთ. პირადად მე „გუდისონ პარკზე“ ყველაფრით კმაყოფილი ვარ და დანარჩენი რაც ჩემს მომავალზე იწერება, მხოლოდ ჭორებია. არასოდეს მითქვამს, რომ ჩემთვის ეს უკანასკნელი სეზონი იყო „ევერტონში“. მთავარი მწვრთნელის წასვლა კი არაფერს ცვლის. დევიდ მოიესმა უზარმაზარი გამოწვევა მიიღო, მაგრამ მას არასოდეს უთქვამს ხმამაღლა, რომ „იუნაიტედში“ ჩემი წაყვანა სურდა. ამის შესახებ პირველად მეც გაზეთებში წავიკითხე. ჩემი დღევანდელი დღე, ეს „ევერტონია“. არასოდეს იცი, რა მოხდება ხვალ და ზეგ, მაგრამ რაშიც დარწმუნებული ვარ, ის არის, რომ ერთ-ერთ საუკეთესო ინგლისურ კლუბში ვირიცხები, სადაც ყოველმხრივ საუკეთესო პირობები მაქვს შექმნილი“.*

### ჰალკს ინგლისში იწვევენ

„ზენიტისა“ და ბრაზილიის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელ **ჰალკის** აგენტმა პოპულარულ გამოცემა O Jogo-სთან ინტერვიუში საინტერესო განცხადება გააკეთა. **თეოდორ ფონსეკას** თქმით, მის კლიენტს ინგლისური პრემიერლიგის ორი გრანდი „ჩელსი“ და „ტოტენჰემი“ იწვევს. გეტყვით იმასაც, რომ ფონსეკამ „მონაკოს“ მხრიდან დაინტერესება კატეგორიულად უარყო. სამხრეთამერიკელ ვარსკვლავს რუსულ კლუბთან ხელშეკრულება 2017 წლამდე აკავშირებს. მსურველებს მასში სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ.

### ლუის სუარესი რეალში?

მას მერე, რაც „ლივერპულის“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა, **ლუის სუარესმა** ინტერვიუში ორაზროვნად განაცხადა, რომ არ გამორიცხავს პრემიერლიგიდან წასვლას, ხმა დაირხა, რომ მისით მადრიდის „რეალი“ დაინტერესდა. მით უმეტეს, რომ ფეხბურთელმა თავად აღნიშნა - *„რეალისთანა“ კლუბის წინადადებაზე უარის თქმა რთული იქნებაო.*

თუმცა საღამოს 26 წლის ურუგვაელის აგენტმა **პერე გვარდიოლამ** (**პეპის** ძმა) უარყო ხმები და აღნიშნა, რომ ლუისი „ლივერპულში“ რჩება: *„ის აქ ბედნიერია და მომავალ სეზონშიც „ლივერპულში“ დარჩება“.*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ნაპოლი



ედინსონ კავანი

# 30 მილიონი ევრო და ფერნანდო ტორესი

## კავანის სანაცვლოდ

**ედინსონ კავანის** გარშემო კვლავაც დიდი აურზაურია და ასე იქნება მანამ, სანამ მისი მომავალი საბოლოოდ არ გაირკვევა. გუშინ, 26 წლის ურუგვაელმა ჟურნალისტებს გული გადაუშალა და განაცხადა, რომ ბავშვობაში მადრიდის „რეალში" ასპარეზობაზე ოცნებობდა. ბუნებრივია, ამ ფრაზას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ჟურნალისტებიც ურუგვაელის „სამეფო კლუბში" გადაბარგებაზე ალაპარაკდნენ. მალევე, კავანი ერთხელაც გამოჩნდა მედია სივრცეში და მოკლე განმარტება გააკეთა:

*„დიახ, მე მართლაც განვაცხადე, რომ მადრიდის „რეალში" თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ესპანეთში ვაპირებ გადასვლას. ადრეც ვთქვი და კიდევ არაერთხელ ვიტყვი, რომ „ნაპოლიდან" წასვლის სურვილი არ მაქვს. ჩემი ბედი აურელიო დე ლაურენტისის ხელშია და როგორც „ნაპოლის" ბოსები გადაწყვეტენ, ისე მოვიქცევი. ბუნებრივია, ნებისმიერ გუნდში არ გადავალ, რადგან ჩემთვის მთავარი სპორტული მოტივაციაა და არა ფინანსური მხარე. მოვიცადოთ და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი".*

მადრიდის „რეალის" მესვეურები კავანის შესაძლო გადაბირებაზე არაფერს ამბობენ და ურუგვაელის მომავალსაც უფრო ხშირად ინგლისურ გუნდებს უკავშირებენ. აქამდე, ყველაზე ხშირად „მანჩესტერ სიტის" ახსენებდნენ, გუშინ კი წინა პლანზე „ჩელსის" ვარიანტმა წამოიწია. „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **აურელიო დე ლაურენტისმა** ლონდონიდან უკვე მიიღო შეთავაზება, რომელიც მაცდურად ჟღერს: 30 მილიონი ევრო და **ფერნანდო ტორესი** კავანის სანაცვლოდ. საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს დე ლაურენტისი, რომელსაც ახალ მთავარ მწვრთნელთანაც მოუწევს კონსულტაციის გავლა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, **რაფაელ ბენიტესმა** უკვე გადასცა პრეზიდენტს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც სიამოვნებით იხილავდა „ნაპოლიში". ამბობენ, რომ აღნიშნულ სიას სათავეში **ხავიერ მასკერანო** უდგას. 28 წლის არგენტინელი „ბარსელონას" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა, ამ სეზონში 40 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მისი ნეაპოლში წაყვანა იოლი საქმე არ უნდა იყოს. თუმცა, ბენიტესმა სურვილი გაამხილა და დანარჩენი უკვე დე ლაურენტისზეა დამოკიდებული. მოკლედ, „ნაპოლი" დიდ სატრანსფერო ორომტრიალშია და ვნახოთ, რით დასრულდება ეს ყველაფერი.

**ლაშა ნიკლაური**

● მილანი

# საგა გრძელდება

## ალეგრის ბედი ისევ გაურკვეველია



მასიმილიანო ალეგრის და სილვიო ბერლუსკონის შეხვედრა დაუძველდათ

„მილანის" სამწვრთნელო სკამის გარშემო ვითარება კვლავაც ბურუსითაა მოცული და როგორც ჩანს, კლუბის მესვეურები საბოლოო გადაწყვეტილებას უქმეებზე მიიღებენ. რამდენიმე იტალიურ ვებგვერდზე ისიც კი დაიწერა, რომ **სილვიო ბერლუსკონი** და **მასიმილიანო ალეგრი** ერთმანეთს თბილისში შეხვდებიან და სწორედ იქ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ რატომ თბილისში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, არც ბერლუსკონის და არც ალეგრის საქართველოში ჩამოსვლა, ჯერჯერობით არ დასტურდება. შესაძლოა, ეს დეზინფორმაციაა, მაგრამ ის ფაქტია, რომ მწვრთნელ-პრეზიდენტს სადღაც მოუწევთ შეხვედრა.

„მილანის" მესვეურებისა და ალეგრის შეხვედრა გუშინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ **ადრიანო გალიანის** ინიციატივით, უქმეებისთვის გადაიდო. მიზეზი ვიცე-პრეზიდენტის სარდინიაზე საქმიანი ვიზიტია. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, გაბრაზებული ალეგრი რომში ჩავიდა და „რომას" მესვეურებთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. გაცხადდა ისიც, რომ „ჯალოროსიში" მწვრთნელად დანიშვნის შემთხვევაში, მასიმილიანო სეზონურად 3.5 მილიონ ევროს მიიღებს. განვმარტოთ, რომ მწვრთნელს რომაელთათვის საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ უთქვამს და მათ ორშაბათამდე მოცდა სთხოვა - ალეგრი არ მალავს, რომ მას „მილანში" სურს დარჩენა და „ჯალოროსის" იმ შემთხვევაში ჩაიბარებს, თუ ბერლუსკონისგან უარი მიიღო. ითქვა ისიც, რომ დედაქალაქელებმა ალეგრის პროცესის დაჩქარება და საკითხის კვირამდე მოგვარება სთხოვეს. მოკლედ, ალეგრი ორ ცეცხლშუაა და რით დასრულდება ეს ყველაფერი, ღმერთმა უწყის.

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერვიუ. ჯუზეპე მაროტა

# იუვეს აუცილებლად გავაძლიერებთ

## იგუაინი 70%-ით ტურინელია

**„იუვენტუსის" სატრანსფერო ამბები იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთი მთავარი განხილვის საგანია. უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება, საიდანაც სიმართლის დადგენა ურთულესი საქმეა. ამ ფონზე, „კორიერე დელო სპორტში" გამოქვეყნებული ჯუზეპე მაროტას მოკლე ინტერვიუ ნამდვილად მისწრებაა. „იუვეს" სპორტულ დირექტორს მეტწილად სწორედ სატრანსფერო თემებზე მოუხდა საუბარი...**

**- როგორ შეაფასებთ განვლილ სეზონს?**

- რა თქმა უნდა, წარმატებულად, რადგან ჩვენ სკუდეტოს დავეუფლეთ. ცნობილია, რომ მწვერვალზე ასვლა უფრო მარტივია, ვიდრე იქ დარჩენა; ამიტომ, ქებათა ქება მწვრთნელ-ფეხბურთელებს. მთავარია, ასევე გავაგრძელოთ და პოზიციები არ დავთმოთ.

**- ამისთვის შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო...**

- ანტონიო კონტეს ბოლომდე ვეთანხმები, როდესაც აცხადებს, რომ თუნდაც არსებული დონის შესანარჩუნებლად, შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო. მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები არ უნდა შეგვექმნას და ამას ყველანი დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ჩვენ საერთაშორისო წარმატებები გვწყურია და ეს გასაგებია, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში ყურადღების მოდუნება დამღუპველი იქნება.

**- გონსალო იგუაინი „იუვენტუსში" ითამაშებს?**

- იგუაინის თაობაზე მადრიდელებთან შეხვედრა თვით ანდრეა ანიელიმ გამართა და ვგონებ, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება. ამ დროისთვის, გონსალოს ტურინში გადმობარგების შანსებს 70%-ით შევაფასებდი, ანუ, ალბათობა საკმაოდ მაღალია. ვფიქრობ, არგენტინელი „იუვენტუსს" და მთლიანად იტალიურ ფეხბურთს კარგად მოერგება.

**- ამბობენ, რომ სტევან იოვეტიჩის გადაბირებაც გსურთ...**

- სტევანი უმაღლესი კლასის შემტევია და მის გადაბირებას ნებისმიერი კლუბი ისურვებდა. იოვეტიჩს სიამოვნებით ვიხილავდი „ვეკია სენიორაში" და ამ მიმართულებითაც გვაქვს ნაბიჯები გადადგმული, მაგრამ შეთანხმებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. იგუაინი და იოვეტიჩი ერთად? - ესეც შესაძლებელია, გამორიცხული არაფერია.

**- ამბობენ, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივებისას, ანტონიო კონტეს უმთავრესი პირობა არტურო ვიდალის შენარჩუნება გახლდათ. მართალია?**

- კონტრაქტში ეს არ ჩაწერილა, მაგრამ სიტყვიერად არტურო ვიდალის დარჩენის საკითხზე მართლაც გვქონდა საუბარი. კონტემ მკაფიო პოზიცია დააფიქსირა და თქვა, რომ არტურო მას სჭირდება... არც ჩვენ გვსურს ვიდალის გაყიდვა და შესაბამისად, აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. ასევე, ლაპარაკი იყო პოლ პოგბაზე, რომელსაც აუცილებლად შევინარჩუნებთ.

**- ფაბიო კვალიარელა, ალესანდრო მატრი, სებასტიან ჯოვინკო, ნიკლას ბენდტნერი, ნიკოლა ანელკა...**



ჯუზეპე მაროტა

- უკვე მივხვდი, რაც უნდა მკითხოთ... ფაქტია, რომ ყველანი ვერ დარჩებიან გუნდში და ნაწილს „იუვეს" დატოვება მოუწევს. ნიკლას ბენდტნერმა და ნიკოლას ანელკამ ვერ გაამართლეს და ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ კლუბებს, სხვების საკითხი კი ჯერ გადაწყვეტილი არაა. ფერნანდო ლორენტე უკვე გადმოვიყვანეთ და დიდია შანსი, მას კიდევ ერთი, ან სულაც ორი ფორვარდი დაემატოს, რაც სხვების შევიწროებას გამოიწვევს. ამიტომ, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, რომ ჩამოთვლილ თავდამსხმელთაგან ნაწილმა გუნდი დატოვოს.

**- ანჯელო ოგბონას გადაბირებას და შესაბამისად, დაცვის გაძლიერებას თუ აპირებთ?**

- ჩვენი მიზანი ყველა რგოლის გაძლიერებაა, თუმცა კონკრეტულად ოგბონას მიმართულებით ნაბიჯები არ გადაგვიდგამს. წინ დიდი დროა და სიჩქარე არაა საჭირო. „იუვენტუსი" აუცილებლად გაძლიერდება, ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

**ლაშა ნიკლაური**

● ბარსელონა

# აბიდალი წავიდა

## ფრანგი შაბათს რამდენიმე წუთს ითხოვს

„ბარსელონას" 33 წლის ფრანგმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** გუნდიდან წასვლა გამოაცხადა. ფეხბურთელმა, რომელმაც სიმსივნეს ბრძოლა მოუგო და გადანერგილი ღვიძლით შეძლო სპორტში დაბრუნება, საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია.

*„მე მსურდა „ბარსელონაში" ასპარეზობის გაგრძელება, მაგრამ კლუბმა სხვანაირად გადაწყვიტა. ძალიან მინდა, რომ ამ ბოლო შეხვედრაში მწვრთნელმა რამდენიმე წუთით მაინც მათამაშოს, რომ „ბარსელონას" ფანებს დავემშვიდობო. „ბარსადან" მივდივარ, მაგრამ შეიძლება კლუბში დავბრუნდე მომავალში. ჯერჯერობით არც ერთი წინადადება არა მაქვს",* - განაცხადა აბიდალმა.

შეგახსენებთ, რომ აბიდალი „ბარსელონაში" 2007 წლიდან თამაშობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ერიკ აბიდალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

# პოლდის გალაკონცერტი ფლორიდაში

## პოდოლსკი გერმანიის ნაკრების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი გახდა

**გერმანელი** საფეხბურთო ექსპერტები ბუნდესგუნდის ამერიკულ ტურნეს და ფლორიდაში დანიშნულ ეკვადორთან ამხანაგურ შეხვედრას ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მატჩი საკმაოდ თვალსასეირო გამოვიდა და გამოჩნდა, რომ ეს მოგზაურობა გერმანიის ნაკრებისთვის არც ისე უაზრო, როგორც მატჩის წინ ბევრს მიაჩნდა. რაც მთავარია, ბუნდესმწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა მეორე და მესამე შემადგენლობის ფეხბურთელები გამოსცადა.

**ეკვადორი–გერმანია 2:4**

**გოლები:** 0:1 პოდოლსკი (1), 0:2 ლ. ბენდერი (4), 0:3 პოდოლსკი (17), 0:4 ლ. ბენდერი (24), 1:4 ვალენსია (44), 2:4 ვ. აიოვი (84)

**ეკვადორი (4-2-2-2):** ბანგუერა - პარედესი, აჩილიე (67. გუაგუა), ერასო, ვ. აიოვი - ნობოა (60. კვინონესი), კასტილიო (70. სარიტამა) - ვალენსია, მონტერო (81. დე ხესუსი) - ბენიტესი (60. როხასი), ფ. კაისედო (35. იბარა).

**გერმანია (4-2-3-1):** ადლერი - ჰიოვედესი, მერტეზაკერი, ვესტერმანი, იანსენი - ლ. ბენდერი (91. ვოლშაიდი), ნოიშტედტერი (66. რაინარტცი) - სემი (69. შიურლე), დრაქსლერი (57. ჰანტი), პოდოლსკი (89. ნ. მიულერი) - მ. კრუზე (79. აოგო).

**გაფრთხილება:** პოდოლსკი, რაინარტცი, ვესტერმანი

**მაყურებელი:** 5 500

**ლუკას პოდოლსკიმ** ბუნდესგუნდი მეშვიდე წამზე (!!!) დააწინაურა და რომც არ გვეთქვა, ალბათ ისედაც მიხვდებოდით, რომ ეს გერმანიის ნაკრების ისტორიაში ყველა დროის ყველაზე სწრაფი გოლია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმემ ეს რეკორდი გააუმჯობესოს. 4 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 2:0 იყო და ესეც რეკორდია - **იოახიმ ლიოვის** ბიჭები ბოკა რატონში (ფლორიდა) ლაღად თამაშობდნენ და ეკვადორელთა კარში გოლების გატანა არ უჭირდათ. არადა, ეს გერმანიის ნაკრების მეორე შემადგენლობა გახლდათ - ბუნდესგუნდს „ბაიერნის", „დორტმუნდისა" და „რეალის" ვარსკვლავები აკლდნენ.

ამ გამარჯვების შემდეგ საფეხბურთო გერმანია ოცნებას მიეცა - თუკი ფიფას რეიტინგში მე-10 ადგილზე მყოფ ეკვადორს მეორე შემადგენლობით ასე იოლად ვუგებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მართლა ყველაზე მაგარი გუნდი გვეყოლებაო. სწორედ ამ მოსაზრებამ მიიღო ყველაზე მეტი ხმა „ბილდის" გამოკითხვაში - გერმანელები ხომ ფიფას რეიტინგს და ზოგადად ყველა რეიტინგს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.


პოდოლსკიმ ლიოვს ნდობისთვის მადლობა ორი გოლით გადაუხადა

ბუნდესგუნდში მონდომება ყველაზე მეტად პოდოლსკის ეტყობოდა. როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრების მენეჯერის, **ოლივერ ბირჰოფის** კრიტიკამ (პოლდი დიდი ხანია, ერთ ადგილს ტკეპნისო) ლუკასზე მართლა მაგრად იმოქმედა. თანაც, ლიოვმა მეორე შემადგენლობაში კაპიტნობა არა მას, არამედ **პერ მერტეზაკერს** მისცა და ამით უკვე ორმაგად მოტივირებული პოლდი ეკვადორთან საუკეთესო იყო და დუბლიც შეასრულა. აღსანიშნავია, რომ საგოლე პასი მას ორივე შემთხვევაში გერმანიის ნაკრების დებიუტანტმა მისცა: პირველი გოლის დროს **სიდნი სემმა** უპასა, მეორე გოლის დროს კი - **მაქს კრუზემ**.

*„ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშით სიამოვნების მიღება იყო. კარგად ვითამაშე და მართლაც ვისიამოვნე. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა გერმანიის ნაკრების მოსაზრებას აქვს..."* - აღნიშნა ლუკასმა და ყველა მიხვდა, როგორი დაბოლოებას იგულისხმა - და არა ბირჰოფისასო.

აღსანიშნავია, რომ პოდოლსკისთან ერთად შესანიშნავი იყო „ლევერკუზენის" საყრდენი ნახევარმცველი **ლარს ბენდერიც**, რომელმაც ასევე დუბლი მიითვალა. და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ეკვადორისა და გერმანიის ნაკრები გუნდების ტესტ-მატჩს მხოლოდ 5 500 მაყურებელი დაესწრო, რაც ბუნდესგუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგია. ანტირეკორდი 1998 წელს დაფიქსირდა, როცა რუმინეთის ნაკრებთან მალტაზე გამართულ მატჩს სულ რაღაც 1500 მაყურებელი დაესწრო.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ჰაინკესი: გვარდიოლას იდეალურ გუნდს ვუტოვებ!

## ...რომელსაც მომავალი სეზონიდან გიოტცე და ლევანდოვსკიც დაემატებიან!


იუპ ჰაინკესი ბაიერნს ტრიუმფალური სეზონის შემდეგ დატოვებს

„ბაიერნმა" ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგა ზღაპრული ფეხბურთით მოიგო და დიდი შანსია, რომ ჰეთ-ტრიკი შეასრულოს (ხვალ, გერმანიის თასის ფინალში „შტუტგარტს" ხვდება). ფაქტია, რეკორდმაისტერი ამ სეზონში სრულყოფილი გუნდი იყო და არაერთხელ დაგვიწერია, რომ უცნაურია, ამ გუნდს მწვრთნელი რომ ეცვლება. „შტუტგარტთან" მატჩის შემდეგ **იუპ ჰაინკესი** რეკორდმაისტერს დაემშვიდობება, მერე კი მას **ხოსეპ გვარდიოლა** შეცვლის. და უკვე ორი აზრი არ არსებობს, რომ ესპანელისთვის ასეთი სრულყოფილი და წარმატებული „ბაიერნი" უმძიმესი მემკვიდრეობაა.

*„პეპ გვარდიოლა იდეალურად ფუნქციონირებად გუნდს ჩაიბარებს!"* - ასეთი ფორმულირება მისცა რეკორდმაისტერში სამწვრთნელო გადაადგილებას თავად 68 წლის ჰაინკესმა.

სრულყოფილად ფუნქციონირებადი გუნდი?! დაახლოებით ამავე შინაარსის განცხადება გააკეთა იმხანად გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფრანც ბეკენბაუერმა** მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ - ეს გუნდი წლების მანძილზე დაუმარცხებელი იქნებაო.

*„ეს განცხადება მაშინ აბსოლუტურად სპონტანურად გავაკეთე, მაგრამ ვინც მსოფლიოს ჩემპიონატს ან ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ასეთი კომენტარის გაკეთების უფლება ნამდვილად აქვს. იუპმა ამ წინადადებით იმ წარმატებაზე მიუთითა, რასაც დიდი შრომით მიაღწია,"* - უთხრა ბეკენბაუერმა „ბილდს".

ცხადია, რომ გვარდიოლა, რომელმაც „ბარსელონაში" ოთხ წელიწადში 14 ტიტული მოიგო, უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევა. მისგანაც მოითხოვენ როგორც ბუნდესლიგის, ასევე ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც და ნებისმიერ სხვა შედეგს წარუმატებლობაში ჩაუთვლიან. ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ ორჯერ მოგება, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მაგრამ პეპი მართლაც იმდენად სრულყოფილ „ბაიერნს" ჩაიბარებს, რომ რეკორდმაისტერის ფანების მოთხოვნა აბსოლუტურად ლეგიტიმურია.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



კლაუდიო პისარო შეიძლება შალკეში ვიხილოთ

„შალკეს" ხელმძღვანელები რუმინელ თავდამსხმელ **ჩიპრიან მარიკას** ახალ კონტრაქტზე დიდხანს ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. 27 წლის ფორვარდმა, რომელმაც ბუნდესლიგის 34 მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაიტანა, ხელფასის შემცირებაზე უარი თქვა, რის შემდეგაც მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მისი გაშვების გადაწყვეტილება მიიღო.

*„მარიკას წასვლა გადაწყვეტილი ამბავია. სამწუხაროდ, ვერ შევთანხმდით,"* - განუცხადა 43 წლის ჰელდტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. მათი ინფორმაციით, „შალკეში" გადასვლის კანდიდატი ახლა მიუნხენის „ბაიერნის" ვეტერანი პერუელი ცენტრფორვარდი **კლაუდიო პისაროა**. ჰელდტი 34 წლის პისაროს შესანიშნავ თავდამსხმელად მოიხსენიებს და ამბობს, თუ „ბაიერნთან" კონტრაქტს არ გააგრძელებს, გელზენკირხენში დიდი სიამოვნებით დავპატიჟებთო.

„შალკესთვის" პრობლემა ისაა, რომ „ბილდის" ინფორმაციით, პისაროს გადაბირებაზე დორტმუნდის „ბორუსიაშიც" ფიქრობენ და რთული არაა იმის გამოცნობა, რომ „დორტმუნდს" პისაროს ხელში ჩაგდების უკეთესი შანსი აქვს. აქვე გეტყვით, რომ „ბაიერნიდან" „შალკეში" უკვე გადავიდა **იუპ ჰაინკესის** ასისტენტი, 61 წლის სპეციალისტი **პეტერ ჰერმანი**. ეს უკანასკნელი მომდევნო სეზონიდან „შალკეს" თავკაც **იენს კელერის** მარჯვენა ხელი იქნება.

**გოტფრიდ ლენცი**

კომენტარი

# ანატოლი ტიმოშჩუკი: რეალს 99%-ით იუპ ჰაინკესი ჩაიბარებს

**მიუნხენის** „ბაიერნის" უკრაინელმა ლეგიონერმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა**, რომელიც სეზონის შემდეგ „ბაიერნს" ტოვებს, განაცხადა, რომ 99%-ით დარწმუნებულია, რომ მადრიდის „რეალს" **იუპ ჰაინკესი** ჩაიბარებს.მან ეს განცხადება ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე სტუმრობისას გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მომგებმა ჰაინკესმა „ბაიერნი" უნდა დატოვოს და ადგილი **ხოსეპ გვარდიოლას** დაუთმოს. სამაგიეროდ, თავად ალბათ **ჟოზე მოურინიოს** მიერ გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს.

34 წლის ფეხბურთელმა თქვა, რომ უტყუარ ინფორმაციას ფლობს „ბაიერნის" შიდა სამზარეულოდან, რომ „პარი სენ-ჟერმენის" თავკაცი **კარლო ანჩელოტი** აღარ არის **ფლორენტინო პერესის** ფავორიტი, რადგან მას პარიზული კლუბი არ უშვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


იუპ ჰაინკესი ლიგის ფინალის შემდეგ პირველმა ტიმოშჩუკმა განუნა ლუდით

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სუპერწინადადება მესის... ინკოგნიტო რუსული კლუბიდან

**ევროპაში** ბევრი ძნელად დასაჯერებელი ინფორმაცია გავრცელებულა მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ალბათ ყველას აღემატება.

სხვადასხვა გამოცემა უცნობ წყაროზე დაყრდნობით, იუწყება, რომ ერთ-ერთი რუსული კლუბი (დიდი ალბათობით, „ანჟი") „ბარსელონას" **ლიონელ მესის** სანაცვლოდ 263 მილიონ ევროს სთავაზობს!

ინკოგნიტო კლუბი თავად მესის კვირაში 580 ათას ევროს სთავაზობს ხელფასის სახით. რა თქმა უნდა, მსგავსი ხელფასი არც ერთ ფეხბურთელს არ აქვს დედამიწის ზურგზე.


ლიონელ მესი თავის ნადავლთან ერთად

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ელ-ფოსტა ან მობილური
ვაჟა სიმონიშვილი
პაროლი
**************
დამიმახსოვრეთ
დაგავიწყდათ პაროლი?
ავტორიზაცია



## კალაძე და რომაელები

# პომპეუსის გაკვალულ ბილიკზე, ოღონდ მშვიდობით

რომულუსი, კასიუსი, სტრაბონი, პომპეუსი, ციცერონი... ეს ხალხი 2 ათასი წლის წინათ რომაულ სამყაროში ისეთივე ცნობილები იყვნენ, როგორიც დღეს არიან საფეხბურთო სამყაროში მალდინი, ინძაგი, ტონი, კანავარო, ვიერი...

ქართველები ცნობადი სახეების სიმრავლით აპენინელებს ვერც ძველ დროში გავეჯიბრებოდით და ვერც ახლა. თუმცა მსოფლიოს მასშტაბის ქართველებით მაინც შეგვეძლო დაგვეტრაბახა და ახლაც შეგვიძლია. ჩვენი წელთაღრიცხვის 144 წელს ფარსმან II-ის ძეგლი რომის იმპერატორმა ანტონიუს პიუსმა მარსის მოედანზე აღმართა. როგორც ყველა ქართველი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ფარსმანი ჯირითის შემდეგ რომის იმპერატორს საქართველოშიც დაპატიჟებდა, მაგრამ ისტორიული წყაროები არაფერს ამბობენ, ჩამოვიდა თუ არა ანტონიუს პიუსი იბერიაში. რადგან არსად წერია, ე.ი. არც ჩამოსულა, თორემ ჟამთააღმწერლები და „პაპარაცები" მის კავკასიურ ვოიაჟს აუცილებლად დააფიქსირებდნენ.

სამაგიეროდ, ასეულობით წლის შემდეგ ჩვენი შთამომავლები ამოქექავენ ისტორიულ დოკუმენტებს, ეგებ, გაზეთ „ლელოს" არქივშიც ჩაძვრნენ და ამოიკითხონ: *ჩვენი წელთაღრიცხვის XXI საუკუნეში, ქართველი კახი IV ჩავიდა იტალიაში. მისთვის ძეგლი არ დაუდგამთ, მაგრამ მილანელებს ევროპის დასაპყრობად წამოწყებულ საკლუბო ლაშქრობაში ეხმარებოდა და ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. როგორც ყველა ქართველმა, კახი კალაძემაც საქართველოში ჩამოიპატიჟა რომაელი მეგობრები და 2013 წლის 31 მაისს ქართულ კოლიზეუმში, „დინამო-არენაზე" საინტერესო შოუ (გლეხურ ენაზე, წარმოდგენა) მოაწყო.*

როგორ ფიქრობთ, რას იტყოდნენ ძველი რომაელები, საქართველოში მალდინის და მისი მეგობრების ჩამოსვლის შესახებ რომ გაეგოთ? პომპეუსი ამაყად იტყოდა - შთამომავლები ჩემ მიერ გათელილ ბილიკს მიუყვებიანო; ციცერონი გაიღიმებოდა - აკი ვამბობდი, ადრე თუ გვიან გლობალიზაციის ეპოქა დადგება-მეთქი...

...და რას იტყოდნენ ფეხბურთელები, მალდინი, ბა, ბობანი, შევჩენკო, ბარეზი, 2 ათასი წლის წინათ რომ გადაწყვეტილიყო მათი იბერიაში ჩამოსვლა? თქვენც გაინტერესებთ? გგონიათ რთული წარმოსადგენია?



### 2 ათასი წლის წინათ

პაოლო მალდინი პირველ რიგში თავის უფროს მეგობარ ფრანკო ბარეზის ორსართულიანი სახლის ბანიდან გადასძახებდა:

*- ბარეზიუს, იცოდი, პონტოს ზღვის გადაღმა, კოლხეთში ოქროს საწმისებს რომ ამზადებენ?*

*- შენ საიდან იცი? - ჰკითხავდა ბარეზი და ტუნიკას მხარზე გადაიგდებდა.*

*- სტრაბონმა „დაპოსტა" „ფეისბუკზე". კოლხეთის ხსენებისას ყველგან „ოქრომრავალს" წერს. შევიაროთ კოლხეთში, ხელს გავაყოლოთ ოქროს საწმისი და ჩვენს მეგობარ კახი IV-სთან იბერიაში გადავიდეთ.*

*- საწმისს ისე არავინ გაგვატანს, ლეგიონი უნდა შევკრიბოთ, დაქირავებული არმიაც დაგვჭირდება, - შორსმჭვრეტველობა გამოიჩინა ფრანკო ბარეზიუსმა.*

*- ხომალდით რუი კოშტა და ფერნანდო კოუტუ მოდიან, პლანეტის ჯერ აღმოუჩენელი წერტილიდან სერჟინიო მოჰყავთ, ნეაპოლში ჩვენ შეგვიერთდებით, ადრიატიკის ზღვაში ზვონიმირ ბობანს შევუვლით და კოლხეთისკენ დავიძრებით. მთავარია, კატაპულტები არ დაგვავიწყდეს.*

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „მილანისა" და იტალიის ნაკრების ცენტრალურმა მცველებმა განსაზღვრეს. ოღონდ, პორტუგალიურმა კარაველამ ცოტა დაიგვიანა, რაც რომაელებს არ გაჰკვირვებიათ, რადგან კარგად მოეხსენებოდათ პორტუგალიელთა „პუნქტუალურობის" ამბავი. ხომალდი ბოსფორის სრუტეს უახლოვდებოდა, როცა ერთი ნავი წამოეწია...

*- მე არ მიგყავართ კალაძესთან? ოფსაიდში მტოვებთ?! - გაუწყრა თანამემამულეებს ფილიპო ინძაგი და კარაველაზე გადავიდა.*

როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდნენ მეფე აიეტს რომიდან ჩასული ფეხბურთელები? პირველ რიგში ოქროს საწმისს მოსთხოვდნენ:

*- მეფეო, გვიბოძეთ ურჩხულის კბილები, ცეცხლისმფრქვეველი ხარებით მინდორს მოვხნავთ, კბილებს ჩავთესავთ და ამოსულ რკინის მეომრებს შევებრძოლებით. თუ გავიმარჯვებთ, ოქროს საწმისი გაგვატანეთ.*

*- რა კბილები, რის ხარები?! - გაიკვირვებდა აიეტი, - ათასი წლით დაგიგვიანდათ. ოქროს საწმისი იაზონმა საბერნეთში წაიღო.*

*- ამ კომპიუტერიზაციამ მთლად აგვაბნია. მავანი სტრაბონის „ნიკნეიმით" დაწერეს, საქართველოში ოქრო მოიპოვებაო და არკვიე მერე, მართლა სტრაბონმა „დაპოსტა", თუ არა, - საუკუნეების გადაცდომა არ შეიმჩნია პაოლო მალდინიმ და განაგრძო:*

*- მეფეო, „გოოგლე მაპი" თუ გაქვთ?*

*- მაპი საქართველომ 2000 წლის შემდეგაც ვერ მიიღო და მე, აიეტს რას მთხოვ?*

*- მაშინ* wikimapia.com*-ზე შედით, რუკაზე ვნახოთ რა მანძილია თბილისამდე, კალაძესთან არ დავაგვიანოთ.*

*- კალაძესთან? - კითხვა შეუბრუნა აიეტმა, - გეტყობათ, დროში მართლა „აბურდულხართ", რომაულ ეპოქაში საქართველოს დედაქალაქი თბილისი კი არა, მცხეთაა, თავისი განთქმული სალობიეთი - ბაქტრიელი ჩამოივლის აქლემით, თუ მიდიელი სახედრით, თითო ლობიანი რომ არ შეუკვეთოს, მცხეთას ისე არ დატოვებს.*

*- სალობიეს ეგ ამბავი სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში" არ უწერია, - გაიღიმა მალდინიმ, - ან არ გაუსინჯავს, ან არ მოეწონა.*

*- როგორ გასინჯავდა, როცა ლობიო ევროპაში ამერიკიდან კოლუმბმა მეთხუთმეტე საუკუნეში შეიტანა?! - გაიღიმა ბრაზილიელმა სერჟინიომ.*

მეფე აიეტი რომაულ საფეხბურთო ლეგიონს იბერიისკენ გაუძღვა. შორაპნის ციხეს რომ მიადგნენ, სტუმრებს თავდაცვისთვის ფარებით „კუს" შეკვრა მოუწიათ, რადგან ცა გახურებული შამფურების წვიმამ დააბნელა. ზედ კახური ღორის მწვადები იყო ასხმული... ისრების წვიმას რამდენიმე წამში ხინკლების სეტყვა მოჰყვა...

ასეთი ჟესტით მიეგება კახი კალაძე მეგობრებს. ქვევრის მოხსნის შემდეგ როგორ „იწვიმებდა", ამის განსაზღვრა თქვენთვის მოგვინდია. ბევრი ინატრებდა კიდეც - ნეტავ ჩემპიონთა თასი ასეთი დიდი მოცულობისა არ გამოეჭედათ, ან ქართველებს განსხვავებულის დალევა არ სცოდნოდეთო.

**წარმოდგენიდან რეალობაში გადმოვინაცვლოთ. დღეს 2013 წლის 31 მაისია, კახა კალაძის ფეხბურთიდან გაცილების დღე. არ ვიცით, მილანელები საფეხბურთო მატჩის შემდეგ ხინკალს გეახლებიან თუ მწვადს, მაგრამ ერთი რამ ცხადია - დღეს საფეხბურთო ვარსკვლავების წყალობით მსოფლიოს ყურადღება საქართველოსკენ იქნება მოპყრობილი. დიახ, დღესდღეობით ქვეყნის სახელის საერთაშორისო არენაზე გატანის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სპორტია... ასე იყო უწინაც: ფარსმან ქველის ქანდაკება მარსის მოედანზე ხომ მას მერე დადგეს, რაც რომის იმპერატორი ქართველი მეფის ჯირითმა მოხიბლა. ცხენოსნობა კი ოლიმპიურ თამაშებში რომაელებამდეც იყო და დღესაცაა.**






ავტორის კარიკატურები

ინტერვიუ. იურგენ კლოპი



# ახალ ვარსკვლავებს ჩვენც ვიყიდით!

## იურგენ კლოპი ახლა პრესინგის მანქანას ქმნის

დორტმუნდის ბორუსიას მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი

25 მაისის შემდეგ ბევრი მიიჩნევს, რომ „ბაიერნთან" დამარცხებულ „დორტმუნდს" მომდევნო სეზონში პრობლემები შეექმნება. ამ მოსაზრებას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მაგრამ ყველაზე საინტერესო გუნდის მწვრთნელის აზრია. „ბორუსიას" 45 წლის თავკაცმა იურგენ კლოპმა ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ პირველი ინტერვიუ „ბილდს" მისცა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

> ბიჭების ცრემლიანი თვალების, მათი ემოციების დანახვა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო

**- ჰერ კლოპ, „ბაიერნთან" მარცხი უკვე მოინელეთ?**

- რაღაც დონეზე... იმედგაცრუება და ტკივილი იმდენად დიდი იყო, რომ ამ ტრავმის მოშუშებას ბევრი დრო დასჭირდება. ბიჭების ცრემლიანი თვალების, მათი ემოციების დანახვა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო. უნიკალური შანსი გვქონდა, რომ ისტორიაში შევსულიყავით, მაგრამ რაღაც დაგვაკლდა.

**- ...მაგრამ უკმაყოფილების საფუძველი არ გაქვთ, რადგან თქვენმა გუნდმა ეს სეზონი მართლაც შთამბეჭდავად ჩაატარა...**

- ჰო, კვირას ვისხედით და ერთმანეთს ზუსტად ამას ვეუბნებოდით. ცხადია, ყველამ ვიცით, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაც სერიოზული მიღწევაა, მაგრამ ბოლო სამ წელიწადში ჩემი გუნდი ტიტულებსაც მიეჩვია და ამ სეზონში უტიტულოდ დარჩენამ დაგვამწუხრა.

**- იმედგაცრუებას პირადად თქვენ როგორ გაუმკლავდით?**

- გული ახლაც მტკივა, მაგრამ ნაგება ჯანსაღად მივიღე. ჩემი მხრიდან უსამართლობა იქნებოდა ის, რომ მეთქვა, ჩემს უნდა მოეგო-მეთქი. სახლში მისულმა ვერცხლის მედალი გერმანიის ჩემპიონობისთვის და თასისთვის აღებული მედლების გვერდით დავკიდე და მიმაჩნია, რომ ის არც ერთ მედალზე ნაკლები არ არის. ლონდონი ოლიმპიური ქალაქია და ჩვენ იქ ვერცხლი ავიღეთ - ცხოვრებაში ამაზე გაცილებით უარესი რაღაცეებიც მინახავს...

**- დღე ისე არ გავა, რომ რობერტ ლევანდოვსკიზე მორიგი სპეკულაცია არ გავრცელდეს. დარჩება პოლონელი გოლეადორი დორტმუნდში?**

- „ბაიერნს" ოფიციალური წინადადებით ჯერ არ მოუმართავს და მეც ჯერ კიდევ იმედს ვიტოვებ, რომ რობერტი ჩვენთან დარჩება. მინდა, რომ ლევანდოვსკის ამბავი მალე გაირკვეს და მითქმა-მოთქმა დასრულდეს.

**- „ბაიერნში" რომ გადავიდეს, ლევანდოვსკის გაუნაწყენდებით?**

- განაწყენება ან გაბრაზება აქ არაფერ შუაშია. შექმნილ ვითარებას და მის განვითარებას პროფესიონალის თვალით ვუყურებ. ყველაფერი შესაძლებელია და ვნახოთ, რა მოხდება. პირადად მოვლენების ნებისმიერი სახით განვითარებისთვის მზად ვარ. სასაცილო ისაა, რომ ყველა ისე იქცევა, თითქოს ლევანდოვსკის ტრანსფერი გადაწყვეტილი იყოს. იუპ ჰაინკესმაც ასე თქვა, რობერტის მრჩეველიც ასე ლაპარაკობს, ჩვენ კი „ბაიერნისგან" წინადადება არ მიგვიღია. რას ნიშნავს ეს? თქვენ მოგწონთ ასეთი მიდგომა?

**- ბუნდესლიგას უკვე ყველა აქებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, გერმანიის ჩემპიონატმა ესპანეთის და ინგლისისას გაასწრო?**

- არა, ამდენი რამ ნაღდად არ შეცვლილა. მიუნხენის „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა ყოველ წელს შეუძლია - განსხვავება ის იყო, რომ ახლა ჩვენც ფინალში გავედით. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ბუნდესლიგა უკვე პირველია. ჩვენს ადგილზე ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ ყოფილიყო, ყველა იტყოდა, ჩვეულებრივი ნახევარფინალებიაო - სენსაცია მხოლოდ ჩვენ მოვახდინეთ.

**- გიოტცე „ბაიერნში" მიდის და შესაძლოა, ლევანდოვსკიც მიჰყვეს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში" ძირეული ცვლილებები და რეორგანიზაცია იწყება?**

- გაზეთებში წერენ, „დორტმუნდს" რთული სეზონი ელისო, მაგრამ ეს მოსაზრება სისულელედ მიმაჩნია. „ბორუსია" საკმარისად ძლიერი გუნდია იმისათვის, რომ პოზიციები შეინარჩუნოს. ცხადია, გარკვეული ცვლილებები იქნება - ვილაცები ალბათ დაგვტოვებენ, მაგრამ რადიკალურ ცვლილებებზე საუბარი არასწორია. პირადად მე ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი.

**- რამდენ ხმაურიან ტრანსფერს განახორციელებს „ბორუსია" ზაფხულში?**

- რაოდენობაზე ლაპარაკი არ მინდა, ფაქტი ისაა, რომ ტრანსფერებზე ვმუშაობთ. ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, ახალ ვარსკვლავებს ჩვენც ვიყიდით! შემიძლია, გულშემატკივრებს დავპირდე: ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება!

**- როგორ ფიქრობთ, „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგაში გაისადაც მოწოდების სიმაღლეზე იქნება?**

- ვერ ვიტყვი, გაისად ჩემპიონთა ლიგას ჩვენ მოვიგებთ-მეთქი - ეს ხომ ყველაზე დიდი სისულელე იქნებოდა. ახლა პრესინგის მანქანას ვქმნი! მხოლოდ სეზონის დაწყების შემდეგ გამოჩნდება, სად რა შანსები ექნება „დორტმუნდს" და პრიორიტეტებსაც ამის მიხედვით განვსაზღვრავთ.

**- მომავალი სეზონისთვის გასაუმჯობესებელი რა გაქვთ?**

- ბოლო სამ წელიწადში ეს პირველი სეზონი იყო, რომელიც ძალიან კარგად წარიმართა, მაგრამ სრულყოფილი არ ეთქმის. გამოჩნდა, რომ საქმე საკმარისზე მეტია - უკანა ხაზს პრობლემები შეექმნა და უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენი თამაში ისევ ძალიან ინტენსიური უნდა გახდეს.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ მომდევნო სეზონში „ბაიერნს" უფრო სერიოზულ კონკურენციას გაუწევთ?**

> სახლში მისულმა ვერცხლის მედალი გერმანიის ჩემპიონობისთვის და თასისთვის აღებული მედლების გვერდით დავკიდე და მიმაჩნია, რომ ის არც ერთ მედალზე ნაკლები არ არის

- (იცინის) „ბაიერნს" ხომ მხოლოდ ორჯერ ვეთამაშებით?! ამ სეზონში „რეკორდმაისტერთან" ბუნდესლიგაში ორი ფრე გავაგორეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ის 25 ქულა, რომლითაც მიუნხენურმა გრანდმა გვაჯობა, სხვა მეტოქეებთან დავკარგეთ...

**- რა იქნება „დორტმუნდის" მიზანი მომდევნო სეზონში?**

- ჩვენი მიზანი პირველ რიგში ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება და ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ადვილი ამოცანაა. მომდევნო სეზონში „ლევერკუზენი" და „შალკეც" მეტს მოისურვებენ, ტრადიციულად იარსებებს ერთი-ორი სენსაციური გუნდიც...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# შპორტ ბილდი: კლოპს მანჯუკიჩი და შაჩირი უნდა!

## სამაგიეროდ გიოტცესა და ლევანდოვსკის გამო?

ჟურნალ „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, „დორტმუნდის" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** თვალი „ბაიერნის" ორ ფეხბურთელს, ცენტრფორვარდ **მარიო მანჯუკიჩსა** და ნახევარმცველ **ჯერდან შაჩირის** დაადგა. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ ეს „ბორუსიას" კონტრშეტევაა - როგორც იცით, მიუნხენელებმა დორტმუნდელებს **მარიო გიოტცე** წაართვეს და **რობერტ ლევანდოვსკისაც** ართმევენ.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბორუსიას" ინტერესი პირველ რიგში 24 წლის ლევანდოვსკის მოსალოდნელ ტრანსფერთანაა კავშირში. გაირკვა, რომ პოლონელს მიუნხენში გადასვლა ძალიან უნდა და დორტმუნდელები ფულთან ერთად, მანჯუკიჩსა და შაჩირის მოითხოვენ. პრობლემა ისაა, რომ გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერნის" მომავალ მწვრთნელ **პეპ გვარდიოლას** 27 წლის მანჯუკიჩი და 21 წლის შაჩირი მოსწონს, თუმცა ლევანდოვსკის ტრანსფერის შემთხვევაში, ან ხორვატი ფორვარდი უნდა დათმოს, ანაც **მარიო გომესი** (დორტმუნდელებს ეს უკანასკნელიც აინტერესებთ).

აღსანიშნავია, რომ „ბორუსიას" ფული არ უჭირს. მარტო ჩემპიონთა ლიგიდან „დორტმუნდის" შემოსავალმა 60 მილიონი ევრო შეადგინა. დაუმატეთ ამას გიოტცეში აღებული 37 მილიონიც - სხვა შემოსავლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდელებმა „ვერდერის" მცველ **სოკრატის პაპასტატოპულოსში** ახლახან 9 მილიონი გადაიხადეს. ფაქტია, რომ „ბორუსიას" ცხელი სატრანსფერო ზაფხული ელის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მოსაწყენი თამაში, საოცარი პენალტების სერია


სკოკომ და მაქსი როდრიგესმა ორ-ორი პენალტი გაიტანეს

**ნიუელსი-ბოკა 0:0 პენ. 10:9 (0:0)**

**ნიუელსი** (4-3-2-1): გუსმანი - მ. კასერესი, ვერხინი, ჰაინცე, კასკო - პ. პერესი (66. ორსანი), მატეო (83. ტონსო), ბერნარდი - ვ. ფიგეროა (87. ურუტი), მაქსი როდრიგესი - სკოკო.

**ბოკა** (4-4-1-1): ორიონი - მარინი, კარუსო, კ. პერესი, კ. როდრიგესი - ერბესი, სომოსა, ერვიტი (88. ხ. მარტინესი), სანჩეს მინიო (79. რ. როდრიგესი) - რიკელმე - ბლანდი (61. ნ. სარატე).

**გაძევება:** კ. როდრიგესი (57. ბოკა ხუნიორსი)

**პენალტების სერია:** 0:0 რიკელმე (მეკარე), 1:0 სკოკო, 1:1 კ. პერესი, 2:1 ვერხინი, 2:2 ხ. მარტინესი, 3:2 მაქსი როდრიგესი, 3:3 სომოსა, 3:3 მ. კასერესი (მეკარე), 3:3 კარუსო (ააცილა), 3:3 ურუტი (ააცილა), 3:4 ორიონი, 4:4 კასკო, 4:5 რ. როდრიგესი, 5:5 ტონსო, 5:6 ერბესი, 6:6 ბერნარდი, 6:6 ნ. სარატე (ააცილა), 6:6 ორსანი (ააცილა), 6:7 მარინი, 7:7 გუსმანი, 7:8 რიკელმე, 8:8 სკოკო, 8:9 კ. პერესი, 9:9 ვერხინი, 9:9 ხ. მარტინესი (მეკარე), 10:9 მაქსი როდრიგესი

**ოლიმპია-ფლუმინენსე 2:1 (0:0)**

**გოლები:** 0:1 რაინერი (10), 1:1 სალგეირო (35), 2:1 სალგეირო (41-პენ)

**ოლიმპია** (3-5-2): მ. სილვა - მანსური, ე. მირანდა, კანდია - სალინასი, ე. პერესი, ფ. კაბალიერო (21. ხ. ფერეირა, 89. ხ. ბაესი), რ. ორტისი, ა. სილვა - სალგეირო (82. კ. პარედესი), ბარეირო.

**ფლუმინენსე** (4-3-2-1): დიეგო კავალიერი - ბრუნო (63. ტიაგო ნევეში), დიგაო, ლეანდრო ეუსებიო, კარლინიოსი - ჟეანი (69. სამუელ როსა), ედინიო, ვაგნერი - ველინგტონ ნემი (77. რაფაელ სობისი), რაინერი - ფრედი.

**ბომბარდირები:** 6 - დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), ჟო (ატლეტიკო მინეირო); 5 - ფრედი ბარეირო (ოლიმპია), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრიან როდრიგესი (უაჩიპატო), ხუან მანუელ სალგეირო (ოლიმპია), იგნასიო სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი)

„ნიუელს ოლდ ბოისის" და „ბოკა ხუნიორსის" შეხვედრაში იშვიათი სანახაობის მომსწრენი გავხდით: 11-მეტრიანების სერიაში რამდენიმე მოთამაშეს მეორე დარტყმის შესრულებამ მოუწია. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ სერია უსაშველოდ გაიწელა...

თუმცა, სანამ პენალტებზე ვისაუბრებთ, მანამ რამდენიმე სიტყვა თამაშზეც ვთქვათ, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა და მოსაწყენ გარემოში წარიმართა. „ნიუელსი" ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ **ხერარდო მარტინოს** შეგირდებმა მეტოქე დაჩაგრეს. კი, მეორე ნახევარში მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ამის მიზეზი, პირველ რიგში, **კლემენტე როდრიგესის** გაძევება იყო - 57-ე წუთზე, გამოცდილმა მარცხენა მცველმა ყვითელი ბარათი მიიღო, კლემენტე სულელურად მოიქცა, არბიტრს შეეკამათა და უმალვე თვალწინ მეორე ყვითელი, შემდეგ კი წითელიც იხილა. ათი კაცით დარჩენის შემდეგ, „ბოკას" მთავარი მიზანი გოლის არგაშვება იყო, რასაც **კარლოს ბიანკის** შეგირდებმა მიაღწიეს კიდეც. იმის გამო, რომ ლიბერტადორესის თასის რეგლამენტის მიხედვით დამატებითი დრო გათვალისწინებული არ არის, პირდაპირ 11-მეტრიანების სერია დაინიშნა. აი, აქ კი უკვე ნამდვილი დრამა და საოცრებები ვიხილეთ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო და უცნაური სერია იყო...

პირველი 11-მეტრიანი **ხუან რომან რიკელმემ** შეასრულა, რომელმაც პირდაპირ ცენტრში დაარტყა - **ნაუელ გუსმანი** არც კი განძრეული, ისე მოიგერია „ბოკას" ათიანის დარტყმული. ამის მერე ფეხბურთელები ზუსტად ურტყამდნენ, სანამ **მარკოს კასერესმა** კარს არ ააცილა. ამ დროს ანგარიში 3:3 იყო და გუნდებს 4-4 პენალტი ჰქონდათ შესრულებული. „ბოკას" მხრიდან ბოლო დარტყმის შესასრულებლად ბურთთან **კარუსო** მივიდა, ვინც ასევე ააცილა და „ნიუელსმა" პირველი „მატჩ პოინტი" მიიღო, რომელიც **მაქსი ურუტიმ** ვერ გამოიყენა. საჭირო გახდა დამატებითი დარტყმების შესრულება. გუნდებმა 3-3 პენალტი გაიტანეს (მათ შორის „ბოკას" მეკარე **აგუსტინ ორიონმაც**), რის შემდეგაც შეცდა **ნაუელ სარატე** და „ნიუელს ოლდ ბოისმა" მეორე „მატჩ პოინტი" მიიღო. **ორასიო დე დიოს ორსანს** საკუთარი გუნდისთვის გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ მან ძალიან ცუდად დაარტყა და ბურთი კარს ააცილა! მასპინძელთა გულშემატკივრებს ამ ყველაფრის დაჯერება უჭირდათ, მათმა საყვარელმა გუნდმა თამაშის მოგების ორი შანსი გაუშვა ხელიდან. 10-10 დარტყმის შემდეგ ანგარიში 7:7 იყო და ფეხბურთელები მეორე წრეზე წავიდნენ. ბურთთან ისევ რიკელმე მივიდა, რომელმაც ამჯერად კი გაიტანა და „ბოკას" ქომაგებსაც ბოდიში მოუხადა, მაგრამ ძალიან კი ინერვიულა, რადგან გუსმანი ბურთს მისწვდა და კინაღამ მოიგერია. საბოლოოდ, გადამწყვეტი **ხუან მანუელ მარტინესის** დარტყმა აღმოჩნდა - 9:9-ზე „ბოკას" ახალწვეულმა ვერ გაიტანა (გუსმანმა აუღო) და მასპინძლებმა მატჩის მოგების მესამე შანსი მიიღეს, რომელიც **მაქსი როდრიგესმა** გამოიყენა და **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე შეკრებული პუბლიკა გააბედნიერა. 10:9 პენალტების სერიაში და ხერარდო მარტინოს გუნდი 1/2 ფინალში გავიდა, კარლოს ბიანკისა და „ბოკა ხუნიორსისთვის" კი სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია. ერთადერთი ტურნირი, სადაც „ბოკას" გამარჯვების შანსი აქვს, არგენტინის თასი გახლავთ.

## ოლიმპია ოლიმპზეა, ფლუმინენსე კი სახლში

დღის მეორე მეოთხედფინალში „ოლიმპიამ" „ფლუმინენსეს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო. იმის გამო, რომ პირველი შეხვედრა გოლის გარეშე დასრულდა, ბევრისთვის მოულოდნელად, 1/2 ფინალში პარაგვაული გუნდი გავიდა და არა „ფლუ", რომელიც სატურნირო ბადის ამ ნახევრის ფავორიტად მიიჩნეოდა. თამაში სტუმრებისთვის იდეალურად დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე ანგარიში 0:1 გახდა - თავი 22 წლის **რაინერმა** გამოიჩინა, ვინც წლევანდელ ტურნირზე პირველი გოლი გაიტანა.

ბრაზილიელთათვის დამღუპველი პირველი ტაიმის 6-წუთიანი მონაკვეთი და **ხუან მანუელ სალგეიროს** კარგი თამაში გამოდგა. 30 წლის ურუგვაელმა 35-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, 41-ეზე კი პენალტი გამოიყენა და „ოლიმპია" წინ გაიყვანა. მეორე ტაიმში, **აბელ ბრაგამ** გარისკა და მინდორზე შემტევი ფეხბურთელები შემოიყვანა, ბრაზილიის ჩემპიონიც უპირატესობას დაეუფლა, მაგრამ ასე საჭირო გოლის გატანა ვერ შეძლო. საბოლოოდ, 2:1 და ლიბერტადორესის თასის 3-გზის გამარჯვებული მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც კოლუმბიის „სანტა ფეს" შეხვდება. „ფლუს" კი კვლავ ხელი მოეცარა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის 4-გზის ჩემპიონს ლიბერტადორესის თასზე არასდროს უმარჯვია (2008 წელს ფინალში დამარცხდა), არადა ეს ტურნირი სულ 9 ბრაზილიურ კლუბს აქვს მოგებული და აღიარებული გრანდებიდან გამარჯვება მხოლოდ „ფლუმინენსეს" და „ბოტაფოგოს" არ ღირსებიათ.

შესაძლოა, ტრიუმფატორ ბრაზილიურ კლუბთა რაოდენობა 10-მდე გაიზარდოს. ამისთვის კი საჭიროა, რომ „ატლეტიკო მინეირომ" ფავორიტის სტატუსი გაამართლოს. **რონალდინიო** და კომპანია დღეს დილით „ტიხუანას" ხვდებოდა. ამ წყვილის გამარჯვებული 1/2 ფინალში „ნიუელსს" დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა, რომელიც მექსიკაში გაიმართა, ფრედ, 2:2 დასრულდა.

საფრანგეთის ნაკრები

# მამლებს ნასრი გამოაკლდა

„მანჩესტერ სიტის" ამერიკული ტურნეს დროს, ტრავმა მიიღო **სამირ ნასრიმ** და ის ეროვნულ გუნდს გამოაკლდა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი 5 ივნისს ურუგვაის შეხვდება, 9-ში კი ბრაზილიას.

ნასრის ეროვნულ გუნდში ევრო 2012-ის შემდეგ არ ჰქონდა ნათამაშები და ის ძალიან ბედნიერი იყო იმით, რომ **დიდიე დეშამმა** მისი გამოძახება გადაწყვიტა, მაგრამ, როგორც ხედავთ, „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველს არ გაუმართლა. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მომდევნო ტურში „სამფეროვნებს" დისკვალიფიკაციის გამო **იოან კაბაი** და **პოლ პოგბა** ვერ დაეხმარებიან, თავის გამოჩენის შემთხვევაში, 26 წლის ნახევარმცველს ნაკრებში დამკვიდრების კარგი შანსი მიეცემოდა, მაგრამ...

აქვე დავამატოთ, რომ დეშამის მიერ თავდაპირველად გამოცხადებულ შემადგენლობას უკვე 4 ფეხბურთელი გამოაკლდა. ნასრის გარდა, ესენი არიან: **ჟერემი მენეზი, გაელ კლიში** და **მიკელ ლანდრო**. ნასრი ნაკრებში **კლემან გრენიემ** უნდა შეცვალოს, მენეზის ნაცვლად დეშამმა **ალექსანდრ ლაკაზეტს** უხმო, კლიშის **ბენუა ტრემულინა** შეცვლის, ლანდროს კი **სტეფან რუფიე**.

**მეკარეები:** უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი), სტეფან რუფიე (სენტ ეტიენი).

**მცველები:** მატიო დებუში (ნიუკასლი), ბაკარი სანია (არსენალი), მამადუ სახო (პსჟ), ლორან კოშიელნი (არსენალი), ელიაკიმ მანგალა (პორტუ), ადილ რამი (ვალენსია), ბენუა ტრემულინა (ბორდო), ჟერემი მატიო (ვალენსია)

**ნახევარმცველები:** იოან კაბაი (ნიუკასლი), ბლეზ მატუიდი (პსჟ), ეტიენ კაპუ (ტულუზი), იოან გურკუფი (ლიონი), ჯოშუა გილავოგი (სენტ ეტიენი), კლემან გრენიე (ლიონი)

**თავდამსხმელები:** მატიო ვალბუენა (მარსელი), ალექსანდრ ლაკაზეტი (ლიონი), დიმიტრი პაიე (ლილი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ოლივიე ჟირუ (არსენალი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი)


ნასრი ნაკრების ფორმას ისევ ვერ მოირგებს, ამჯერად ტრავმის გამო

ამბები

## ციხიდან ზაგრებში

„სან ლორენსოს" მეკარე **პაბლო მილიორე**, რომელმაც ზამთარში 40 დღე ციხეში გაატარა, ზაგრების „დინამოში" გადადის. 31 წლის მილიორე გისოსებს მიღმა ხულიგნობის გამო აღმოჩნდა, კერძოდ, არგენტინელმა მკვლელობაში ეჭვმიტანილ „ბოკა ხუნიორსის" ერთ-ერთ გულშემატკივარს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

*„აქ ყოფნა ჩემთვის დიდი პატივია. იმედია დასახულ მიზნებს მივაღწევთ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვოს,"* - განაცხადა მილიორემ.

მეკარემ ბოლო 4 სეზონი „სან ლორენსოში" გაატარა, სადაც ჯამში 118 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. იქამდე ის „ბოკა ხუნიორსის" და „რასინგის" სარეზერვო კიპერი იყო. „ბოკასთან" ერთად მილიორემ 2006 წელს არგენტინის ჩემპიონატი, 2007 წელს კი ლიბერტადორესის თასი მოიგო.

## ბელჰანდა: ინგლისი ან გერმანია

„მონპელიეს" 23 წლის ნახევარმცველმა, **იუნეს ბელჰანდამ**, „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ინგლისში ან გერმანიაში სურს თამაში. ახალგაზრდა ნახევარმცველის აზრით, რომლის კონტრაქტსაც ვადა 2015 წლის ზაფხულში გასდის, მას საფრანგეთში ზრდის საშუალება აღარ აქვს.

*„მსურს კარიერა ინგლისში ან გერმანიაში გავაგრძელო. ვფიქრობ, ფიზიკურად და ტექნიკურად საფრანგეთის ჩემპიონატისთვის უკვე გადავიზარდე. ძალიან მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბში ჩავირიცხო და ამ ტურნირზე ვითამაშო, საფრანგეთში კი ჩემს დარჩენას აზრი აღარ აქვს, რადგან აქ უკვე ვერაფერს ვისწავლი და ერთი ადგილის ტკეპნა მომიწევს,"* - განაცხადა ბელჰანდამ.

ბელჰანდა „მონპელიეს" აღზრდილია და ამ კლუბის რიგებში 2009 წლიდან მოყოლებული 117 მატჩიც ჩაატარა (ლიგა 1-ში) და 23 გოლი გაიტანა. 2012 წელს, პირველ რიგში მისი და **ოლივიე ჟირუს** კარგი თამაშის წყალობით, „მონპელიე" ისტორიაში პირველად საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

## სან პაულო განსოს გაყიდვას არ აპირებს

„პარი სენ ჟერმენი" „სან პაულოდან" კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის, **პაულო ენრიკე განსოს** შეძენას აპირებს. სპეკულაციებს ბრაზილიური კლუბის საფეხბურთო დირექტორმა, **ადალბერტო ბაპტიშტამ** უპასუხა: *„ჩვენ პსჟ-სთან და ლეონარდოსთან ძალიან კარგი და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ განსოს გაყიდვას ნამდვილად არ ვაპირებთ".*

თუმცა, ბაპტიშტამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გასხვისება არ გამორიცხა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი „სან პაულოს" ისეთი წინადადებით მიმართავს, რომელზეც კლუბს უარის თქმა გაუჭირდებათ. ისევ მას მოვუსმინოთ:

*„რა თქმა უნდა, თუ დიდი თანხა შემოგვთავაზეს, ისეთი, რომელზეც უარს ვერ ვიტყვით, ტრანსფერი დღის წესრიგში დადგება. ეს ეხება ყველა ფეხბურთელს და არა მხოლოდ განსოს. ისე კი, მეეჭვება მას წასვლა სურდეს, რადგან ახლა საუკეთესო ფორმაში შედის".*

შეგახსენებთ, რომ 23 წლის განსო „სან პაულოში" 2012 წლის დასაწყისში „სანტოსიდან" გადავიდა, სადაც 162 შეხვედრაში 34 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ანკარის ტურნირი



# ლიდერების დაუგეგმავი სტარტი

დღეს ანკარაში ახალგაზრდა მოჭიდავეთა ტრადიციულად ძლიერი საერთაშორისო ტურნირი - „ჩემპიონები" იწყება, რომელშიც საქართველოდან ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები გამოვლენ. ბერძენ-რომაელთა გეგმებში ეს შეჯიბრება იმთავითვე იყო გათვალისწინებული, მაგრამ იქ მეორე შემადგენლობის გაგზავნას აპირებდნენ, ახლა კი, რაკი, წესები შეიცვალა, ადაპტაციის მიზნით ლიდერების გაშვება გადაწყვიტეს. ასეც მოიქცნენ, მაგრამ თურმე თურქები ტურნირს ძველი წესებით ატარებენ! არადა, 18 მაისის შემდეგ, რაც ახალი წესების შესახებ გამოცხადდა, ყველა საერთაშორისო შეჯიბრება ასე გაიმართა. მით უფრო - საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში შეტანილები, მაგრამ თურქებმა რატომღაც დინების ალმა ცურვა გადაწყვიტეს.

ჩვენი ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებიდან იქ **ირაკლი შავაძე** (50), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ჭითავა** (60), **ფირუზ ნულუკიძე** (66), **ლაშა გობაძე** (74), **კური კირცხალია** (96) და **იაკობ ქაჯაია** (120) გამოვლენ. ყველა მათგანი საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია, ეს კი ის სიაა, ვინც ფედერაციამ დააფინანსა, მაგრამ აჭარამ თავისი ხარჯით **შმაგი ბოლქვაძეც** (66) გაუშვა. ანკარაში **რობერტ ქობლიაშვილსაც** (84) უნდა ეჭიდავა, მაგრამ ბოლო დღეებში ვარჯიშზე ხელი იტკინა და შინ დატოვეს. საბედნიეროდ, ტრავმა არაა საშიში და ევროპის მოახლოებულ პირველობაზე გამოსვლაში ხელს არ შეუშლის.

გეგმების ასე მყისიერმა ცვლამ გავლენა ამ გუნდზეც მოახდინა - სავარაუდოდ, თურქეთში შავაძეები, ჭითავა და გობაძე ზედა წონებში გამოვლენ. საქმე ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატი ერთ თვეში, 2-7 ივლისს მაკედონიურ სკოპიეში ტარდება და ამიტომ ახლა წონას არ აკლებინებენ, თუმცა ამ საკითხს მწვრთნელი ზაზა სილაგაძე საბოლოოდ ადგილზე გადაწყვეტს იქიდან გამომდინარე, ვინ რამდენად შეძლებს დაკლებას.

**ირაკლი თავაძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# ოთხი ფერიის რვა ჯილდო

**გიორგი ეგნატაშვილის** სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა (მწვრთნელები - **ლუბოვ სერგოვანცევა** და **თინათინ ნადირაშვილი**) **ფიქრია ფანქველაშვილის** ხელმძღვანელობით ისრაელში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე - „ზღვის თასის" გათამაშებაში იასპარეზეს. აშდოდში 11 ქვეყნის სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებმა მოიყარეს თავი.

1998 წელს დაბადებულთა მრავალჭიდში 41,75 ქულით მე-2 ადგილი დაიკავა **ელიზავეტა ბაქრაძემ**, რომელმაც ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც მოიპოვა ორი მედალი: ბაბთით 15,05 ქულა მოაგროვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რგოლით კი (14,5) მეორე ადგილს დასჯერდა.

13 წლის ტანმოვარჯიშეთა პაექრობაშიც სამი ჯილდო დაიმსახურა **ვიქტორია შელიამ.** მანაც მრავალჭიდში 42,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. გურზებით (14,6) პირველი იყო, ბურთით (13,9) კი მეორე ადგილზე გავიდა.

2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის **ანა კუკავას** ბურთით ვარჯიში (13,7) მესამე შედეგი ჰქონდა, მრავალჭიდში კი ბრინჯაომდე მცირედი დააკლდა - მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

საქართველოს დელეგაციის მე-8 მედალი 10-წლიანებში **ანასტასია არველაძემ** მოუტანა - 11,65 ქულით რგოლით ვარჯიშში მე-2 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**



ელიზავეტა ბაქრაძე



ვიქტორია შელია

ქართული ჭიდაობა

# ლაგოდეხში ტრადიციის ერთგულნი რჩებიან



ახალგაზრდებს შორის კახეთისა და ქვემო ქართლის ქალაქებისა და რაიონების 1993-1995 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა მონაწილეობით საქართველოს ზონალურ პირად პირველობას ლაგოდეხმა უმასპინძლა.

შეჯიბრების ჩატარების ორგანიზატორებს შემთხვევით არ აურჩევიათ ეს ქალაქი. რაიონს მდიდარი ტრადიცია გააჩნია ქართულ ჭიდაობაში. აქ აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავეები **დავით ჩაჩანიძე, ისიდორე მჭედლიძე, გიორგი ნავაძე,** ძმები - **ჯიმშერ** და **გია მუმლაძეები, მამუკა** და **ზაზა მახათაძეები, ჯონი თურქაძე** და სხვები. ბოლო ხანებში კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ქართული ჭიდაობის მადლს ნაზიარებმა ჭაბუკმა ფალავნებმა **ჯაბა ბიწაძემ** და **ჯაბა მუმლაძემ,** პირველი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სამბოში, მეორემ კი ევროპის ჭაბუკ ძიუდოისტთა თასი მოიგო, რომელიც წლეულს გაიმართა პოლონურ ქალაქ ბიელსკო ბიალაში.

ყოველივე ამ სიკეთეს ისიც დაემატა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დიდი სურვილი გამოთქვა, ზემოხსენებული ზონალური შეჯიბრება მათ რაიონში ჩატარებულიყო. სურვილმა და მონდომებამ ასპარეზობას საზეიმო ელფერი შესძინა, მრავალრიცხოვან მაყურებელთა თანდასწრებით საინტერესო და უშეღავათო ორთაბრძოლები გაიმართა (მთავარი მსაჯი ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **დავით ყარაბულაშვილი**). განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კახეთის რეგიონის მოჭიდავეები, რომლებმაც ქვემო ქართლის სპორტსმენებთან შედარებით მეტი საპრიზო ადგილები დაიკავეს და უფლება მოიპოვეს, იასპარეზონ საქართველოს პირადი პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც მიმდინარე წლის 14-16 ივნისს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში ახალაგებულ დახურულ საჭიდაო არენაზე გაიმართება. კახელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონის უკლებლივ ყველა ზონის სპორტსმენები ვიხილეთ სარბიელზე. ქვემო ქართლიდან კი ბოლნისის, თეთრიწყაროს, დმანისის და წალკის რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი მოჭიდავეების მონაწილეობა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კომენტარი გააკეთა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმა.**

- შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალერი ალიბეგაშვილის, სპორტის სამსახურის უფროსის თორნიკე მაჭარაშვილისა და სპორტული სკოლის დირექტორის ჯონი თურქაძის თანადგომით. ჩვენ ერთად შევარჩიეთ სოფელ აფენში ადგილი, სადაც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუს" ხელმძღვანელობა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით აგვიშენებს დახურულ საჭიდაო არენას, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ლაგოდეხის რაიონში ჩვენი ეროვნული საგანძურის - ქართული ჭიდაობის პოპულარობას.

გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებს: **ნიკო ჭიკაიძე** (55 კგ); **გოდერძი ფეტვიაშვილი** (60, ორივე - ახმეტა); **ილია ლეკიაშვილი** (65, სიღნაღი); **ლადო წითელაური** (70, ახმეტა); **ტარიელ ყვავილაშვილი** (75, რუსთავი); **ლაშა დავითაშვილი** (80); **მიხეილ ახალაური** (90); **დათო კარკალიდისი** (+90, სამივე - ახმეტა).

**იური იმერლიშვილი,**
ქართული ჭიდაობის ეროვნული
ფედერაციის გენერალური მდივანი

„ლელოს" რედაქციას

29 მაისს შესრულდა 60 წელი მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის „ევერესტის" დაპყრობიდან. მართალია, მიხეილ ხერგიანს არ დასცალდა ხსენებულ მწვერვალზე ასვლა, მაგრამ მისი სახელი მაინც ლეგენდად დარჩა მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში.

გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, მოკლედ მოგვითხროთ მიხეილ ხერგიანის ალპინისტურ ცხოვრებაზე, ის იყო აგრეთვე სახელგანთქმული მეკლდეური.

**ვამეხ საგინაძე**
ქუთაისი

**რედაქციისაგან**: სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გთავაზობთ ამონარიდს „ქართული სპორტული ენციკლოპედიიდან".

ხერგიანი მიხეილ. 23.03.1932, მესტია - 04. 07. 1969. მწვერვალი სუალტო (იტალია). ალპინიზმი, მეკლდეურობა. სსრკ სამგზის ჩემპიონი ალპინიზმში სასიმაღლო (1955, სტალინის პიკი) და ტექნიკურ (1956, ტიუტუ-ბაში; 1964, უშბა ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლით) კლასებში. მეკლდეურობაში სსრკ ჩემპიონატებისა და პროფკავშირების შვიდგზის ჩემპიონი (1952, 60, 62, 64, 65 - აბსოლუტური, 66, 67) და მრავალგზის პრიზიორი. დალაშქრა კავკასიონის, პამირის, ტიან-შანისა და ალპების ურთულესი მწვერვალები. ინგლისში მიანიჭეს „კლდის ვეფხვის" წოდება (1960). მისი სახელი მიენიჭა მწვერვალებს კავკასიონსა და პამირ-ალაიში, თურქესტანის ქედზე, ვრაჩანის მასივის ერთ-ერთ ალპინისტურ მარშრუტს ბულგარეთში, კლდეს იაილის მასივზე ყირიმში, ახალგაზრდულ კლუბ „ბეთქილს", საშუალო სკოლას და ერთ-ერთ ქუჩას მესტიაში, მცირე პლანეტას ასტეროიდების რგოლში მარსი-იუპიტერის ორბიტაზე დაწესებულია მიხეილ ხერგიანის ყოველწლიური მემორიალი მეკლდეურობაში (1967), მესტიაში გახსნილია მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.



ჩოგბურთი

# წყვილებში ყოჩაღობენ

პარიზში გრძელდება ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია პირველობა, რომელშიც ორი ქართველიც მონაწილეობს. უკვე გაუწყეთ, რომ ერთეულებში **ანა ტატიშვილმა** სტარტზევე წააგო ტურნირის რეიტინგფავორიტ სერენა უილიამსთან, სამაგიეროდ, წყვილებში იყოჩალა: ბელარუს ოლგა გოვორცოვასთან ერთად ფრანგები - სტეფანი გასონი და ირენა პავლოვიჩი დაამარცხა - 6:3, 6:4. მეორე წრეში ჩვენებური მესამე ნომრად განთესილ ნადია პეტროვას (რუსეთი) და კატერინა სრებოტნიკის (სლოვენია) დუეტს დაუპირისპირდება.

თანამემამულეს მხარი აუბა **ოქსანა კალაშნიკოვამ**. პოლონელ ალისია როსოლსკასთან შეამხანაგებული ჩვენებური გუშინ ურთიერთობას არკვევდა ირინა ბურიაჩოკისა (უკრაინა) და ჰიტა უოტსონის (დიდი ბრიტანეთი) ტანდემთან. ქართულ-პოლონურმა დუეტმა პირველი ხელი 3:6 დათმო, მეორეში 6:4 გაიმარჯვა. მესამე სეტში ოქსანა და ალისია 0:3-ს აგებდნენ, მაგრამ შეხვედრაში გარდატეხა შეიტანეს და 7:5 დაამარცხეს მეტოქე. მეორე წრეში ისინი ირინა ფალკონი (აშშ)-მარიანა ჯუკიჩ-სალკიჩისა (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და სუ-ვეი შიე (ტაივანი)-შუაი პენის (ჩინეთი) წყვილებს შორის უძლიერესს გაუწევენ მეტოქეობას.

■ ■ ■

ჩოგბურთის ქომაგებმა იციან, რომ **სოფიო შაფათავა** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მონაწილეობს. ერთეულთა სტარტზე მან ემილია გაჯიევას (რუსეთი) აჯობა - 6:3, 6:1, მეორე წრეში ქსენია გაიდარჯის მძლეველ მარგარიტა ლაზარევას (ორივე - რუსეთი) დაუპირისპირდება.

წყვილებში შაფათავა ბელარუს ილონა კრემენთან არის შეამხანაგებული და პირველ წრეში შახლა საიდოვას (რუსეთი) და ანა შკუდუნის (უკრაინა) ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

თურქულ ადანაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ძირითად ბადეში ორი ქართველი ჩაება: **მარიამ ბოლქვაძემ** პირველ წრეში **ანა ქადაგიძე** დაამარცხა - 6:0, 6:0, მეორეში კი თავად დანებდა უკრაინელ ოლგა იანჩუკს.

ჩვენებურებმა წყვილებშიც დაამთავრეს ასპარეზობა, თანაც სტარტზევე: ანა ქადაგიძე, ანელი პოკრასი (ესტონეთი) - ოლგა იანჩუკი (უკრაინა), ზუზანა ზლოჩოვა (სლოვაკეთი) - 1:6, 0:6, მარიამ ბოლქვაძე, ჰაზალ უნლუგენკი (თურქეთი) - ანეტ მუნოზოვა (შვედეთი), აბი მაიერსი (ავსტრალია) - 4:6, 6:3, 6:10.



ოქსანა კალაშნიკოვა

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# დებიუტანტი სრული სვლით

საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" გუშინ საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ორი მატჩი გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს ასპარეზობის დებიუტანტ თსუ-ს და "ივერიის" დაპირისპირება იწვევდა, რაც მათი სატურნირო მდგომარეობით იყო გამოწვეული - წარმატების შემთხვევაში "ივერია" ქულებით სტუდენტებს გაუთანაბრდებოდა.

**თსუ-ივერია 16:7**

3:3, 5:2, 2:1, 6:1

**თსუ:** ფავლენიშვილი, სხილაძე, ბაქრაძე, ბულაძე (2), გიორგაძე (2), ჩერქეზიშვილი, გაბადაძე (8), ტუკვაძე (1), კაკულია (3), ვაჩაძე (1), მგელაძე, ციხელაშვილი, მწვრთნელი გიორგაძე.

**ივერია:** ჭოლოკავა, რევია (1), მირიანაშვილი, ფურცელაძე, ჩომახაშვილი (1), ნონიკაშვილი, ჯახაია (3). მოსეშვილი (1), ზაქარეიშვილი, მაგრაქველიძე, ჯანჯღავა, მარგველაშვილი, რაზმაძე, კოტია (1), მწვრთნელი მეგედი.

მოტივაცია არც დებიუტანტებს აკლდათ - სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მე-3 ადგილზე იყვნენ და გამარჯვების შემთხვევაში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონ "თბილისს" წამოეწეოდნენ. პაექრობა ივერიელთა იერიშებით დაიწყო და პირველსავე წუთზე ჯახაიამ ანგარიში გახსნა, თუმცა კაკულიამ მალევე აღადგინა წონასწორობა. მერე თსუ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა გაბადაძემ გამოიჩინა თავი - ზედიზედ ორი გოლი გაუტანა ჭოლოკავას (საერთოდ კი ამ მატჩში 8 გოლით გამოირჩა), რაზეც ჩომახაშვილმა და მოსეშვილმა თითო ბურთით უპასუხეს. მე-2 პერიოდში სტუდენტები სამი გოლით დაწინაურდნენ, საბოლოოდ კი დიდი ანგარიშით - 16:7 გაიმარჯვეს და ერთპიროვნულ ლიდერ "ლიგამუსს" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩებიან.

**ლიგამუსი-2-ივერია 10:11**

2:3, 4:2, 3:2, 1:4

**ლიგამუსი-2:** სამადბეგაშვილი, ფირცხალავა, თორდია (1), ზამბახიძე (3), ჭედია, გოგელია (2), ჩოდრიშვილი, ქოიავა (1), დოიჯაშვილი, მოსეშვილი (2), შერვაშიძე (1), აბაიაძე, მწვრთნელი მაისურაძე.

**„ივერია“:** ჭოლოკავა, რევია (2), მირიანაშვილი, ჩომახაშვილი (2), ნონიკაშვილი, ჯახაია (2), მოსეშვილი, ზაქარეიშვილი (1), მაგრაქველიძე (4), ჯანჯღავა, მარგველაშვილი, რაზმაძე, კოტია, მწვრთნელი მეგედი

"ივერიამ" გუშინ მე-2 მატჩიც გამართა, აჯერად "ლიგამუსი-2"-თან. პირველ რვაწუთიან მონაკვეთში ივერიელები ერთი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ, მაგრამ მომდევნო ორი პერიოდი დათმეს და ზედიზედ მეორე მარცხის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ეტყობა, ამან გამოაფხიზლა მეგედის შეგირდები. მათი შეტევები უფრო შედეგიანი გახდა და ბოლო რვა წუთში ზედიზედ ოთხჯერ აიძულეს სამადბეგიშვილი, საკუთარი კარის ბადიდან გამოეტანა ბურთი, თავად კი ერთი გოლი გაუშვეს, მატჩიც 11:10 მოიგეს.

ეროვნულ ჩემპიონატში ხუთი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: "ლიგამუსი"-15, თსუ-12, "თბილისი"-12, "ივერია"-9, "ლიგამუსი-2"-3, "ბათუმი"-0, "ქუთაისი"- 0 ქულა.

**ვაჟა დანელია**



სემინარი



# კიდევ ბევრია სასწავლი

## ბელგიურ-ლიტვური გამოცდილება

29-30 მაისს სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით ორდღიანი სემინარი ჩატარდა თემაზე „სახელმწიფოს შიდა თანამშრომლობის ასპექტები ევროპის კონვენციის დებულებების ფარგლებში", რაც პირდაპირ კავშირშია „სპორტულ შეჯიბრებებზე და, განსაკუთრებით - საფეხბურთო მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ ევროპის კონვენციასთან", რომლის ხელმომწერი საქართველოცაა. სემინარს ბელგიის ეროვნული საფეხბურთო საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ბელგიის ფედერალური პოლიციის წარმომადგენელი **იოჰან ქუატაერტი** და მასობრივი სპორტული ღონისძიებების უსაფრთხოების კომისარი პოლიციის დეპარტამენტიდან, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი **ინგრიდა ლამანაუსკენე** უძღვებოდნენ, მონაწილეებს კი შესავალი სიტყვით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** მიმართა. კონფერენციის მთავარი სასაუბრო საგანი საფეხბურთო შეხვედრები და უსაფრთხოება კი იყო, მაგრამ მან მთელი სპორტი და სხვა საპრობლემო თემები - სტადიონებზე რასიზმი, ჰომოფობია და სხვაც მოიცვა. მსგავსი თემები ჩვენთვის იქნებ უცხოა, თუმცა უსაფრთხოება აქაც აქტუალურია. არადა, ამკვეთ ღონისძიებებში გამოცდილება აშკარად გვაკლია, რაშიც თუნდაც ამ სემინარმაც დაგვარწმუნა - თურმე რამდენი რამე არ კეთდება ჩვენთან. საბედნიეროდ, შეხვედრამ დიდი ინტერესიც გამოიწვია და დაახლოებით 30-მდე მსმენელი მუდმივად ესწრებოდა - ფედერაციების, სპორტის, შსს-ს, თავდაცვის სამინისტროს, პარლამენტის, სამთავრობო და არასამთავრობო სპორტული ინსტიტუტების, დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. ქუატაერტმა ბოლოს ისიც აღნიშნა, სიაში ამდენი ხალხი რომ დავინახე, თავიდან შემეშინდა კიდეცო.

## საქართველომ ლიტვას საზრუნავი გაუჩინა

სტუმრებმა ბელგიისა და ლიტვის მაგალითზე ისაუბრეს, როგორ იცავენ უსაფრთხოებას სპორტულ ღონისძიებებზე, რამდენად ეფექტურია ამ საქმეში მათი ქვეყნების კანონმდებლობა, გაგვიზიარეს წინასწარი პრევენციის ევროპული გამოცდილება. ამ მხრივ ძალიან საინტერესო იყო ლამანაუსკენეს საუბარი ლიტვაში 2011 წელს გამართულ „ევრობასკეტზე". ლიტვამ თურმე დიდი ხნით ადრე დაიწყო იმ ტურნირისთვის მზადება და თავდაპირველად მკვეთრად გაიწერა ფუნქციები, ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი წესრიგის დაცვაზე საკუთრივ დარბაზში, არენის გარეთ, ქალაქში თუ ყველა იმ წერტილში, რასაც შეხება ჰქონდა ჩემპიონატთან. მისი უკეთ ორგანიზების მიზნით მთავრობის დონეზე შეიქმნა საგანგებო კომისია, ტურნირის მასპინძელ ყოველ ქალაქში კი ჩამოყალიბდა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელსაც ასეთივე სტრუქტურა ცალკეულ დარბაზებშიც ჰქონდა. ყველა არენაზე დაამონტაჟეს კამერები, რომლებსაც დარბაზის უსაფრთხოების სამსახურების გარდა, ცენტრალურ შტაბშიც აკვირდებოდნენ, რაც ექსტრემალურ ვითარებაში კოორდინირებას აიოლებდა - უპრობლემოდ ხდებოდა დამატებითი ძალების გადასროლა „ცხელ წერტილებში". ამასთან, მონაწილე გუნდების საშიშ ქომაგებზე იმ ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით იკრიბებოდა მონაცემები, პირველობის დღეებში კი აიკრძალა პოლიციელთა შვებულებაში გაშვება. კაუნასში, რომლის ისტორიული დარბაზიც თურმე იუნესკოს დაცვის ქვეშაა, რაც გარკვეულ სირთულეებსაც ქმნის - რესტავრაცია-გადაკეთება ლამის გამორიცხულია, უსაფრთხოების დასაცავად 700-მდე ძალოვანი ყოფილა მობილიზებული - პოლიცია, უსაფრთხოებისა თუ სარეზერვო სამსახური... ლამანაუსკენეს თქმით, უსაფრთხოების სამსახურმა წინასწარ განსაზღვრა მოსალოდნელი საფრთხეები: ქომაგთა დიდი ოდენობა; გაყალბებული ბილეთები; დანაშაულის ზრდა; მოსალოდნელი რასიზმი და ქსენოფობია, პარალელურად კი დაიწყო მათ მოგვარებაზე ზრუნვა. საბოლოოდ ზემოაღნიშნული საფრთხეებიდან მხოლოდ პირველი გამართლდა, საქართველო კი სლოვენიასა და ლატვიასთან ერთად იმ ჯგუფში შეუყვანიათ, საიდანაც ყველაზე მეტ ქომაგს ელოდნენ. საქართველოდან 1000 გულშემატკივარს ითვალისწინებდნენ, მაგრამ ამაზე მეტი ჩავიდა, თუმცა მათი ვარაუდი ძირითადად გამართლდა, ოღონდ იმ სამეულს მაკედონიაც დაემატა. თურმე იქაურმა მთავრობამ 4 ჩარტერული რეისი დააფინანსა, რომლებსაც მასპინძელი პოლიცია საგანგებოდ დახვედრია და მჭიდრო კონტროლით ექსცესები თავიდან აუცილებია. არადა, მაკედონიამ ლიტვას მოუგო. იოლად წარმოიდგენთ მაშინდელ „დუღილის ტემპერატურას", მაგრამ მასპინძელი სამართალდამცავები განსაკუთრებული მონდომებით მაინც საქართველო-რუსეთის შეხვედრისთვის მომზადებულან - ინტერპოლის ჯგუფიც კი მიუწვევიათ და ერთი ქომაგიც დაუკავებიათ, თუმცა იმ შეხვედრამ, საბედნიეროდ, ექსცესების გარეშე ჩაიარა.

ლამანაუსკენე ლიტვა-პოლონეთის საფეხბურთო მატჩსაც შეეხო და ფილმად წარმოგვიდგინა პრევენციის ღონისძიებები, როგორ დახვდნენ საზღვარზე ჩხუბით განთქმულ ქომაგებს და როგორ გააუვნებლეს, თუმცა მათ თურმე ამის შესახებ სხვებს დაუმესიჯეს და იმათაც შემოვლითი გზებით შეაღწიეს ლიტვაში. საინტერესო მაგალითი დაასახელა ქუატაერტმაც - ბელგიაში სათამაშოდ ჩასულ ხორვატ ფეხბურთელებს თავისი ქომაგები ჩაჰყოლიან, რომლებმაც მოთამაშეებს... გზის ფულის ანაზღაურება მოსთხოვეს. მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად დადგა დღის წესრიგში გუნდების მაყურებელთაგან იზოლირება. აღნიშნული შეხვედრა მომხსენებლის ანგარიშში კიდევ ერთხელ მოექცა, როცა სტადიონზე პიროტექნიკის გამოყენებაზე საუბრობდნენ - თურმე ბელგიელთა ერთ-ერთი შეტევისას ხორვატებმა მაშხალები ისროლეს, რის გამოც შეხვედრა შეწყდა და შეტევაც შეჩერდა. მართალია, თამაში კი განახლდა, მაგრამ ის მომენტი ჩაიშალა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ქუატაერტის, თითქოს ბელგიამ ის პაექრობა მხოლოდ ამიტომ ვერ მოიგო. ცხადია, დიდად არც ის ამბავი გაუხარდა, გუშინწინ ჩვენმა 19-წლამდელმა ფეხბურთელებმა ბელგიელებს მათსავე მოედანზე რომ მოუგეს.

## სტიუარტებიდან ულტრასებამდე ანუ საფრთხიდან უსაფრთხოებამდე

## დავეწიოთ ევროპას, ანუ საინფორმაციო ცენტრის საჭიროება

თანამედროვე ეპოქამ და ინტერნეტის განვითარებამ შესაძლებელი გახადა, წინასწარ შეგროვდეს ინფორმაციები ხულიგან ქომაგებზე, თორემ ადრე მსგავს კონტაქტებს ფაქსების გაგზავნით ამყარებდნენ, ახლანდელი კი ბევრად ეფექტურია. ევროპის წამყვან ქვეყნებში შექმნილია ეროვნული საინფორმაციო ცენტრები, რომლებსაც ევროპის ანალოგიური სამსახური აერთიანებს. იქ თავმოყრილია ცნობები ყველა კლუბსა თუ ნაკრებზე (ტოპ-კლასზეც და შედარებით სუსტებზეც), სადაც აღწერილია, ვის ჰყავს აგრესიული ქომაგი - ეგრეთ წოდებული ულტრასები, მათგან განსაკუთრებით ცნობილები კი გვარ-სახელითაა შეტანილი. ნებისმიერი ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრის წინ იქ თავსდება მიახლოებითი ინფორმაცია, ამა თუ იმ კლუბისა თუ ნაკრების გასვლით თამაშზე რამდენი ქომაგი აპირებს წასვლას და არიან თუ არა მათ შორის „ულტრასები". თუმცა ამის დადგენა შესაძლებელი მაშინაა, როცა სტუმარი გუნდისთვის განკუთვნილი ბილეთები იყიდება, მაგრამ საქმე ბევრად ძნელია, როცა ქომაგები თავისით მიდიან გასვლით თამაშებზე. მსგავსი საინფორმაციო მოდელი მუშაობს შიდა ჩემპიონატებზეც, რაც, ბუნებრივია, დარღვევებს ბოლომდე ვერ გამორიცხავს, მაგრამ ამ საიტზე განთავსებული მონაცემთა ბაზით ევროპელ სამართალდამცავებს შორის ხულიგნებზე ინფორმაციის გაცვლა და თადარიგის დაჭერა მაინც შეიძლება. ამასთან, იქ ყველა ქვეყნიდან იგზავნება თამაშის ოქმი, ოღონდ ეს ბაზა კოდირებულია, ანუ შესვლა ყველას არ შეუძლია. თუმცა ამაზე მეტი პრობლემა სხვაა - ქუატაერტიმ აღნიშნა, რომ ზოგ ქვეყანაში ასეთი საინფორმაციო ცენტრი შექმნილი კია, მაგრამ არ მუშაობს, ასეთთა შორის კი საქართველოც დაასახელა. თან იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ვითარება შეიცვლება.

ქუარტაერტიმ წესრიგის დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ცალკეულ სექტორებში გადაცმული თანაშრომლების განთავსება მიიჩნია, თუმცა ყველა პრობლემას ვერც ეს აგვარებს. როგორც სტუმარმა განაცხადა, რასისტულ-ჰომოფობიური შეძახილების, მეტოქეთა შეურაცხმყოფელი გამონათქვამ-სიმღერებისთვის მთელ სექტორს ვერ დასჯიან. გადაცმულებს ინიციატორების გამოვლენა შეუძლიათ, თუმცა ფაქტობრივი მასალის გარეშე ძნელია, დაუმტკიცო, რომ მაინცდამაინც მან დაიწყო სიმღერა, მან წამოიძახა ის ფრაზა... საქმე საგნების სროლას თუ ეხება, მაშინ ყველაფერი ბევრად მარტივია.

## უსაფრთხოება - კლუბების საზრუნავი

ეს ღონისძიებები განკუთვნილია კონკრეტულ თამაშზე, ევროპაში კი უფრო გლობალურად დაიწყეს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ქუარტაერტის თქმით, ამაში დიდი როლი სტიუარტებს ეკუთვნით, იმის მიუხედავად, რომ მათ გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლიათ და, სტუმრის თქმით, დაახლოებით ისეთივე როლს ასრულებენ, რასაც - სტიუარდები თვითმფრინავში. გარდა იმისა, რომ მათ ევალებათ, ვთქვათ, ისეთი წვრილმანიც, როგორიცაა მაყურებელთა დაკვალიანება მათთვის განკუთვნილ ადგილებზე მისვლაში, მაგრამ თვალს ადევნებენ ტრიბუნებსაც, საჭიროების შემთხვევაში წესრიგის დამრღვევს მიუთითებენ კიდეც, ხოლო თუ ამან არ გაჭრა, პოლიციასაც გამოუძახებენ. ოღონდ მეთოდებს ხულიგნებიც ხვეწენ - თურმე რამდენჯერმე სტიუარტების სამოსი შეიძინეს და ისე შეაღწიეს სტადიონზე.

სტიუარტების როლი განსაკუთრებით გასვლით თამაშებზე იზრდება - როგორც ქუარტაერტიმ აღნიშნა, გარდა იმისა, რომ მასპინძელ მხარეს „ულტრასების" სიას აწვდიან, მათ შეუძლიათ, მშობლიურ ენაზე დაელაპარაკონ თავიანთ ხულიგნებს და დაამშვიდონ, როცა ადგილობრივი პოლიციის ჩარევამ, შეიძლება, კიდევ უფრო გააღიზიანოს ისინი. ევროპაში კლუბები უკვე ფულს ხარჯავენ სტიუარტების და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების გადამზადებაზე - თურმე ბელგიაში პირველ-მეორე დივიზიონის კლუბებს საფეხბურთო კანონით ევალებათ, შტატში ჰყავდეთ უშიშროების სამსახურის ერთი წარმომადგენელი მაინც, რომელიც სტიუარტების უფროსიცაა. სწორედ მასთან ინახება ხულიგანთა სიები. ბელგიაში ასევე კანონით ყოფილა აუცილებელი იმავე პირველ-მეორე დივიზიონებში კამერების გამოყენება. როგორც სტუმარმა გვითხრა, ბელგიაში საფეხბურთო ხულიგნები ფეხბურთის შესახებ არსებული კანონით ისჯებიან, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ის უძლურია და ამ ფუნქციას ქვეყნის ძირითადი კანონი ასრულებს. თურმე ნუ იტყვით და, იქ ასევე კანონითაა სავალდებულო „უსახლკაროთა თასის" გათამაშება ამავე კატეგორიის მოსახლეობისთვის, ინგლისში კი თემებს (ანუ ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებს) შორის საფეხბურთო თასიც ტარდება.

სემინარზე ადგილობრივი პრობლემატიკაც განიხილეს და არა მხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით - **ირაკლი დოლაბერიძემ** ისაუბრა ბოლო წლებში არაპროფესიონალიზმით თუ დაუდევრობით გამოწვეულ პრობლემებზე და ქართული სპორტის განვითარების პოლიტიკაზეც, რამაც ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია. თუმცა მისი, როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის გამოსვლაში ყველაზე საინტერესო იმის აღიარება იყო, რომ არ მიაჩნია გამართლებულად, სამინისტროებს პროფესიული კლუბები ჰყავდეთ. მან არ დამალა იმ საკანონმდებლო ცვლილების საჭიროება, რომელიც სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებსა და სამხედროებს სწავლაში, სპორტში ვარჯიშში თუ ჯარში სამსახურში ხელს არ შეუშლის და აუცილებლად მიიჩნია, რომ ფიზიკური აღზრდა საბავშვო ბაღიდან დაიწყოს.

**ირაკლი თავაძე**

**ყურადღება!**

„ლელოსა" და რაგბის კლუბ „ჯიხას" (ნოქალაქევი) მოთამაშე, 14 წლის **გიორგი გაბედავა**, დაავადებულია ლეიკემიით და საჭიროებს სასწრაფო ოპერაციას. კლუბი სთხოვს ყველა გულშემატკივარს, გაიღონ ფულადი დახმარება საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ანგარიშის ნომერი: სახალხო ბანკი - GE56LB0711154935059000 GABEDAVA GIORGI

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

**კახი კალაძისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ამოცანების ამოხსნა**

(ამოცანები იხ. მე-13 გვერდზე)

**K - ლg5!**

/...კc8? 2. ლb5x! ...ეc5? 2. კb6x! ...ეd6 2. მc4x!

...ეa3? 2. ...ეa3x! ...ეd6? 2. მc4x; ...ეb4? 2. მc4++(x)!/

**A - ეa6!**

/...კb8? 2. მb6x! ...მc3? კb3x! ...ეa6? 2. ეa6x! ...c4? ეc4x!

ვერ ხსნის ეb6? ...კb8-ის გამო!/

**L - ეd5!**

/...მფa5? 2. მc6x!/

**A - ლb7**

/c6? 2. ლb6x! ...მa7 2. კb4x! ...მc4? ლb5x!

...ეb6? ლd5x! ...ეc6 2. ლc6x/



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჩბოსნობა

# ოლიმპიური ჩემპიონის მემორიალი

ფოთში ტრადიციად იქცა ნიჩბოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონის **ვიქტორ კრატასიუკის** თასის გათამაშება ბაიდარასა და კანოეთი. მსგავს შეჯიბრებაში ამჯერადაც მრავლად მოიყარეს თავი თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთისა და ფოთის წარმომადგენლებმა.

გოგონებში ერთადგილიანი ბაიდარათი 500-მეტრიანი დისტანცია ფოთელმა **ქრისტინე მგელაძემ** მოიგო. მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი **მარინე დავითაია** გავიდა. მესამე იყო ქუთაისელი **ელზა სირბილაძე**. ორადგილიანი ბაიდარათი ამავე დისტანციაზე ორი წყვილი გამოდიოდა: ფოთელები - მარინე დავითაია და ქრისტინე მგელაძე - ისინი პირველი იყვნენ ფინიშთან. მეორე ადგილი ელზა სირბილაძესა და თეონა აფხაიძეს (ქუთაისი) ერგოთ.

ვაჟთა სხვადასხვა დისციპლინაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**ბაიდარა. უფროსები. 500 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. გიორგი გოგელაშვილი, 3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე (ორივე - ქუთაისი). **200 მ.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. ლაშა კვაჭაძე (ფოთი), 3. გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი). **ორადგილიანი. 200 და 500 მ.** 1. ზაურ დევიძე, ნიკო მაღლაფერიძე (ქუთაისი), 2. ლაშა კვაჭაძე, რომან ბრეგვაძე (ფოთი), 3. გელა ფიცხელაური, ანზორ ლელაშვილი (თბილისი). **უმცროსი ასაკი. ერთადგილიანი. 200 მ.** 1. დიმა ბაგაჩკოვი (ფოთი), 2. ლუკა თხილაიშვილი (თბილისი), 3. ვალერი რთველიაშვილი (მცხეთა). **500 მ.** 1 დავით ტოგონიძე (ფოთი), 2. ვალერი რთველიაშვილი (მცხეთა), 3. ლუკა თხილაიშვილი (თბილისი). **ორადგილიანი. 200 მ.** 1. დავით ტოგონიძე, დიმა ბაგაჩკოვი (ფოთი), 2. გიორგი ობგაიძე, სულიკო ირემაშვილი (მცხეთა), 3. ლევან ტატუნაშვილი, ლუკა თხილაიშვილი (თბილისი). **500 მ.** 1. ვალერი რთველიაშვილი, სულიკო ირემაშვილი, 2. დავით ტოგონიძე, დიმა ბაგაჩკოვი, 3. გიორგი ობგაიძე, ლაშა მჭედლიშვილი (მცხეთა).

**კანოე. უფროსები. ერთადგილიანი. 200 მ.** 1. მურმან მალანია, 2. ოთარ კაკულია (ორივე - ფოთი), 3. გურამ მგელაძე (ქუთაისი). **500 მ.** 1. ლერი კონჯარია (ფოთი), 2. რევაზ რიჟამაძე (რუსთავი), 3. გურამ მელაძე (ქუთაისი). **ორადგილიანი. 200 მ.** 1. ლერი კონჯარია, ოთარ კაკულია, 2. ლევან მალანია, გარუშა ხიზანიშვილი (ოთხივე - ფოთი).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



ბადრი ყაველაშვილი

ჭადრაკი

# სამაია - სათავეში

ყველაზე ხანგრძლივი **ნინო ბაციაშვილისა** და **მერი არაბიძის** პარტია იყო მოჭადრაკე ქალთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურში, რომელიც გუშინ გათამაშდა. მეტოქეებმა 86 სვლა გააკეთეს. მართალია, თეთრებს ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰქონდათ, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ - ყაიმი. ასევე დაზავდნენ **სალომე მელია - სოფიკო გურამიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი - მაკა ფურცელაძე**, გამოცდილმა დიდოსტატმა, საქართველოს ნაკრების წევრმა **ნინო ხურციძემ** შავი ფიგურებით ახალგაზრდა ეროვნულ ოსტატ **ანა კუჭავას** 38-ე სვლაზე აჯობა. დიდხანს გაგრძელდა საქართველოს ხუთგზის ჩემპიონ **მაია ლომინეიშვილისა** და ამ ტიტულის ორგზის მფლობელი **ინგა ხურცილავას** პარტია. 76-ე სვლაზე ლომინეიშვილმა მეტოქეს საათი გააჩერებინა. წარმატებას მიაღწია **სოფიკო გვეტაძემაც** - 66-ე სვლაზე მან ახალგაზრდა ოსტატი **ლიკა კობეშავიძე** დაამარცხა.

ამდენად, ოთხი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ხურციძე, მელია და ფურცელაძე მეწინავეობენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ლომინეიშვილი და გურამიშვილი ჩამორჩებიან. შემდეგ მოდიან: ხუხაშვილი, ბაციაშვილი, ხურცილავა - 2-2, გვეტაძე - 1,5, არაბიძე, კუჭავა - 1-1, კობეშავიძე - 0,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: ფურცელაძე - ბაციაშვილი, კობეშავიძე - ხუხაშვილი, ხურცილავა - გვეტაძე, ხურციძე - ლომინეიშვილი, გურამიშვილი - კუჭავა, არაბიძე - მელია.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



ეძღვნება კახი კალაძის ფეხბურთიდან გაცილებას

ამ, ორსვლიან საჭადრაკო ამოცანებს ვუძღვნი ყველაზე წარმატებულ ქართველ ლეგიონერს, ბატონ **კახი კალაძეს**, რომელსაც მილანელმა თანაგუნდელებმა და ტიფოზებმა თიკუნი „კალა" შეარქვეს. ამოცანებიც ასეა წარმოდგენილი ინიციალებით - KALA

**ბონდო ჩიკვაიძე,**
ქართული სპორტის ისტორიის მკვლევარი, ჭადრაკის პედაგოგი

ამოხსნა იხილეთ მე-12 გვერდზე









ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი



# სოჭის ორიგინალური მედლები

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გაიმართა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მედლების პრეზენტაცია. ცერემონია მიჰყავდათ „სოჭი-2014“-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ **დმიტრი ჩერნიშენკოსა** და ოლიმპიურ ჩემპიონ **სვეტლანა ჟუროვას**.

ოლიმპიური მედლების წონა 460-დან 531 გრამამდე მერყეობს და ის მედლის სინჯზეა დამოკიდებული. *„მეტალისა და პოლიკარბონის უჩვეულო შერწყმა მედალს მეტ ჰაეროვნებასა და თვითმყობად სილამაზეს ანიჭებს“*, - განაცხადა ჩერნიშენკომ.

მედლის ერთ მხარეს გამოსახულია ოლიმპიური რგოლები, მეორე მხარეს - სპორტის სახეობის დასახელება (ინგლისურ ენაზე) და სოჭის ოლიმპიადის ემბლემა. პარალიმპიელთა მედლების დიზაინი თითქმის არ განსხვავდება ოლიმპიელებისთვის განკუთვნილი მედლებისგან.

სულ სოჭის ოლიმპიადაზე სპორტის 15 სახეობაში გათამაშდება მედლების 98 კომპლექტი. თამაშებისთვის ჯამში დამზადდება 1300 მედალი. მედლების მოსაპირკეთებლად დაიხარჯება 3 კილოგრამი სუფთა ოქრო.

სოჭში ზამთრის ოლიმპიადა 2014 წლის 7-23 თებერვალს გაიმართება. პარალიმპიური თამაშების ჩატარების თარიღი კი 9-16 მარტია.

კრივი

# მეივეზერმა მეტოქე დაასახელა

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა ამერიკელმა მოკრივემ, WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა **ფლოიდ მეივეზერმა** „ტვიტერის“ მეშვეობით დაასახელა თავისი მორიგი მეტოქის ვინაობა.

14 სექტემბერს, ლას ვეგასში ამერიკელი შეხვდება მექსიკელ **საულ ალვარესს**. ეს უკანასკნელიც WBC-ის ჩემპიონია 69.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. რაც შეეხება მეივეზერს, ის WBA-ის სუპერჩემპიონის ტიტულს ატარებს ამ წონაში, ხოლო WBC-ის ქამარი მას 66.7-კილოგრამში ეკუთვნის.

ბოლო ბრძოლა მეივეზერმა სულ ცოტა ხნის წინ, 5 მაისს თანამემამულე **რობერტ გერეროს** წინააღმდეგ ჩაატარა. შეხვედრა 12 რაუნდი გაგრძელდა და სამივე მსაჯმა ერთნაირი ანგარიშით - 117:111 უპირატესობა მეივეზერს მიანიჭა.

36 წლის მეივეზერმა პროფესიულ რინგზე 44 შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო, მათ შორის 26 - ნოკაუტით.

22 წლის ალვარესიც დაუმარცხებელია. მან 43 ბრძოლა ჩაატარა და 42 მოიგო (30 - ნოკაუტით). კიდევ ერთ ბრძოლაში ფრე დაფიქსირდა.

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთი საინტერესო ორთაბრძოლის თარიღის შესახებ გამოცხადდა. ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, 29 წლის ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი** და ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 39 წლის მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** ერთმანეთს 12 ოქტომბერს შეხვდებიან.

თავდაპირველად, ბრძოლის ჩატარება 14 სექტემბერს იგეგმებოდა, მაგრამ ამ დღეს მეივეზერისა და ალვარესის ბრძოლა დაინიშნა, ამიტომაც, შეხვედრის ორგანიზატორმა - პრომოუტერულმა კომპანია Top Rank-მა თარიღი ოთხი კვირით გადასწია.

■ ■ ■

და კიდევ, 20 ივლისს, ლონდონში გაიმართება საკრივო საღამო, რომლის მთავარი ბრძოლა იქნება სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილ კანდიდატს **დერეკ ჩისორასა** და 32 წლის ამერიკელ **მალიკ სკოტს** შორის. ამ უკანასკნელს პროფესიულ რინგზე წაგება არ აქვს.



ფლოიდ მეივეზერი ბრძოლაში

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ჩემპიონი მაინც გავიდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში დასრულდა კონფერენციების ნახევარფინალური სერიები და მივიღეთ უნიკალური შემთხვევა – სტენლის თასის გათამაშებას შემორჩა ოთხი გუნდი, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა თასის მფლობელი.

"დეტროიტმა" თითქმის მოგებული სერია დაუთმო "ჩიკაგოს", რომელმაც 1:3-დან მოახერხა ზედიზედ სამი მატჩის მოგება და კონფერენციის ფინალში გასვლა. ბოლო მატჩებში "დეტროიტი" უფრო დაღლილი ჩანდა და ეს გამოჩნდა მეშვიდე შეხვედრაშიც, რომლის დიდი ნაწილი "ბლეკჰოქსი" ხელის განძრევის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა ძირითად დროში მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანეს.

ეს ერთი გოლი "დეტროიტის" შეცდომის ბრალია, რომელმაც სამი ერთზე გასვლის საშუალება მისცეს მეტოქეს და **მიხალ ჰანზუშმა, მარიან ჰოსამ** და **პატრიკ შარპმა** შესანიშნავად გაითამაშეს კომბინაცია. შარპმა ამ პლეი ოფში მეშვიდე გოლი გაიტანა.

1:0-ზე "ჩიკაგოს" შეეძლო მოემთავრებინა საქმე და კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაეყენებინა ფინალში გასვლა, მაგრამ **პატრიკ კეინმა** ორი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. თავის მხრივ, "დეტროიტს" დაახლოებით 30 წუთი მომენტი არ შეუქმნია. სტუმრები მხოლოდ მეორე პერიოდის ბოლოსკენ გამოცოცხლდნენ და ამან შედეგი მესამე 20-წუთეულის 30-ე წამზე გამოიღო. როგორც წესი, ამ პლეი ოფში „დეტროიტი“ ცუდად ატარებს მესამე პერიოდს - შაიბების შეფარდება კატასტროფული აქვს: 10-20 („ჩიკაგოს“ - 14-7). მაგრამ, ამჯერად, მასპინძლებს გამოეპარათ მეტოქის კონტრშეტევა, **გუსტავ ნიკვისტმა ჰენრიკ ზეტერბერგს** მიაწოდა შაიბა და მან პრაქტიკულად ცარიელ კუთხეში გაიტანა - 1:1.



შარპი გოლს ზეიმობს

მართალია, საფინალო სირენამდე 20 წუთი რჩებოდა, მაგრამ ამის შემდეგ, გუნდებს თითქმის არ ჰქონიათ კომბინაციური თამაში და ანგარიში მხოლოდ რომელიმე მოთამაშის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თუ შეიცვლებოდა, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. ერთხელ მსაჯმა „ჩიკაგო“ დაჩაგრა, რადგან **ჯონათან ერიქსონის** უხეშობა შარპის წინააღმდეგ ბულიტით უნდა დასჯილიყო. ორი წუთით ადრე კი **ბრენტ სიბრუკმა** გაიტანა, მაგრამ ეს სასტვენის შემდეგ გააკეთა.

საჭირო გახდა ოვერტაიმის თამაში - პირველად ამ სერიაში და... უკანასკნელად. დამატებითი დრო 3 წუთი და 35 წამი გაგრძელდა. გასაოცარია, მაგრამ გადამწყვეტი შაიბა სიბრუკმა გაიტანა, რომელმაც ეს სერია ჩააგდო. გოლის დროს მას ხელს **ნიკლას კრონვალი** უშლიდა, რომელიც, პირიქით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**ჩიკაგო–დეტროიტი 2:1 (ო)**

**0:0, 1:0, 0:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 შარპი-7 (მარიან ჰოსა-6, ჰანძუში-5), 1:1 ზეტერბერგი-4 (ნიკვისტი-3, ქლირი-6), 2:1 სიბრუკი-1 (ბოლანდი-1).

**სერია:** 4-3

**1/2 ფინალის კალენდარი**

**აღმოსავლეთი**

| პიტსბურგი–ბოსტონი | |
|---|---|
| 1 ივნისი | პიტსბურგი-ბოსტონი |
| 3 ივნისი | პიტსბურგი-ბოსტონი |
| 5 ივნისი | ბოსტონი-პიტსბურგი |
| 7 ივნისი | ბოსტონი-პიტსბურგი |
| 9 ივნისი | პიტსბურგი-ბოსტონი* |
| 11 ივნისი | ბოსტონი-პიტსბურგი* |
| 12 ივნისი | პიტსბურგი-ბოსტონი* |

**დასავლეთი**

| ჩიკაგო–ლოს ანჯელესი | |
|---|---|
| 1 ივნისი | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი |
| 2 ივნისი | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი |
| 4 ივნისი | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო |
| 6 ივნისი | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო |
| 8 ივნისი | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი* |
| 10 ივნისი | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო* |
| 12 ივნისი | ჩიკაგო-ლოს ანჯელესი* |

**შენიშვნა:** * - საჭიროების შემთხვევაში

# რეინჯერსმა მწვრთნელი გაუშვა

„ნიუიორკ რეინჯერსის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ჯონ ტორტორელა**, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.





ჯონ ტორტორელა

54 წლის ტორტოლერამ „რეინჯერსი“ 2009 წლის 23 თებერვალს ჩაიბარა, როცა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე შეცვალა **ტომ რენი**. ხუთი სეზონის განმავლობაში, ტორტოლერას საუკეთესო შედეგი იყო სტენლის თასის ნახევარფინალში გასვლა 2011-12 წლების სეზონში. წელს, „რეინჯერსმა“ პლეი ოფში მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც ხუთ მატჩში დათმო სერია „ბოსტონთან“.

დავამატებთ, რომ ტორტოლერა პირველ ადგილზეა NHL-ში ამერიკელ მწვრთნელებს შორის კარიერაში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით (410).

# კანადაში ევროპელებს აკრძალავენ

კანადის ჰოკეის ფედერაცია სერიოზულად არის შეშფოთებული ქვეყნის სამეკარეო სკოლაში არსებული კრიზისის გამო, - იტყობინება TheStar.com. ამ კვირას გაიმართა ფედერაციის წარმომადგენელთა შეხვედრა კანადის ჰოკეის ლიგის (CHL) კომისართან. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც სამ უმსხვილეს კანადურ ლიგას (ონტარიოს ლიგა, კვებეკის ლიგა და დასავლეთის ჰოკეის ლიგა) აერთიანებს და რომელშიც 16-დან 20 წლამდე ჰოკეისტები თამაშობენ. დღის წესრიგის ერთ-ერთი პუნქტი იყო 60-ივე კლუბში ევროპელი მეკარეების გამოსვლის აკრძალვა. რთული მისახვედრი არ არის, რომ ჩრდილოეთ ამერიკისთვის ეს არატიპური ნაბიჯი მხოლოდ იმის გამო უნდა გადადგან, რომ უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა მიიღონ ადგილობრივმა მეკარეებმა.

*„ჩვენს ქვეყანაში მეკარეების მხრივ არაფერი მომხდარა, და მათი მომზადების პროცესიც ძველებურად ეფექტურია. უბრალოდ, ისინი თავიანთ შანსს არ იღებენ,* - ამბობს NHL-ის ყოფილი მეკარე **რონ ტანატი**, რომელიც ამჟამად კანადის ჰოკეის ფედერაციაში კონსულტანტის პოსტს იკავებს. - *მაგიჟებს, როცა ვხედავ, თუ როგორ აგებს ჩვენი ნაკრები მსოფლიოს სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში მეტოქის მეკარეების გამო, რომლებიც ოსტატობას ჩვენს ლიგებში იმაღლებენ“*.

ტანატმა დაამატა, რომ ადგილობრივი მეკარეების ეს სავალალო ტენდენცია იქიდან მოდის, რომ კლუბებს შედეგის მისაღწევად ხშირად აჰყავთ ევროპიდან ასაკოვანი მეკარეები. აღვნიშნავთ, რომ ამ მომენტისთვის, CHL-ში უკვე არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც ერთ გუნდში არ შეიძლება თამაშობდეს ორ ჰოკეისტზე მეტი ევროპიდან. თუმცა თუ ევროპელი მეკარეების უფლებების შემზღუდავ წესს შემოიღებენ, ეს 2014 წლამდე ადრე არ მოხდება და ნებისმიერ შემთხვევაში, ეტაპობრივად დაინერგება.

აქვე მოგიყვანთ რამდენიმე ფაქტს, რის გამოც გამოხატავენ კანადელი სპეციალისტები შეშფოთებას მეკარეების საკითხთან დაკავშირებით:

- იმ რვა გუნდში, რომლებიც სტენლის თასის მეორე რაუნდში გავიდნენ, მხოლოდ ერთია კანადელი - **კორი კროუფორდი** „ჩიკაგოდან“.

- NHL-ში სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზზე სამივე პრეტენდენტი ევროპელია: **ჰენრიკ ლუნდკვისტი** (შვედეთი, „რეინჯერსი“), **ანტი ნიემი** (ფინეთი, „სან ხოსე“) და **სერგეი ბობროვსკი** (რუსეთი, „კოლამბუსი“).

- ამ სეზონში CHL-ის საუკეთესო მეკარე ჩეხეთს წარმოადგენს.

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, NHL-ის დრაფტზე მეკარეებს შორის პირველი კანადელი მეკარე არ აურჩევიათ.

- არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს კანადის ნაკრების ძირითადი მეკარე სოჭის ოლიმპიადაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კორი კროუფორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# სუპერმატჩი მივიღეთ

გუშინ, საფრანგეთის ღია პირველობაზე მეორე წრე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ საქმეში კვლავ ჩაერია წვიმა და ორგანიზატორებს მატჩების დიდი ნაწილის მეორე დღისთვის გადატანა მოუხდათ. მაგრამ, გუშინ დასრულდა ორი შეხვედრა, რის შემდეგაც მესამე რაუნდის ცენტრალური წყვილი მივიღეთ - **ნოვაკ ჯოკოვიჩი გრიგორ დიმიტროვის** წინააღმდეგ. მათ სამი კვირის წინ ითამაშეს მადრიდის მასტერსზე და 22 წლის ბულგარელმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. მანამდე კი დიმიტროვმა მონტე კარლოს მასტერსზე სამსეტიან ურთულეს მატჩში კინაღამ **რაფაელ ნადალი** გამოთიშა ბრძოლას.

26 წლის ჯოკოვიჩის გუშინდელი მეტოქე არგენტინელი **გვიდო პეია** იყო. განსხვავებით პირველი წრის მატჩისგან, როცა სერბმა დაახლოებით ორი საათი დახარჯა **დავიდ გოფენის** დასამარცხებლად, ამჯერად, ნოვაკმა 86 წუთში გაანადგურა არგენტინელი - 6:2, 6:0, 6:2. ჯოკოვიჩს 29 „ვინერსი" და 7 ბრეიკი ჰქონდა.

რაც შეეხება დიმიტროვს, მან ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო სამ სეტში და კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის" მესამე რაუნდში. ბულგარელი ფრანგ **ლუკას პუიეს** ხვდებოდა და მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა, როცა ტაი-ბრეიკის თამაშმა მოუწია, სამაგიეროდ, პირველ და მესამე სეტებში ერთნაირი ანგარიშით მოიგო - 6:1. ამ ყველაფრისთვის ბულგარელს საათი და 48 წუთი დასჭირდა.

სხვათა შორის, თუ ჯოკოვიჩი მესამე წრეში შეძლებს დიმიტროვის დამარცხებას, ეს იქნება მის კარიერაში მე-500 გამარჯვება.


ბეტანი მატეკი

■ ■ ■

გუშინდელ მიმოხილვაში აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ქალთა ბადეში წარმატებით გამოდიან ამერიკელი ჩოგბურთელები - მეორე წრეში ამ ქვეყნის 10 წარმომადგენელი იყო გასული. ამჯერად, ერთ-ერთი ამერიკელი ჩოგბურთელის სახელს უკავშირდება ხმაურიანი სენსაცია, კერძოდ, **ბეტანი მატეკმა** ტურნირს გამოთიშა 2011 წლის ჩემპიონი, ჩინელი **ნა ლი.**

ამერიკელს წლევანდელი სეზონი არ გამოსდის - მან კვალიფიკაცია ვერ გაიარა „დიდი სლემის" პირველ ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე და წელს ჩატარებული 18 მატჩიდან 8 წააგო, რის გამოც, WTA-ის რეიტინგში 67-ე ადგილამდე ჩამოიქვეითდა.

მატეკისთვის გუშინდელი მატჩი არც ისე კარგად დაიწყო. მან პირველი სეტი 5:7 წააგო, მეორეში კი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, როცა ნა ლის თამაში მთლიანად მოიშალა და 4:3-ის შემდეგ, ზედიზედ შვიდი გეიმი წააგო, რითაც მატეკმა მეორე სეტი 6:3 მოიგო და მესამეში 5:0 დაწინაურდა. ჩინელმა ოდნავ გაიბრძოლა, ორი გეიმი აიღო, მაგრამ მატეკმა მატჩზე ჩაანოდა და ქალთა ბადეში ჯერჯერობით ყველაზე ხმამაღალი სენსაციის ავტორი გახდა.

ოდნავ ანერვიულა თავისი გულშემატკივარი **ვიქტორია აზარენკამ,** რომელიც 19 წლის გერმანელ **ანიკა ბეკს** ხვდებოდა. ბელარუსმა 5:0 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ მეტოქეს ზედიზედ ოთხი გეიმის აღების საშუალება მისცა. გერმანელს ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვიქტორიამ მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა სეტი, მეორე პარტიაში კი აზარენკამ ორჯერ აილო მეტოქის მოწოდება - 6:4, 6:3.

აგრძელებს კარგი ფორმის დემონსტრირებას სერბი **ელენა იანკოვიჩი,** რომელიც თავიდან 0:3 ჩამორჩა ესპანელ **გარბინ მუგურუსასთან,** მაგრამ ზედიზედ 12 გეიმი აიღო და მესამე წრეში გავიდა, სადაც ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** შეხვდება.

**II წრე**

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-გვიდო პეია (არგ) 6:2, 6:0, 6:2; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 26)**-ლუკას პუიე (საფ) 6:1, 7:6(4), 6:1; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:4, 6:6 უარი; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 16)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) უარი; **ფაბიო ფონინი (იტა, 27)**-ლუკაშ როსოლი (ჩეხ) 6:2, 7:6(3), 2:6, 6:1; **ბენუა პერი (საფ, 24)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:6(2), 6:2, 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ, 13)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 6:1, 5:7, 6:1, 6:4.

**ქალები**

**ბეტანი მატეკი (აშშ)**-ნა ლი (ჩინ, 6) 5:7, 6:3, 6:2; **პაულა ორმაეჩეა (არგ)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 27) 6:4, 7:6(6); **ალიზ კორნე (საფ, 31)**-სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ) 6:1, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:4, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 7)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:4, 6:3; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-ანა კაროლინა შმიედლოვა (სლოვაკ) 7:5, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 18)**-გარბინ მუგურუსა (ესპ) 6:3, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 6:4, 6:3; **მარინა ერაკოვიჩი (ა. ზელ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16) 6:2, 2:6, 6:4; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 17)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:3, 6:1.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ჩრ. ირლანდია | 3:0 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| იაპონია-ბულგარეთი | 0:2 |

**ტულონის ტურნირი**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-აშშ | 2:1 |
| საფრანგეთი-კონგო | 1:0 |

**ნორვეგიის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ფლეკეროი-სტარტი | 1:2 |
| კონგსვინგერი-ჰამ კამი | 0:1 |
| სტაბეკი-ფრედრიკსტადი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-კალმარი | 1:0 |
| ნორჩოპინგი-აიკ | 0:1 |

**ავსტრიის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ავსტრია-პაშინგი | 0:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-არაუ | 2:2 |
| კიასო-ვადუცი | 2:1 |
| ვილი-ლოკარნო | 2:2 |
| ვინტერტური-ბილი | 2:2 |
| ვოლენი-ლუგანო | 1:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-იაგელონია | 1:1 |
| გურნიკი-ვისლა | 0:1 |
| კორონა-ვიძევი | 0:0 |
| პოდბესკიცე-პოგონი | 2:1 |
| პოლონია-პიასტი | 1:1 |
| რუხი-ლეგია | 0:0 |
| შლიონსკი-ლეხი | 1:1 |
| ზაგლებე-ლეჩია | 0:3 |

**რუსეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კრილია-ნალჩიკი | 2:0 |
| როსტოვი-სკა ენერგია | 2:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| იაში-ვასლუი | 1:2 |
| კონსტანტა-ტურნუ | 3:4 |
| გლორია-კონკორდია | 0:0 გადაიდო |
| რაპიდი-ჩახლაული | 2:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| სლავია-ბელშინა | 0:1 |
| ნაფტანი-ბრესტი | 1:2 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| დაინავა-ატლანტასი | 1:2 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| ტალინა-ტრანს ნარვა | 1:2 |
| ტამეკა-კურესაარე | 3:1 |

**ისლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ალფტანესი-ვიკინგური | 1:2 |
| რეიკიავიკი-გრინდავიკი | 3:1 |
| ჰკ-ბრეიდაბლიკი | 0:4 |
| ტორი-სტიარნანი | 2:2 პენ. 3:4 |
| ჰაფნარი-კეფლავიკი | 3:2 |
| ვალური-ფრამი | 1:2 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბაიერნი | 98:79 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-ვარეზე | 72:59 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი-სარაგოსა | 84:76 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| პინარი-გალათასარაი | 77:79 |

TV პროგრამა

**31 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის თასი. ფინალი. რეალი-ატლეტიკო.
12:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
14:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. რეალი-დორტმუნდი. საპასუხო მატჩი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ბაიერნი. საპასუხო მატჩი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ასტონ ვილა.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი. საპასუხო მატჩი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლექინსი-ბიარიცი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 1999-2000 წლები.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. რეალი-ოლიმპიაკოსი.
22:30 NBA ACTION.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
14:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ატლანტა.
16:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
18:55 სპორტ-NEWS.
19:25 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მაიამი.
21:25 NBA ACTION.
22:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 31 | (მზე) |
| გორი | 13 | 28 | (მზე) |
| თელავი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 21 | (მზე) |
| ბორჯომი | 8 | 24 | (მზე) |
| მესტია | 10 | 27 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1297 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6411 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4850 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1951 |

ამბები

**კალათბურთი**

## კლივლენდი ლავს უმიზნებს

„მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდმა **კევინ ლავმა,** შესაძლოა, კარიერა „კლივლენდში" გააგრძელოს. ამერიკელი ჟურნალისტების ინფორმაციით, „კავალიერზი" მზად არის 2013 წლის დრაფტზე პირველი ნომრის არჩევის უფლება გაუცვალოს „მინესოტას" ლავის სანაცვლოდ. შეგახსენებთ, რომ „კლივლენდმა" დრაფტის ლატარია 21 მაისს მოიგო.

უკანასკნელად, NBA-ის კლუბმა დრაფტის პირველი ნომრის არჩევანი 20 წლის წინ გაყიდა. მაშინ „ორლანდო მეჯიქმა" „გოლდენ სტეიტს" დაუთმო პირველ ნომრად არჩეული **კრის უებერი.**

## ტეოდოშიჩი ევრობასკეტზე იქნება

როგორც უკვე ვწერდით, მოსკოვის ცსკა-ს სერბმა გამთამაშებელმა **მილოშ ტეოდოშიჩმა** VTB-ის ლიგის ნახევარფინალში ფეხის ტრავმა მიიღო. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კალათბურთელს მკურნალობისთვის ოპერაცია ესაჭიროებოდა და ამის გამო, ორიდან ოთხ თვემდე ვერ შეძლებდა მოედანზე გასვლას.

მაგრამ, ახლა ირკვევა, რომ ტეოდოშიჩი ოპერაციას გადაურჩა და მართალია, ორი თვის გამოტოვება მაინც მოუწევს, მას აქვს 2013 წლის ევრობასკეტზე თამაშის შანსი.

სერბეთის კალათბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ მომავალ კვირას, ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დუშან ივკოვიჩი** გუნდის წინასწარ შემადგენლობას დაასახელებს. სიაში ტეოდოშიჩიც იქნება შეყვანილი. ამასთან, სერბები დააკვირდებიან ცსკა-ს ერთ-ერთი ლიდერის რეაბილიტაციის პროცესს.

**ფორმულა 1**

## ნიუი ლამბორგინით ირბოლებს

ავსტრიული საჯინიბოს „რედ ბულის" ტექნიკური დირექტორი **ედრიან ნიუი** კვლავ მიიღებს მონაწილეობას რბოლაში - Lamborghini Blancpain Super Trofeo-ში, რომელიც ბრიტანეთის სილვერსტოუნში 1-2 ივნისს გაიმართება. სახელგანთქმული ინჟინერი Lamborghini Gallardo-ს საჭეს მიუჯდება, ხოლო მისი პარტნიორი იქნება „ავტოსპრინტის" იტალიური გამოცემის რედაქტორი **ალბერტო საბატინი.**

ედრიან ნიუისთვის ეს არ არის მოყვარულ სპორტსმენთა რბოლაში მონაწილეობის პირველი გამოცდილება, თუმცა მისთვის ყოველთვის წარმატებით არ სრულდებოდა ტრასაზე გასვლა. მაგალითად, 2006 წელს, ლე მანში ისტორიული მანქანებით რბოლაში Ford GT40 დაამტვრია და ტრავმები მიიღო.

შარშანდელ Lamborghini Blancpain Super Trofeo-ში ნიუიმ მე-11 და მე-15 ადგილი დაიკავა.

## ბაჰრეინს პირველობა უნდა

ბაჰრეინის გრან პრის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მომავალი სეზონის კალენდარში პირველი ეტაპის ადგილს მიიღებენ. საჰირის რბოლა ხსნიდა 2006 და 2010 წლის ჩემპიონატს, აგრეთვე პირველი ადგილი ეკავა 2011 წლის კალენდარში, მაგრამ მაშინ, რბოლა ქვეყანაში პოლიტიკური არეულობების გამო გააუქმეს.

ამჯერად, ბაჰრეინს იმედი აქვს, რომ წინასასეზონო ტესტების ჩატარების ადგილი საჰირის ავტოდრომი იქნება, რადგან გასულ ზამთარს, გუნდების ესპანეთში მზადება ცივი ამინდის გამო პრობლემებით მიმდინარეობდა.

ბაჰრეინში სავარაუდო ტესტების შემდეგ, სავსებით ლოგიკური იქნება იქ ჩემპიონატის პირველი ეტაპის ჩატარება.

2014 წლის ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი ივლისში უნდა გამოქვეყნდეს.

ფორმულა 1

# ალონსომ გოლი გაიტანა

იტალიის ჩემპიონის, ტურინის „იუვენტუსის" სტადიონზე გაიმართა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი. ორგანიზატორებმა 1.5 მილიონი ევროს შეგროვება მოახერხეს ინსტიტუტ Candiolo Institute-თვის, რომელიც კიბოს დაავადებების სფეროში კვლევებით არის დაკავებული.

41 ათასი მაყურებლის თვალწინ, მოედანზე გავიდნენ გუნდები - Nazionale Italiana Cantanti და Team Campioni, რომელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ შოუბიზნესის ვარსკვლავები, სპორტსმენები, ჟურნალისტები... მათ შორის იყვნენ პილოტები - **ფერნანდო ალონსო და ჯანკარლო ფიზიკელა.**



ალონსო ტურინის მოედანზე

შეხვედრა 9:9 დასრულდა. ერთ-ერთი გოლი პენალტით ალონსომ გაიტანა, რომელმაც ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტო-NEWS

## ფერგის პირველი ოქმი

ინგლისში აუქციონზე გამოიტანეს 1986 წლის 8 ნოემბერს ინგლისის ჩემპიონატში ჩატარებული მატჩის ოქმი. „ოქსფორდ იუნაიტედი“ ხვდებოდა „მანჩესტერ იუნაიტედს“. ეს იყო „მანჩესტერში“ სერ **ალექს ფერგიუსონის** დებიუტი, ეს წინასამატჩო ოქმიც ლეგენდარული შოტლანდიელის შევსებულია.

ფერგიუსონმა ასეთი შემადგენლობით დაიწყო „იუნაიტედში“ კარიერა: კრის ტერნერი, მაიკ დაქსბერი, არტურ ელბისტონი, კევინ მორანი, პოლ მაკგრატი, გრემ ჰოგი, კლეიტონ ბლეკმორი, რემი მოზესი, ფრენკ სტეპლტონი, პიტერ დევენპორტი, პიტერ ბარნსი.


ფერგი სადებიუტო შეხვედრაში


To be handed to Opponents
TEAM SHEET
Date 8-11-1986
Oxford United
versus
Manchester United
Goalkeeper
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
Nominated Substitute:
We are playing in the following colours:
Shirts RED Shorts WHITE
Stockings BLACK
Goal Keepers Shirt GREEN
Signed
Official Responsible for the Tea

ფერგიუსონის სადებიუტო XI


რინ ევანსი

## სნუკერის ახალი ისტორია

ბრიტანელმა **რინ ევანსმა** სნუკერის ახალი ისტორია შექმნა. ის პირველი ქალი სნუკერისტია, ვინც უმაღლესი დონის ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდა. 27 წლის რინმა გლოსტერში გამართულ შესარჩევში 5:4 დაამარცხა ტაილანდელი ტეპჩაია **უნ-ნო** და ივნისში ჩინეთში Wuxi Classic-ის 1/32 ფინალში ითამაშებს. მისი მეტოქე იქნება მსოფლიოს რეიტინგის მეორე ნომერი **ნილ რობერტსონი**.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რინ ევანსს ბრიტანეთში პრემიერლიგაში არ ათამაშებენ მხოლოდ იმის გამო, რომ ის ქალია.

## რონალდო და მუსიკოსები

მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ფორვარდი **კრისტიანო რონალდო** თანამედროვე მუსიკის დიდი მოყვარულია და ხელიდან არ უშვებს შოუბიზნესის ვარსკვლავების გაცნობის შესაძლებლობას.

პორტუგალიის დედაქალაქში კონცერტი გამართა პოპმომღერალმა **რიანამ**. რონალდომ ერთი დღით დატოვა „რეალი“ და კონცერტს დაესწრო, რის შემდეგაც რიანასთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

ერთი კვირით ადრე კი პორტუგალიელს თინეიჯერებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯგუფის - One Direction-ის გაცნობის საშუალება მიეცა. ჯგუფი მადრიდის „რეალის“ ბაზას სტუმრობდა.


რონალდო და რიანა


რონალდო და One Direction





## ბექჰემები ჰოკეიზე

ცნობილია, რომ ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი** NBA-ის კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მატჩების ხშირი სტუმარია. მაგრამ, ეს კლუბი უკვე დიდი ხანია გამოეთიშა პლეი ოფს, ამიტომაც ბექჰი ჰოკეიზე გადაერთო და გუშინ, ლოს ანჯელესში ადგილობრივი „კინგზისა“ და „სან ხოსე შარქსის“ სერიის მეშვიდე მატჩს დაესწრო.

დევიდს თან ახლდა მეუღლე - **ვიქტორია ბექჰემი** და ოთხივე შვილი. ყოფილ ფეხბურთელს ქალიშვილი **ჰარპერი** ჰყავდა ჩაბარებული, რომელიც მთელი საღამო არ მოსცილებია მამას. თუმცა, ერთხელ გოგონა დევიდს გაექცა, რადგან „კინგზის“ ერთი ჰოკეისტით დაინტერესდა.

ბექჰემების ოჯახი ჰოკეის მატჩს ჰოლივუდის ვარსკვლავ **ტომ კრუზთან** ერთად სტუმრობდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
*ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608